კომპლექტი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.

ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—68

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ. დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. [illegible] რაიში—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.

ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 14—80.

პარასკევი, 1 მაისი 1925 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 98 (1253)

დღევანდელი ნომერი [illegible]

დღიური

— დაიხურა მეთოთხმეტე საკავშირო პარტიული კონფერენცია.

— ბულგარეთ სამხრეთ სლავიაში [illegible]

— ინგლისის მთავრობამ გაფრთხილება მისცა ბულგარეთს ფაშისტური ტერორის გამო.

— მოკლე ხანში გაიხსნება ჩინეთ-საბჭოთა კავშირის კონფერენცია.

— რადიჩის პარტია სრულ დათმობაზე წავიდა სამხრეთ სლავიის მთავრობის წინაშე.

ძირს რეაქცია და პროლეტარული რევოლიუციის მოღალატე მენშევიზმი!
გაუმარჯოს საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მთლიანობას!
გაუმარჯოს პირველ მაისს!

მშრომელთა სოლიდარობის და რევოლიუციონურ ბრძოლის დღესასწაული

1889 წლიდან მოყოლებული, მაშინ პარიზში შეკრებილ მეორე ინტერნაციონალის პირველი კონგრესის დადგენილების თანახმად, მსოფლიო მუშათა კლასი ყოველწლიურად დღესასწაულობს პირველ მაისის დღეს. პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობის განმტკიცება, ბრძოლა ომის წინააღმდეგ, რვა საათის სამუშაო დღის შემოღება, ძალების დარაზმვა კაპიტალისტური წყობილების დასამხობად და შრომის სუფევის დასამყარებლად,—იმ თავითვე ასეთი ლოზუნგებით გამოდიოდა მუშათა კლასი პირველ მაისს ქუჩებში.

პირველი მაისი ყოველთვის შიშის ზარსა სცემდა ბურჟუაზიას. მუშების მრისხანე დემონსტრაციები შრომის განთავისუფლების ლოზუნგით, რაც აღვიძებდა მშრომელ მასსებში კლასობრივ შეგნებას, რევოლიუციონური ბრძოლის წყურვილს,—გაბატონებულ კლასებს მოსვენებას არ აძლევდა, მოაგონებდა რა მათ, რომ მათი ბატონობა მუდმივი არ არის, რომ მათ პროლეტარიატი უმზადებს დასამარებას. ამიტომ ბურჟუაზიული მთავრობები ყოველ ღონეს ხმარობდენ—არ დაეშვათ ეს დღესასწაული.

როგორც დასავლეთში, ისე მეფის რუსეთში პირველ მაისის დღეს ბლომად იღვრებოდა მუშათა კლასის სისხლი. ქუჩებში გამოსულ მუშებს პოლიცია, ჟანდარმერია მათრახით, ხშირად ტყვიითაც უმასპინძლდებოდა.

მხოლოდ ოქტომბრის რევოლიუციამ მიანიჭა საბჭოთა კავშირის მშრომელთ თავისუფლად იზეიმონ ეს დღე. ოქტომბრისავე რევოლიუციამ ნაწილობრივ შესცვალა ამ დღესასწაულის შინაარსი ჩვენში მრავალი ის ლოზუნგი, რომელიც ბრძოლის საგანს შეადგენს კაპიტალისტური მსოფლიოს მუშათა კლასისათვის, საბჭოთა რესპუბლიკებში უკვე განხორციელებულია. ჩვენი კავშირის მშრომელებს ხელთ უპყრიათ მთელი ძალაუფლება. მემამულეების და კაპიტალისტების ბატონობა მოსპობილია. შემოღებული გვაქვს რვა საათის სამუშაო დღე და სხ. მშრომელი მასსა უშუალოდ ჩაბმულია ქვეყნის ახალ საფუძვლებზე აღორძინების საქმეში.

პირველ მაისის დღესასწაულს ჩვენ უკავშირებთ ამჟამად ჩვენს წინაშე გადასაჭრელათ აღმართულ ამოცანებს. მშრომელთა დიქტატურის შემდეგი განმტკიცება მუშათა კლასის და გლეხობის კავშირის ნიადაგზე, გლეხობის ფართედ ჩაბმა სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივ აღმშენებლობაში, სასოფლო მეურნეობის აღორძინება, გლეხობის კოოპერატიული დარაზმვა, სოციალისტური ელემენტების გაძლიერება გლეხურ მეურნეობაში, მრეწველობის უფრო გაფართოება-აღორძინება, შრომის ნაყოფიერების გაზრდა და მრავალი სხვა,—აი, ჩვენი დღევანდელი მუშაობის შინაარსი. დღეს ჩვენი მუშათა კლასი და გლეხობა ერთხელ კიდევ გაითვალისწინებს ამ ამოცანებს და მიიღებს მტკიცე გადაწყვეტილებას მათ გასატარებლათ ცხოვრებაში.

ამავე დროს საბჭოთა კავშირის მუშებს და გლეხებს არასოდეს არ ავიწყდებათ, რომ ისინი წარმოადგენენ მშრომელთა საერთაშორისო არმიის განუყრელ ნაწილს. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი საქმის საბოლოო გამარჯვება შეუძლებელია გარეშე საერთაშორისო პროლეტარიატის განთავისუფლებისა, გარეშე მსოფლიო რევოლიუციისა.

დღეს კაპიტალისტური ქვეყნიერების მუშათა კლასი მძიმე წუთებს განიცდის. ბურჟუაზია იქ ნაწილობრივ მომაგრდა. კაპიტალი მკაცრ შეტევას აწარმოებს მთელ ფრონტზე. გერმანიის მუშათა კლასის წინაშე ალიმართა მონარქიის აღდგენის რეალური საფრთხე. ბულგარეთში უსაშინელესი თეთრი ტერორი მძვინვარებს. დანარჩენ ქვეყნებშიც პროლეტარიატი განიცდის სასტიკ დევნას და შევიწროებას. რევოლიუციონერ მუშებით ავსებულია ბურჟუაზიის ციხეები.

მათ ესაჭიროებათ გამხნევება. დღეს საბჭოთა კავშირის მშრომელები თავის მხურვალე სალამს უძღვნიან თავის ძმებს კაპიტალისტურ ქვეყნებში. ეტყვიან, რომ მზად არიან გაუწოდონ მათ დახმარების ხელი.

ბურჟუაზიულ მსოფლიოში დღეს მუშათა კლასს გაუძნელდება სამაისო დემონსტრაციების გამართვა. სადაც მეფობენ ცანკოვები და ჰინდენბურგები, იქ, თავისთავად ცხადია, მზად არის ჯარი, პოლიცია, რომ ტყვია შეაგებოს ქუჩებში რევოლიუციონურ ნებისყოფის გამოსამჟღავნებლად გამოსულ მუშებს.

ჩვენ ვიცით, რომ ასეთ მდგომარეობის შექმნაში უდიდესი „დამსახურება" მიუძღვის სოციალ-დემოკრატიას. მან გასცა მუშათა კლასი, იგი ბურჟუაზიის აგენტი გახდა. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია, რომ სოციალ-დემოკრატია დღესაც, თავისი შერყეული ავტორიტეტის აღსადგენად, მუშათა კლასის ერთხელ კიდევ მოსატყუებლად, შეეცდება საპირველმაისო ლოზუნგებით გამოსვლას, იმ ლოზუნგებით, რომელნიც მან ფეხქვეშ გათელა.

ბოლომდე გაშიშვლება სოციალ-დემოკრატიის გამყიდველობის—ასეთია კომპარტიის ერთი ძირითადი ამოცანათაგანი ამ ჟამად.

საერთაშორისო მუშათა კლასს დღეს არა აქვს სხვა გზა დარჩენილი, თუ არ საბოლოოდ ზურგის შექცევა მენშევიკებზე, თავის ძალების თავმოყრა კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ, კომუნისტური ინტერნაციონალის, რომელიც ერთად ერთი იბრძვის ნამდვილად მსოფლიო რევოლიუციისათვის.

მსოფლიო მუშათა მოძრაობის ერთიანი ფრონტის შექმნა, პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობის განმტკიცება,—აი რას უკარნახებს დაჟინებით მუშათა კლასს დღევანდელი სინამდვილე. მხოლოდ მუშათა და გლეხთა რევოლიუციონური ძალების დარაზმვით, მუშათა საერთაშორისო მთლიანობის აღდგენით შეუძლია მშრომელ მასსებს გათავხედებული ფაშისტური ბურჟუაზიისაგან თავის დაცვა და მის წინააღმდეგ იერიშზე გადასვლა.

ამავე დროს ისიც ნათელია, რომ მსოფლიო რევოლიუციის გამარჯვება შეუძლებელია გარეშე აღმოსავლეთის დაჩაგრულ ხალხებთან მჭიდრო კავშირის დამყარებისა, ხალხების, რომელთა დამონება არის წყარო კაპიტალისტების სიძლიერის. დღეს აღმოსავლეთი აწარმოებს რევოლიუციონურ განმანთავისუფლებელ მოძრაობას. ამ მოძრაობასთან უნდა იყოს გადაბმული მუშათა კლასის განთავისუფლების საქმე.

პირველ მაისს საერთაშორისო პროლეტარიატისათვის ყველაფერი ეს უნდა გახდეს უფრო ცხადი. დღევანდელმა დღემ მსოფლიო მუშათა კლასში უნდა გაამახვილოს რევოლიუციონური შეგნება და ამოცანები, უნდა შთაბეროს მასში შურისძიების ცეცხლი თავის მჩაგვრელების წინააღმდეგ, უნდა შთაუნერგოს მას ბრძოლის დაუშრეტელი წყურვილი და გამარჯვების იმედი.

მშრომელი კაცობრიობის უდიდესი დღესასწაული

პროლეტარულ დღესასწაულთა შორის **პირველ მაისს** განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. უპირველეს ყოვლისა ეს დღესასწაული ყველაზე უფრო პოპულიარულია ყველა ქვეყნების და ყველა ერების მუშებსა და მუშა ქალებს შორის. რასაკვირველია, **18 მარტსაც** (პარიზის კომუნის დღე) და **25 ოქტომბერსაც** (7 ნოემბერი—პროლეტარული რევოლიუციის დღე რუსეთში) არა ნაკლები მნიშვნელობა აქვთ საერთაშორისო მუშათა კლასის მიერ თავის განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლაში. მიუხედავად ამისა **პირველ მაისს** მუშათა კლასი განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს.

ეს დღესასწაული დაწესებული იყო 36 წლის წინად, 1889 წელს, მეორე ინტერნაციონალის პირველ კონგრესზე პარიზში, როგორც ყველა ქვეყნების პროლეტარების და პროლეტარ ქალების მთლიანობის და ძმური სოლიდარობის სიმბოლო; ეს დღესასწაული თანდათან და უფრო და უფრო იპყრობს მთელი მსოფლიოს მშრომელი მასსების ყურადღებას.

პირველი მაისი არა მარტო სიმბოლო იყო მუშების მიერ კაპიტალის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლის, არამედ ის თვით ამ ბრძოლას ნიშნავდა. მუშებს პირველი მაისი შეეძლოთ იდღესასწაულათ იმდენად, რამდენადაც მათ შეეძლოთ მისი ძალით დაცვა ქარხნების მეპატრონეების, მჩაგვრელთა, კაპიტალისტთა და მემამულეთა კლასის წინაშე. პირველი მაისის დღესასწაულის ჩატარება მუშების და მუშა ქალების მიერ თითქმის ყოველთვის გამოიხატებოდა პროტესტებში, დემონსტრაციებში, გაფიცვებში და სისხლისმღვრელ შეტაკებებშიც კი, ერთის მხრივ მუშებსა, მუშა ქალებსა და მეორეს მხრივ პოლიციასა, ჟანდარმერიასა და ჯარებს შორის. მთელი ბურჟუაზიული მსოფლიოს გაბატონებულმა კლასებმა ერთბაშად იგრძნეს, თუ როგორი საშიშროებაა მოელოდა მათ მარტო იმ აზრიდანაც კი, რომ ყველა ქვეყნების მუშები ერთ და იმავე დღეს იდღესასწაულებდენ პირველ მაისს. ეს საშიშროება მდგომარეობდა მთელი საერთაშორისო მუშათა კლასის **მთლიანობაში,** ძმურ სოლიდარობაში თავისი ექსპლოატატორების და მჩაგვრელების წინააღმდეგ.

ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც თვითეული ქვეყნის მუშები და მუშა ქალები სხვადასხვა და მეტად რთულ და მძიმე პირობებში მტკიცედ განაგრძობენ პირველი მაისის დიდი პროლეტარული დღესასწაულის უქმობას. როგორი ტანჯვა და წამებაც არ უნდა ელოდეს მათ ამ დღესასწაულის უქმობისათვის, ისინი მაინც უქმობენ მას, რადგან ისინი გრძნობენ, რომ ეს მათი დღესასწაულია, ე. ი. ყველა მშრომელების საერთაშორისო სოლიდარობის დღესასწაულია მათი კლასიური მტრების წინააღმდეგ.

იცვლება პირობები, საგარეო ურთიერთობა, მაგრამ **პირველ მაისს** მაინც რჩება მთელი თავისი ძალა, მთელი თავისი მნიშვნელობა მებრძოლი პროლეტარიატისათვის, სანამ საბოლოოდ მოსპობილი არ იქნება კაპიტალის ბატონობა, სანამ არ გაიმარჯვებს კომუნისტური წყობილება და არ მოისპობა ადამიანის ექსპლოატაცია ადამიანის მიერ.

დიდი ოქტომბრის რევოლიუციის დროიდან საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის მშრომელი მასსები **პირველ მაისს** დღესასწაულობენ სულ სხვა პირობებში, ვიდრე ეს იყო წინეთ ყოფილი მეფის იმპერიაში, ვიდრე ეს არსებობს ეხლა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში.

იმ მშრომელი მასების ამოცანა, რომლებმაც სახელმწიფოებრივი ძალაუფლება დაიპყრეს დედა-მიწის ერთ მეექვსედ ნაწილში, მდგომარეობს ამ ძალაუფლების დაცვასა და განმტკიცებაში, პროლეტარიატის და გლეხობის კავშირის დაცვასა და განმტკიცებაში, საწარმოო ძალების განვითარებასა და გაძლიერებაში, სოციალისტური დოვლათის დაგროვების და სოციალისტური მეურნეობის ჩქარ ზრდასა და გაძლიერებაში. ეს ერთი ამოცანაა.

მეორე, არა ნაკლებ მნიშვნელოვანი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ განვიმტკიცოდ და განვავითაროდ ძმური სოლიდარობა ბურჟუაზიული სახელმწიფოების მშრომელ მასსებთან, რომლებიც ჯერ კიდევ კაპიტალის უღელ ქვეშ იმყოფებიან და სისხლიდან იცლებიან საერთაშორისო კაპიტალის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში, ეყრდნობა არა მარტო საერთაშორისო ბურჟუაზიას, არამედ სოციალ-დემოკრატიასაც, რომელმაც გაყიდა მუშათა კლასი.

და აი, იმ დროს, როდესაც საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელი მასსები პირველი მაისის დღეს საზეიმო პირობებში ააშკარავებენ თავის პროლეტარულ სიძლიერეს, თავის მიღწევებს და შედეგებს მატერიალური და სულიერი კულტურის სფეროში,—სწორედ ამ მომენტში მუშებს და მუშა ქალებს ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში არა თუ საშუალება არ აქვთ მშვიდობიანად იდღესასწაულონ პირველი მაისი, არამედ ფაშისტური ბურჟუაზია ემზადება საკუთარ სისხლში ჩაახრჩოს ისინი. მუშათა კლასი ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში ამ ჟამად განიცდის ერთერთ ყველაზე უფრო მწვავე მომენტს. გათავხედებულ ფაშისტურ ბურჟუაზიას იერიში მიაქვს მუშათა კლასზე, ის ცინიკურად დასცინის ყოველგვარ ეგრედ წოდებულ დემოკრატიულ თავისუფლებას.

ყველა ბურჟუაზიულ ქვეყნებში ეხლა გამეფებულია საშინელი თეთრი ტერორი. ციხეები ავსებულია მუშა-რევოლიუციონერებით, მეტად გახშირდა მუშათა საქმისათვის თავდადებული მებრძოლების ცემა და ხოცვა-ჟლეტა. ფაშისტური ბულგარეთი სათავეში უდგას ამ ჯალათურ სახელმწიფოებს. მთელი ეს სისხლიანი ვაკხანალია დამთავრდა აშკარა მონარქისტის და მუშათა კლასის მტრის—**ჰინდენბურგის** არჩევით გერმანიის რესპუბლიკის პრეზიდენტათ, რომელიც (რესპუბლიკა) ამიერიდან მოგვაგონებს „ცნობილ" ჰოჰენცოლერნთა იმპერიას. ყველაფერი ეს სერიოზული გამაფრთხილებელი ნიშანია საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთა მასებისთვისაც. სადარაჯოზე უნდა ვიყოთ. ფრთხილად უნდა ვიყოთ. უნდა გავაძლიეროთ წარმოება; უნდა განვამტკიცოდ კავშირი მუშებსა და გლეხებს შორის. საქმით უნდა განვახორციელოთ **ლენინის** ანდერძი. უნდა განვამტკიცოთ საბჭოთა ხელისუფლება,—გავაძლიეროთ წარმოება. ყოველ წუთში მზათ უნდა ვიყოთ სოციალისტური სამშობლოს დასაცავად და ბურჟუაზიული ქვეყნის მებრძოლი მუშებისა და მუშა ქალებისათვის დახმარების გასაწევად.

დღეს ჩვენ მხურვალე სალამს ვუგზავნით მუშათა რევოლიუციისათვის მებრძოლებს, რომლებიც ბურჟუაზიულ ციხეებში იტანჯებიან, რომლებიც სასტიკ განაჩენს ელიან.

გაუმარჯოს ყველა ქვეყნის პროლეტარების და პროლეტარ ქალების სოლიდარობას!

გაუმარჯოს კომუნისტურ რევოლიუციას მთელს მსოფლიოში!

ფ. მახარაძე.

პირველი მაისის ლოზუნგები
ამხ. ტომსკის წერილი

მოსკოვი. 30 აპრილი. რვა საათის სამუშაო დღე! ძირს მილიტარიზმი! გაუმარჯოს მუშების საერთაშორისო თანხმობას და ორგანიზაციას!

აი ლოზუნგებიც რომლებიც პირველ მაისს აერთიანებენ მთელი მსოფლიოს ყველა მუშებს რომლებიც ააშკარავებენ კლასიური მტრის, კაპიტალისტების წინაშე, თავისი ინტერესების მთლიანობას; მუშათა კლასი მთლიანია, მიუხედავად ნაციონალური დაგრკოლებებისა და ცრუმორწმუნოებისა.

ბრძოლა მუშების ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის და კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ, გადამწყვეტი ბრძოლა რვა საათის სამუშაო დღის დასაცავათ იქ, სადაც ის არსებობს, და მისი დაპყრობა იქ, სადაც ის ჯერ კიდევ არ არსებობს—აი რვა საათის სამუშაო დღის ლოზუნგის აზრი 1925 წლის პირველ მაისს.

ყველა ქვეყნების მუშებმა მეტად დიდი მსხვერპლი გაიღეს უკანასკნელი საერთაშორისო სისხლის ღვრის დროს, მებრძოლი კაპიტალიზმის წინააღმდეგობანი, რომლებმაც გამოიწვია საერთაშორისო სისხლისღვრა, არ არის აღმოფხვრილი. და სანამ არსებობს წყობილება, რომელიც აგებულია ადამიანის ექსპლოატაციაზე ადამიანის მიერ, რომელიც აგებულია დაჩაგრული სუსტი ერების ექსპლოატაციაზე, მანამ მთელი მსოფლიოს წინაშე მთელი თავისი სიძლიერით სდგას ახალი იმპერიალისტური ომების საშიშროება, ომების, რომელთა მიზანი იქნება ბაზრების განაწილება და სუსტი ერების დაპყრობა მათი ექსპლოატაციის მიზნით. და ეს მთელი მსოფლიოს მუშებისაგან მოითხოვს იმას, რომ ისინი მზად იყონ აქტიურ, შეურიგებელ ბრძოლისათვის იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

აი ამიტომ 1925 წლის პირველ მაისსაც სრული სიძლიერით და განსაკუთრებული სიძლიერით უნდა ისმოდეს ჩვენი ლოზუნგები: ძირს მილიტარიზმი, ძირს იმპერიალიზმი.

ბრძოლა ახალი სისხლისმღვრელი ომების წინააღმდეგ, მუშების უსინდისო ექსპლოატაციის წინააღმდეგ, სილატაკის, უმუშევრების და ფიზიკური გადაშენების წინააღმდეგ, რომელსაც უქადის მშრომელებს მთელი კაპიტალისტური სისტემა მოითხოვს მუშების მჭიდრო გაერთიანებას და უდიდეს სოლიდარობას, თანხმობას.

მაგრამ პროფესიონალური მოძრაობა, სამწუხაროთ, დაქსაქსულია საერთაშორისო და ნაციონალური მასშტაბით. აი ამიტომ ჩვენი პირველი მაისის ლოზუნგს—„გაუმარჯოს მუშების საერთაშორისო სოლიდარობას და ორგანიზაციას" პირველ მაისს თან უნდა სდევდეს და ავსებდეს მეორე ლოზუნგი „გაუმარჯოს საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მთლიანობას. გაუმარჯოს მუშების ერთიან ინტერნაციონალს".

ინგლის-საბჭოთა კავშირის მუშათა კონფერენციაზე, რომელიც ამას წინათ დამთავრდა, პირველი მაისის ყველა საერთო-პროლეტარულმა ლოზუნგებმა თავისი გამოხატულება ჰპოვეს კონფერენციის დეკლარაციაში, რომელიც წამოყენებული იქნა როგორც პლატფორმა, რომელზედაც გაერთიანდენ ინგლისის და საბჭოთა კავშირის პროფკავშირები. მათ შექმნეს ძმური ორგანიზაციების ძმური კავშირი, რომელიც აერთიანებს 11 მილ. წევრს; ამ კავშირის მიზანია შეერთებული ბრძოლის წარმოება პროფესიონალური მოძრაობის მთლიანობის განსახორციელებლათ მთელს მსოფლიოში.

აი ამიტომ ამ კონფერენციის მუშაობას უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ეძლევა. აი ამიტომ ინგლისის და რუსეთის მუშებმა პირველი მაისის ლოზუნგებს უნდა დაუმატონ: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის და ინგლისის მუშების ძმურ კავშირს, როგორც საერთაშორისო პროლეტარული მთლიანობის საწინდარს. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!"

მე-14 საკავშირო პარტიული კონფერენცია

ამხ. ძერჟინსკის მოხსენება ლითონის მრეწველობის შესახებ

ლითონის მრეწველობის განვითარება საფუძველია მთელი სახალხო მეურნეობის აღორძინების

ჩვენი ლითონის მრეწველობა სწრაფად იზრდება და აფართოებს საწარმოო პროგრამას, მაგრამ მაინც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას ლითონის საგნებზე

სახელმწიფო მრეწველობამ ხელი უნდა შეუწყოს შინამრეწველთა გაერთიანებას სასარეწაო კოოპერაციაში

ჩვენს ამოცანას ლითონის მრეწველობაში შეადგენს: შრომის ნაყოფიერების ზრდა და გადიდება შრომის ხელფასის

ამხ. ბუხარინი გლეხობის შესახებ გლეხობის მიმართ გატარებული უნდა იქნეს ბოლშევიკური, ლენინის ხაზი

საშუალო გლეხობას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება

საბჭოთა ხელისუფლების მუშაობა მიმართულია „სოციალისტური ელემენტების ზრდისაკენ სასოფლო მეურნეობაში.

ამხ. ზინოვიევის მოხსენება კომინტერნისა და რ. კ. პ. ამოცანების შესახებ

ამხ. სოლცის მოხსენება რევოლიუციონური კანონიერების შესახებ

„რამდენად მტკიცედ დავიცავთ ჩვენ ჩვენს მიერვე შედგენილ კანონებს, მით უფრო მეტად გადმოვიბირებთ ჩვენს მხარეზე მშრომელთა ფართე მასებს"

კონფერენციის დახურვა. ამხ. კამენევის საბოლოო სიტყვა.

„სოციალისტური ელემენტების გაძლიერებით ჩვენს მეურნეობაში ჩვენ დავამტკიცებთ, რომ მსოფლიო რევოლიუციის განვითარების ტემპის შენელების პირობებშიც სოციალიზმი შეიძლება აშენდეს, უნდა აშენდეს და იქნება კიდეც აშენებული გლეხობასთან კავშირით".

ლითონის მრეწველობის შესახებ
ამხ. ძერჟინსკის მოხსენება

ლითონის მრეწველობის მნიშვნელობა.

მოსკოვი. 29 აპრ. 29 აპრილის დილის სხდომა დაიწყო ამხ. ძერჟინსკის მოხსენებით ლითონის მრეწველობის შესახებ.

„ლითონის მრეწველობა, ამბობს ძერჟინსკი,—არის საზომი, რომელიც განსაზღვრავს ჩვენი მეურნეობის განვითარების საერთო ტემპს. ლითონის მრეწველობის მდგომარეობა **გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობის მუშაობაზე, ტრანსპორტზე, ელექტროფიკაციაზე და სათბობი მასალის საკითხზე.** ვერც მსუბუქი მრეწველობა, მეურნეობის ვერც სხვა რომელიმე დარგი ფართოდ ვერ განვითარდება, თუ მას არ აქვს ლითონის საკმაო რაოდენობა. ლითონის მრეწველობის ზრდა—ეს **არის მთელი სახალხო მეურნეობის ზრდის გამოხატულება და პირობა;** ეს არის—წარმოების იარაღების აღდგენა და შექმნა. **მხოლოდ ფართოდ განვითარებულ ლითონის მრეწველობას შეუძლია მთელი მეურნეობის დაყენება სათანადო სიმაღლეზე.** ამიტომ ლითონის მრეწველობის პრობლემის გადაწყვეტით, ჩვენ გადავწყვეტავთ მრეწველობის ყველა სხვა დარგების პრობლემას.

ლითონის მრეწველობის მდგომარეობა.

როგორია საბჭოთა კავშირის ლითონის მრეწველობის მდგომარეობა? ლითონის მრეწველობის 1924—25 წლის პროგრამა, რომელიც ნოემბერში იქნა დამტკიცებული 276 მილ. მანეთის რაოდენობით, იანვარში უკვე საკმარისი არ აღმოჩნდა, და ს. მ. უ. ს. შუამდგომლობს მისი გაფართოვების შესახებ 349 მილიონამდე, ე. ი. 82 პროცენტით 1923—24 წლის პროგრამასთან შედარებით. ბაზრის მოთხოვნილებათა თვალსაზრისით ეს პროგრამა არ არის გადიდებული. ჯერ კიდევ დღევანდლამდე ჩვენ ვერ შევძელით ლითონის ნაწარმოებების საკმაო რაოდენობის გამოშვება ბაზარზე, ამ დარგში ჩვენ **ერთგვარ სიმშილობას განვიცდით,** რასაც ამტკიცებს ის, რომ უკვე ამ ჟამად წინდაწინ გაყიდულია მიმდინარე წელში გამოსაშვები პროდუქციის 90 პროცენტი.

ამ სიმშილობის მეორე გამომხატველია ის, რომ ჩვენ აქამდი თავი ვერ დავახწიეთ მეტად დიდ დანართს საწვრიმალო ბაზარზე. მთელ რიგ რაიონების გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ დანართი საწვრიმალო ვაჭრობაში ლითონის ნაწარმოებებზე პირველი საფეხურის კოოპერაციაში უდრის 119 პროც., ბაზრის ლითონის ნაწარმოებებით **ავსების** პირობებში ასეთი დანართი **ყოვლად წარმოუდგენელია.**

ლითონის მრეწველობის ახალი პროგრამა

ლითონის მრეწველობის ახალი გადიდებული პროგრამა ომის წინა ხანების წარმოებასთან შედარებით იძლევა: თუჯი—28 პროც., ფოლადი—39 პროც. და გატკეცილი სპილენძი—36 პროც., რაც, რასაკვირველია, გაცილებით ნაკლებია ლითონის იმ რაოდენობაზე, რომელიც საჭიროა როგორც გლეხთა მეურნეობის, ისე სახელმწიფო და კომუნალური მეურნეობისათვის.

ეხება რა ლითონის მრეწველობის პროგრამის რეალურ შესრულებას მიმდინარე სამეურნეო წლის გასულ ნახევარში, ძერჟინსკი აღნიშნავს, რომ გასული ნახევარი წლის განმავლობაში სულ დამზადებულია 156 მილ. მანეთის საქონელი, რაც წინასწარი პროგრამის 113 პროც. შეადგენს. ეს ცნობები ამტკიცებენ, რომ ის პროგრამა, რომელსაც ჩვენ მოვითხოვთ **სავსებით რეალურია.** თუ მივიღებთ, რომ მიმდინარე წლის ორ დარჩენილ მეოთხედში, ზრდის ტემპი ისეთივე იქნება როგორც მეორე მეოთხედში, მაშინ მიმდინარე წლის მეორე ნახევარში დამზადებული იქნება 204 მილ. მანეთის საქონელი, რაც მოთხოვნილ პროგრამაზე მეტია 11 მილ. მანეთით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ლითონის მრეწველობის ზრდა უკრაინაში სადაც ლითონის მრეწველობის პროდუქცია გასული წლის განმავლობაში **98 პროც. გაიზარდა** წინა წელთან შედარებით. ეხლა ჩვენი კავშირის სამხრეთ ნაწილში ჩვენ გვაქვს 13 მომუშავე ღუმელი წარსული წლის რვა ღუმელის წინააღმდეგ. დნეპრის ქარხანაში, რომელიც მძლავრ და დიდ ქარხანას წარმოადგენს, ამუშავებულია პირველი ღუმელი მეორე ამუშავებული იქნება ახლო მომავალში. მთელს საბჭოთა კავშირში ჩვენ ამჟამად გვაქვს **43 მომუშავე ღუმელი 27 წინააღმდეგ, რომელიც იყო წარსულ წელში.**

რისთვის ვაფართოვებთ ლითონის მრეწველობას

ლითონის მრეწველობის გაფართოვებას მიზნათ აქვს, უმთავრესად, **გლეხთა ბაზრის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება,** შემდეგ—იმ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, რომლებიც დაკავშირებულია **სახელმწიფო მრეწველობის და კომუნალური აღმშენებლობის ძირითად კაპიტალის აღდგენასთან,** და ბოლოს, უკანასკნელ რიგში, გზათა სახალხო კომისარიატის, სამხედრო უწყების და სხვა სახალხო კომისარიატების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ამ მხრივ დამახასიათებელია ის, რომ მიმდინარე წელში გასასაღებელ ლითონის ნაწარმოებებიდან, რომლის ღირებულება უნდა გამოიხატოს 174 მილ. მანეთში, **107 მილიონი მოდის ფართო ბაზარზე.**

ლითონის ნაწარმოები უცხოეთიდან

ჩვენი ლითონის მრეწველობა თავის განვითარებაში **ვერ დაეწია აღდგენილ სოფლის მეურნეობას და მრეწველობის სხვა დარგებს,** რასაც ამტკიცებს ლითონის ნაწარმოებების შემოტანა საზღვარგარეთიდან დიდის რაოდენობით. ეს იმპორტი მიმდინარე წელში გამოიხატა 44 მილ. მანეთში, წარსულ წელში საჭიროა იყო 126 მილ. მანეთის საქონლის შემოტანა, მაგრამ ბალანსის ინტერესების გამო ეს რაოდენობა შემცირებული იქნა 90 მილიონამდე. საჭიროა იმპორტი შეუფარდოთ ჩვენს საწარმოო შესაძლებლობას, რომ ერთის მხრივ მოსახლეობა დავაკმაყოფილოთ ლითონის ნაწარმოებებით მისი გადახდის უნარიანობის ფარგლებში, მეორეს მხრივ კი—სწორად განვითარების შესაძლებლობა მივსცეთ ჩვენს მრეწველობას. არ შეიძლება აგრეთვე დავიწყებული იქნეს ჩვენი ექსპორტის ფართოდ განვითარების საჭიროება, რომ საიმპორტო ოპერაციები მძიმე ტვირთად არ დააწვეს ჩვენს ბიუჯეტს.

რაც შეეხება ფართო და, განსაკუთრებით, გლეხთა მოთხოვნილებას, ის ეხლანდელი მეტისმეტად დიდი დანართების და საქარხნო ფასების

1-ლი მაისის პროლეტარული დღესასწაული და 3 მაისის ბავშვთა დღესასწაული

უკვე 35 წელიწადია, რაც მსოფლიოს ყველა ქვეყნებში დღესასწაულობენ **პირველი მაისს**—პროლეტარიატის საერთაშორისო დღესასწაულს, შრომის განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლის დღესასწაულს, კაცობრიობის საგაზაფხულო განახლების დღესასწაულს. ეს საერთაშორისო დღესასწაული, საერთაშორისო პროლეტარიატის ერთერთი ყველაზე უფრო საზეიმო და პოპულიარული დღესასწაული უკანასკნელი დროის განმავლობაში საბჭოთა კავშირში და კერძოთ, საქართველოში, ხდება გლეხების და გლეხ-ქალების დღესასწაულათ.

პირველმა მაისმა უდიდესი როლი ითამაშა მუშათა კლასის საერთაშორისო განმათავისუფლებელ მოძრაობაში, პირველი მაისი უდიდეს როლს თამაშობს და უნდა ითამაშოს მუშათა მოძრაობის ერთიანი საერთაშორისო ფრონტის შექმნის საქმეში, დაჩაგრული აღმოსავლეთის რევოლიუციონური ძალების დარაზმვის საქმეში და კერძოთ, მუშების და გლეხების ერთიანი დაურღვეველი კავშირის შექმნის საქმეში,—იმ მუშების და გლეხების, რომლებიც ახალ ცხოვრებას და ახალ საზოგადოებას ქმნიან კომუნისტურ საფუძვლებზე.

პირველი მაისი უდიდეს როლს ითამაშებს აგრეთვე ჩვენი ბავშვების და მოზარდების კომუნიზმისათვის მებრძოლ მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის იდეებისა და ინტერესების გარშემო დარაზმვის საქმეში.

ჩვენი რესპუბლიკის ბავშვებმა და მოზარდებმაც დააწესეს თავისი დღესასწაულის ერთი გარკვეული დღე, პირველი მაისის შემდეგ—3 მაისი. დღეს პიონერ-ლენინელების ბარაბანის მოწოდების თანახმათ ჩვენი რესპუბლიკის ქალაქების და სოფლების ყველა ეროვნებათა მოზარდები და ბავშვები შემჭიდროებული რიგებით გამოვლენ ქუჩებზე და ხმამაღლა, ყველას გასაგონათ, განაცხადებენ, რომ ისინი საერთაშორისო მუშათა კლასთან არიან, რომ ისინი მზათ არიან ემსახურონ მის ინტერესებს, რომ ისინი იზრდებიან და ირაზმებიან იმისათვის, რომ დაეხმარონ და შესცვალონ სახელოვანი მებრძოლი კომკავშირი.

ამ დღეს კომუნისტური პარტია კიდევ უფრო მტკიცეთ და გაბედულათ შეხედავს თვალებში მომავალს, დაინახავს რა ჯანსაღ, მტკიცე **მესამე შემცვლელ ძალას**—პიონერს, რომელსაც შეკავშირებულათ მიჰყავს საბჭოთა სახელმწიფოს მთელი ბავშვთა მოსახლეობა; საბჭოთა ხელისუფლება კიდევ უფრო მტკიცეთ განაგრძობს კომუნიზმისათვის საძირკვლის ჩაყრას, დაინახავს რა, რომ მოდის ახალი, ცოდნით და კომუნისტური საზოგადოების აღმშენებლობის სურვილით და ნებისყოფით აღჭურვილი არმია. მუშები, მუშა ქალები და კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები მეტი ყურადღებით და სიყვარულით უნდა მოეპყრან ბავშვთა დღესასწაულს—3 მაისს.

უნდა გამოხვიდეთ მათთან ტრიბუნაზე. უნდა ინახულოთ ისინი და მოუსმინოთ მათ. უნდა დაესწროთ მათ დღესასწაულს ვაკეზე, უნდა მიესალმოთ მათ, გაამხნევოთ ისინი და შთაბეროთ მათ ახალი და ახალი ძალები.

მარიამ ორახელაშვილი.

შემდგომი შემცირების შემდეგ უახლოეს წლებში საგრძნობლად გა[illegible] ჩვენ[illegible] [illegible]განსაზღვრულ საწარმოო შესაძლებლობას.

ფერადი ლითონების საკითხი

განსაკუთრებით მწვავეთ სდგას ფერადი ლითონების საკითხი. ჩვენთვის საჭირო სპილენძის ყოველწლიური საშუალო მოთხოვნილება უახლოესი 5 წლის განმავლობაში გამოიხატება 21000 ფუთ სპილენძში. ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საჭირო იქნებოდა 60 მილ. მანეთის სპილენძის შემოტანა ყოველწლიურად საზღვარგარეთიდან. მაგრამ სპილენძის ასეთი რაოდენობის შესყიდვა საზღვარგარეთ არ არის მიზანშეწონილი. **საბჭოთა კავშირის შიგნით ჩვენ მოგვეპოება ფერადი ლითონების დიდი მადნები და თუ გინდ 60.000 მანეთის დახარჯვას ამ საქმეზე შეუძლია კარგათ დააყენოს ფერადი ლითონების დამუშავება ჩვენი ქვეყნის შიგნით.**

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ალიუმინის წარმოების განვითარებას, რომელიც დიდ როლს თამაშობს ჩვენს მეურნეობაში.

დახმარება უნდა გაუწიოთ შინამრეწველობას

რომ რაც შეიძლება უფრო მეტად იქნეს უზრუნველყოფილი ფართო ბაზრის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ლითონის ნაწარმოებით, აუცილებლად სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს „კუსტარულ" ლითონის მრეწველობას. შინამრეწველობის დაპირისპირება სახელმწიფო მრეწველობასთან, რასაც ადგილი ჰქონდა ამას წინად შეცდომაა, რადგან მხოლოდ შინამრეწველის შეთანხმებული მუშაობა სახელმწიფო მრეწველობასთან შესაძლებელს გახდის გლეხობის მომარაგების საკითხის სისწორით გადაჭრას. მეორე მხრით, „კუსტარული" ლითონის მრეწველობის განვითარება მნიშვნელოვანია კიდევ იმიტომ, რომ ის შემოსავლის წყაროდ გამოუჩენს მრავალ ათას უმუშევარს სოფლად, რაც შექმნის მომავალ კვალიფიციურ პროლეტარ მელითონეების კადრებს. სახელმწიფო მრეწველობის ამოცანას წარმოადგენს დახმარების გაწევა შინამრეწველების სარეწაო კოოპერაციაში გაერთიანებისათვის და შინამრეწველისათვის ლითონის მიწოდება.

ლითონის ნაწარმოების გაიაფებისათვის.

საწარმოო პროგრამის გაფართოება აუცილებელია აგრეთვე ლითონის პროდუქციის ჯერ კიდევ ძალიან მაღალი თვითღირებულების დაწევისათვის, მთელ რიგ ტრესტების დეფიციტიანობის აღმოფხვრისა და ფასების შემდეგი დაკლებისათვის. შარშანდელ სამეურნეო წელში მთავარ ტრესტში ჩვენ გვქონდა **12 მილ. მანეთამდე მოგება და 31 მილ. მანეთი წაგება.** მრავალ ტრესტებში ეს წაგება ხელოვნურია, მაგრამ მრავალ შემთხვევაში ეს აიხსნება აგრეთვე ქარხნების მცირე დატვირთვითაც. ნაყოფიერი ბრძოლა ზარალიანობასთან და აგრეთვე ძალიან მაღალ ფასებთან შესაძლებელია მხოლოდ ქარხნების საკმაო დატვირთვის შეჭვობით. საბითუმო ფასები ლითონის მრეწველობის ნაწარმოებზე შეუჩერებლად მცირდება. „მაკრატელი", რომელსაც ადგილი ჰქონდა ლითონის მრეწველობის და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საბითუმო ინდექსებს შორის, სავსებით მოისპო. მაგრამ ჯერ კიდევ წინ გვიდგას დიდი შეუპოვარი მუშაობა ლითონის ნაწარმოების შემდეგი გაიაფების დარგში.

შრომის ნაყოფიერება. ხელფასის საკითხი.

შრომის დარგში გასული წლის განმავლობაში **შევსძელით ყველაზე ძნელი ამოცანების შესრულება სამუშაო ხელფასის თავის დროზე გაუსტუმრებლობის, მუშებისადმი სისტემატიური დავალიანების აღმოფხვრა.**

ეხლა წარმოების გაფართოების ნიადაგზე ჩვენ შეგვიძლია მთელი ყურადღება მივაპყრათ შრომის ნაყოფიერების გადიდებას, რომელიც ჯერ კიდევ ძალიან დაბლა სდგას; აგრეთვე წარმოების წესიერად მოწყობას; შევსძლებთ ჩამორჩენილ დარგებში არსებული სამუშაო ხელფასი თანდათანობით ავიყვანოთ მსუბუქი ინდუსტრიის საერთო ნორმებამდე, რომლებიც ძალიან წინ წავიდა მელითონეებთან შედარებით. ლითონის მრეწველობის ზრდის და განვითარების ნიადაგზე ეს არა თუ შესაძლებელია, არამედ აუცილებელი არის.

ჩვენს წინაშე,—ლაპარაკობს შემდეგ ძერჟინსკი,—არის ორი ერთმანეთთან მჭიდროთ დაკავშირებული ამოცანა: შრომის ნაყოფიერების და სამუშაო ხელფასის გადიდება. ამის მიღწევა შესაძლებელია ლითონის მრეწველობაში არა იმდენად მუშების ინდივიდუალური მუყაითობით, რამდენად **ტეხნიკურ გაუმჯობესებათა შემოღებით, გაცვეთილი მოწყობილობის ახალით შეცვლით, შრომის მექანიზაციით და წარმოების მთელი ორგანიზაციის** გაუმჯობესებით.

საჭიროა ტეხნიკური ცოდნის ამაღლება.

შრომის ნაყოფიერების გადიდების საკითხთან დაკავშირებით, აუცილებლად უნდა აღინიშნოს კიდევ ის გადაუდებელი ამოცანა, რომელიც მდგომარეობს ჩვენი ტეხნიკური პერსონალის ცოდნის, კვალიფიკაციის და მდგომარეობის გაუმჯობესებაში. ჩვენ ძალიან ცოტა გვყავს ტეხნიკური ძალები, ძალიან ცოტა გვაქვს ცოდნა და გამოცდილება მსოფლიო მიღწევებთან შედარებით ტეხნიკის დარგში. საკითხი ამ გამოცდილების შეძენის, ტეხნიკურ კადრების გადიდების, ახალი ინჟინერების აღზრდის, ტეხნიკურ ძალების ნაყოფიერი შემოქმედებით მუშაობისათვის პირობების უზრუნველყოფის შესახებ,—აი ამოცანა, რომლის გადაუჭრელად შეუძლებელია ჩვენი წარმოების გეგმაშეწონილი, ძლევამოსილი გაფართოება ისე, რომ მისი სიიაფით და ღირსებით დავსძლიოთ ჩვენი მოწინააღმდეგე კაპიტალისტური უცხოეთის მეტოქეობა.

საკუთარი ძალებით და საშუალებებით.

მოჰყავს რა ციფრობრივი ცნობები ლითონის მრეწველობის მომავალი განვითარების შესახებ, წარმოების თვითეულ დარგში ცალ-ცალკე, ძერჟინსკი ამბობს:

„ჩვენს წინაშე პირდაპირ დასმულია ჩვენი ძირითადი კაპიტალის გაფართოების პრობლემა, ჩვენ ვდგევართ იმის წინაშე, რომ მახლობელ წლებში **დაგვჭირდება დიდძალი საშუალებები**—იმისათვის, რომ ჩვენი სამრეწველო წარმოების ზრდა არ ჩამორჩეს მოსახლეობის მოთხოვნილებათა ზრდას.

ომამდე არსებული ნორმები წარმოადგენდენ უაღრესად მცირე ნორმებს და **ყოვლად წარმოუდგენელია რომ ამ ნორმებით დაკმაყოფილდეს საბჭოთა კავშირი.**

ამის გამო ჩვენს წინაშე ისმება საკითხი, საიდან მივიღოთ საამისო საშუალებები. მე ვფიქრობ, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელი მოსახლეობა გაუმკლავდება ამ ამოცანას თავისი **საკუთარი ძალებით და საშუალებით.** თვითეული მანეთი, მიზანშეწონილად ჩადებული ლითონის მრეწველობაში, ასკეცად იქნება ანაზღაურებული მახლობელ დროის განმავლობაში. თუ ჩვენ გასულ მძიმე წლებში გამოვნახეთ დიდძალი საშუალებები, რომლებიც [illegible] ლითონის მრეწველობას, მომავალ წლებში ჩვენ **გაცილებით უფრო ადვილად შევსძლებთ ამას.** ჩვენ არ უნდა შეგვაშინოს იმ დიდმა ხარჯებმა, რომლებიც დასჭირდება ახალი ქარხნების აგებას ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. თვითეული ახლად აგებული ასეთი ქარხანა იქნება მუშების და გლეხების **კავშირის ციხე-სიმაგრე, საერთაშორისო პროლეტარიატის საქმის ციხე-სიმაგრე,** და მასთან ერთად **ახალი საშუალებების წყარო მთელი მოსახლეობის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად.**

ამხ. ბუხარინი გლეხობის საკითხის შესახებ

მოსკოვი. 30 აპრილი. ძერჟინსკის მოხსენების შემდეგ პარტკონფერენციის 29 აპრილის დილის სხდომაზე რიგს გარეშე სიტყვა აიღო ბუხარინმა.

თავის სიტყვაში ბუხარინი ეხება **გლეხობის საკითხს** და აღნიშნავს, რომ ამჟამად ამ საკითხის შესახებ პარტიაში არის ორი გადახრა.

პირველს სავსებით სწორად მიაჩნია ის შეხედულება, რომ ამჟამად მთელი სახალხო მეურნეობის გამოცოცხლების მიზნით საჭიროა სოფლის ზედა ფენების განვითარება, განვითარება თვით კულაკური მეურნეობისაც კი. ჩვენ მხარს უჭერთ ახალი ეკონომიური პოლიტიკის განვითარებას სოფლად, რათა გავადიდოთ ნაციონალური შემოსავალი მთლიანად და საჭირო საშუალებები მოვახმაროთ გლეხობის ძირითადი მასის—საშუალო და ღარიბი ნაწილის მოღონიერებას. ჩვენ შეგვიძლია ამაზე წასვლა, რადგან ჩვენ დავიპყრეთ მბრძანებელი მწვერვალები. თუ თქვენ იკითხავთ, იქნება თუ არა აღებული კურსი კულაკზე, ამაზე უნდა ვუპასუხოთ **უარყოფითად.** იმ ამხანაგებს, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ჩვენში განვითარდება ნამდვილი კაპიტალისტური ურთიერთობაო, არ ესმით, რა მნიშვნელობა აქვს პროლეტარულ დიქტატურას. თუ დაისმება საკითხი, რაზედ გვაქვს აღებული კურსი სოფლად, ჩვენ, უნდა გავცეთ პასუხი: **„სოციალისტური ელემენტების ზრდაზე საგლეხო მეურნეობაზე".** ხოლო ის, ვინც ხედავს პრობლემის ერთ ნახევარს—ახალი ეკონომიური პოლიტიკის განვითარებას სოფლად—და ვერ ხედავს მეორე ნახევარს, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ დახმარება აღმოუჩინოთ სოფლის იმ წრეებს, რომელთაც ჩვენ ვეყრდნობით,—ის შეპყრობილია „კულაკური გადახრით".

თუ პირველი გადახრა ლაპარაკობს: „გააძლიერეთ კულაკი და სხვა არაფერი",—ამხ. **ლარინი** ვარდება მეორე უკიდურესობაში. ის მხედველობიდან უშვებს საშუალო გლეხს. ლარინი ამბობს: „კაპიტალისტური ურთიერთობა ეს არის—ერთ პოლიუსზე სასოფლო-სამეურნეო „ბატრაკები". ხოლო მეორეზე „სასოფლო სამეურნეო ბურჟუაზია". ეს არ შეეფერება სინამდვილეს, რადგან ლარინი ივიწყებს „ცენტრალურ ფიგურას"—საშუალო გლეხობას. კულაკები და შეძლებული გლეხები შეადგენენ 3—4 პროცენტს. ლარინს საშუალო გლეხობა დაეკარგა მხედველობიდან, საიდანაც გამომდინარეობს თავისებური გადახრა, რომელიც **არის არაბოლშევიკური პოლიტიკის გაგრძელება გლეხობის მიმართ.** ლარინის ცენტრალური შეცდომა მდგომარეობს იმაში, რომ ის ვერ ხედავს, რომ ჩვენ გვაქვს არა უბრალო „კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება სოფლად", არამედ **ჩვენ გვაქვს კიდევ პროლეტარიატის დიქტატურა.** შეგვიძლია ჩვენ ვთქვათ, რომ ჩვენ შეგნებულად წავალთ სოფლად კლასობრივი ბრძოლის გამწვავების ხაზით? არავითარ შემთხვევაში. ჩვენ სიმძიმის ცენტრი გადაგვაქვს ბრძოლის სხვა ფორმებზე გლეხობის ზედა ფენების გადასახადით დაბეგვრაზე, მეორე ნაწილისათვის სასოფლო-სამეურნეო კრედიტით დამარების გაწევაზე და სხვ. **ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ საშუალო გლეხობა**—ეს „ცენტრალური ფიგურა", რომელზედაც აღებული ჰქონდა კურსი ლენინს. რიკოვის მიერ წარმოდგენილი **რეზოლიუცია მიდის ამ ამ ხაზით და არა ლარინის ხაზით".**

კამათი ამხ. ძერჟინსკის მოხსენების გამო

ბუხარინის გამოსვლის შემდეგ გაიმართა კამათი ძერჟინსკის მოხსენების გამო. გამოვიდენ ამხ. მედვედევი, ლეპსე, დადჩენკო, ურიევსკი და სტიევსკი.

ამხ. ძერჟინსკის საბოლოო სიტყვა

საბოლოო სიტყვაში ძერჟინსკიმ აღნიშნა, რომ შრომის ნაყოფიერება საგრძნობლათ გაიზარდა. პარტიის მიერ დაწყებულ შრომის ნაყოფიერების გადიდების კამპანიას მხარი დაუჭირა მთელმა მუშათა კლასმა. და ის წარმატებით იქნა დამთავრებული. შრომის ნაყოფიერების გადიდების აუცილებლობა ეხლა სავსებით შეგნებული აქვს თვითეულ მუშას. მაგრამ როცა ისმება საკითხი სამუშაო ხელფასის გადიდების შესახებ შრომის ნაყოფიერების გადიდებასთან დაკავშირებით, მაშინ არ ხდება სისწორით გათვალისწინება იმისი, თუ რას წარმოადგენს შრომის ნაყოფიერება. ხომ თვითეული მუშის ნამუშევარის ნორმის გადიდება დამოკიდებულია არა მარტო მუშის შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე და წარმოებაში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებაზე. ამიტომ არ შეიძლება ითქვას, რომ სამუშაო ხელფასის ზრდა ჩამორჩება შრომის ნაყოფიერების ზრდასო.

შემდეგ ძერჟინსკი ეხება საბინაო საკითხის მნიშვნელობას მუშებისათვის და აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ღებულობს ყოველივე ზომებს იმისათვის, რათა დააკმაყოფილოს მუშები ბინით. მაგრამ ამასთან ერთად სახელმწიფოს უხდება ანგარიშის გაწევა იმ საშუალებებისათვის, რომელიც მას მოეპოვება.

ძერჟინსკი უპასუხებს ერთ-ერთ შემოტანილ წერილობით შეკითხვაზე იმის შესახებ, თუ როგორ შეგვიძლია ჩვენ დავეხმაროთ შინამრეწველებს, როცა ჩვენი ლითონის მრეწველობა თვითონვე ძალიან ღარიბია. ძერჟინსკი აღნიშნავს, რომ ჩვენ არც ისე ღარიბი ვართ, როგორც ჩვენ გვეჩვენება. მაგალითად, ლითონის მრეწველობაში მოიპოვება დიდძალი სიმდიდრე, რომელიც არ არის გამოყენებული, ავიღოთ თუნდაც სხვა და სხვა ნამტვრევები, რომელიც დიდ სარგებლობას მოუტანს შინამრეწველობას.

რეზოლიუცია მოხსენების გამო

ძერჟინსკის საბოლოო სიტყვის შემდეგ კონფერენცია ღებულობს ძერჟინსკის მიერ შემოტანილ რეზოლიუციას შენიშვნით, რომ რეზოლიუციის პირველ მუხლში არსებული ციფრი ლითონის მრეწველობის 1924-25 წლის პროგრამის გადიდების შესახებ შეფარდებული უნდა იქნეს სათანადო დაწესებულებებთან.

მისალმება დნეპრის ქარხნის მუშებს

სხდომის დასასრულს კონფერენციამ დაადგინა გაუგზავნოს მისალმება დნეპრის ლითონის ქარხნის მუშებს იქ ახალი ღუმელის ამუშავების გამო, რაც კონფერენციას აცნობა ძერჟინსკიმ.

კომინტერნის და რუსეთის კომპარტიის ამოცანები

ამხ. ზინოვიევის მოხსენება

მოსკოვი. 30 აპრილი. პარტკონფერენციის 29 აპრილის საღამოს სხდომაზე ზინოვიევმა გააკეთა მოხსენება კომინტერნის და რუსეთის კომპარტიის ამოცანების შესახებ, კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული სესიის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით.

მოხსენების გამო კონფერენციამ ერთხმად დაადგინა:

„სავსებით შეუერთდეს კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმის გადაწყვეტილებებს და მოიწონოს რუსეთის კომპარტიის დელეგაციის მოქმედება ამ პლენუმზე".

რევოლიუციონური კანონიერების შესახებ

ამხ. სოლცის მოხსენება

ზინოვიევის მოხსენების შემდეგ სოლცმა გააკეთა მოხსენება რევოლიუციონური კანონიერების შესახებ.

სოლცი აღნიშნავს, რომ უკანასკნელ დროს საქმეების რიცხვი სხვა და სხვა გვარ ბოროტმოქმედებათა შესახებ საგრძნობლად გაიზარდა მაგრამ არა იმიტომ, რომ გახშირდა ბოროტმოქმედებები, არამედ იმიტომ, რომ მათ **უფრო მეტი ყურადღება ექცევა** და აგრეთვე იმიტომაც, რომ თვით **მოსახლეობა მუშკორების და გლეხკომების სახით დადგა რევოლიუციონური კანონიერების სადარაჯოზე.**

სოლცს მოჰყავს საშინელ ბოროტმოქმედებათა მთელი რიგი და აღნიშნავს, რომ აუცილებლად უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ **საპასუხისმგებლო სამუშაოსათვის შერჩეული იქნენ მხოლოდ სავსებით კეთილსინდისიერი მუშაკები.**

„მშრომელთა ფართო წრეებმა და პარტიის წევრებმა,—ამბობს ის,—უნდა შეიგნონ, რომ **ჩვენს მიერვე შექმნილ კანონების დაცვა ამტკიცებს საბჭოთა წესწყობილებას, ხოლო ამ კანონების დარღვევა არღვევს ამ წესწყობილებას.** რამდენად უფრო სისწორით შევასრულებთ კანონებს, მით უფრო მეტად მივაპყრობთ მოსახლეობის ფართო წრეებს ჩვენს მხარეზე".

რეზოლიუცია ამხ. სოლცის მოხსენების გამო

სოლცის მოხსენების გამო კონფერენციას არ გაუხსნია კამათი და ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ავალებს ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიას შეიმუშაონ ყველა აუცილებელი ორგანიზაციული ღონისძიებები რევოლიუციონური კანონიერების გასამტკიცებლად და ეს. ღონისძიებები გაატარონ საბჭოთა წესით.

რეზოლიუციების მიღება

შემდეგ კონფერენციამ მოისმინა რეზოლიუციები და მათში შეტანილი შესწორებები, შემუშავებული სათანადო კომისიების მიერ. რეზოლიუციები მიღებულ იქნა ერთხმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონფერენციის დახურვა

ამხ. კამენევის საბოლოო სიტყვა

კონფერენციის დახურვის წინ კამენევი ლაპარაკობს.

ჩვენ სწრაფად ვიზრდებით.

კონფერენციამ განიხილა მთელი რიგი მნიშვნელოვან საკითხებისა, რომელიც დასმული იყო დღის წესრიგში. ჩვენ ერთხელ კიდევ საშუალება მოგვეცა ძერჟინსკის მოხსენებით დავრწმუნებულიყავით, რომ **ჩვენი მრეწველობა** და აგრეთვე დიქტატურის ძირითადი ძალა—პროლეტარიატი ვითარდება ისეთი ჩქარი ტემპით, რომელიც სრულ საშუალებას გვაძლევს სისწორით გავერკვიოთ იმ რთულ პირობებში, რომელშიაც ჩვენ ეხლა ვიმყოფებით. კონფერენციამ დიდი ყურადღება მიაქცია სამეურნეო პროცესებს, რომელთაც ადგილი აქვს სოფლად.

სოციალისტური ეკონომიკის განსავითარებლად

ცხადია, დიდი შეცდომა იქნებოდა, თუ ჩვენ არ გავითვალისწინებდით იმას, რომ საწარმოო ძალების იმ გაფართოების ნიადაგზე, რომელსაც დაადგა პარტია, სოფლად დაიწყებენ ზრდას სხვადასხვა კლასობრივი ძალები და რომ პარტიის ამოცანა იქნება სოფლად სხვადასხვა კლასების განვითარების დროს საკავშირო პროლეტარიატის ძალების განმტკიცება და ამ ძალების შემწეობით სოციალისტური ეკონომიკის საერთო საფუძვლების გამაგრება იმ ეკონომიკის წინააღმდეგ, რომელიც ვითარდება ბურჟუაზიული კალაპოტით ვაჭრობით იმ თავისუფლების გამო, რომელიც საფუძვლად უდევს ჩვენს ეხლანდელ ეკონომიურ პოლიტიკას.

ამ პროცესის მოწესრიგება ყველა იმ ძალების შემწეობით, რომლებიც იმყოფებიან პარტიის და სახელმწიფოს ხელში,—აი ამოცანა, რომელსაც ისახავს პარტია, სპობს რა ამავე დროს ყველა დაბრკოლებებს, რომლებიც ძველი, უკვე განვლილი ეპოქის ნაშთების სახით ხელს უშლიდენ საწარმოო ძალების განვითარებას სოფლად. ამასთან დაკავშირებით ჩვენ დავსვით კონფერენციაზე საკითხი კანონიერების და აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ.

პარტიული ხელმძღვანელობის საკითხი.

ყველა ამ ამოცანების განხორციელება მრეწველობის და სოფლის საწარმოო ძალების განვითარების დარგში შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ **უზრუნველვყოფთ სწორ პარტიულ ხელმძღვანელობას.** ამიტომ იყო, რომ დღის წესრიგის პირველ მუხლში დასმული იყო პარტიულ—ორგანიზაციული საკითხი. პარტიულ-ორგანიზაციულ საკითხებში მთავარი ადგილი ეჭირა არა ამა თუ იმ ორგანიზაციულ ღონისძიებათა დეტალებს, არამედ ძირითად საკითხს პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების შესახებ, პარტიული ხელმძღვანელობის გატარებას ყველა მუშათა და გლეხთა ორგანიზაციების თვითმოქმედების განვითარების იმ ახალ პროცესებთან შეფარდებით რომლის ნიადაგზე ჩვენ ვდგევართ. **მხოლოდ მუშათა და გლეხთა თვითმოქმედების შემწეობით ჩვენ შევსძლებთ შემდეგში სახელმწიფოს მართვა-გამგეობას.**

პარტიის ხელმძღვანელობის ამოცანები ასეთ პირობებში გაცილებით უფრო რთული ხდება. ეს ამოცანები არ შეიძლება ისეთი ელემენტარული, პრიმიტიული იყოს, როგორიც იყო განვლილ ეპოქის დროს. ამ ამოცანებმა უნდა უზრუნველყოს მშრომელთა ფართო მასებში უფრო ღმად შეჭრა, ისინი უნდა წარმოადგენდენ **ნამდვილ შემაკავშირებელ ძალას კომუნისტურ პარტიისა და ქალაქის და სოფლის მშრომელ მასებს შორის.**

პარტიულ ყრილობამდე

ჩვენი პარტიული კონფერენცია სწარმოებს სრულიად რუსეთის და სრულიად საკავშირო საბჭოთა ყრილობების წინ. გადაწყვეტილებები, რომლებიც ჩვენ აქ მივიღეთ, ცხადია, საფუძვლად დაედება პრაქტიკულ სახელმწიფოებრივ ღონისძიებებს, რომელთაც გაატარებს ჩვენი პარტია ამ ყრილობებზე. პარტიის ყრილობა მოსალოდნელია მხოლოდ ნახევარი წლის შემდეგ. ჩვენ სავსებით გათვალისწინებული გვაქვს, თუ რამდენად ძნელია ამ რთულ პირობებში, ასეთ რთული ამოცანების დროს, რომელთაც ჩვენ ვისახავთ, **ბოლშევიზმის იდეური ღერძის შენარჩუნება, ყველა ჩვენი ღონისძიებების გამსჭვალვა ჭეშმარიტი პროლეტარული სულით,** რათა ცალკე ნაწილობრივ ღონისძიებათა გულისთვის **არ იქნეს მივიწყებული საერთო მიზნები,** რომელიც სდგას ჩვენს, როგორც საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციონერების, წინაშე.

ეს ნახევარი წელი, რომელიც დარჩა პარტიულ ყრილობამდე, პარტიამ უნდა გამოიყენოს იმისათვის, რომ სერიოზულად გაერკვიოს ახალ სოციალურ პროცესებში, რომელთაც ადგილი აქვს ხალხთა ფართო მასებში, და განსაკუთრებით სოფლად, რომ გადასინჯოს ყველა გადაწყვეტილებები, რომლებიც ჩვენ ეხლა გამოვიტანეთ, და მოამზადოს პარტიული ყრილობისათვის ჩვენი პარტიის ნამდვილი, ბოლომდე მოფიქრებული მტკიცე პოლიტიკა.

ჩვენი პარტია და კომინტერნი

კომინტერნმა იცის, რომ ჩვენ **მზად ვართ ვემსახუროთ კომუნისტურ ინტერნაციონალს და მსოფლიო მუშათა მოძრაობას** არა მარტო ჩვენი—იმ პარტიის გამოცდილებით, რომელმაც ყველაზე მეტი გააკეთა, ვიდრე რომელიმე კომპარტიამ—არა მარტო დიად გამარჯვებების დროს მიღებულ გამოცდილებით. ჩვენი პარტია მზად არის გაუზიაროს მას აგრეთვე თავისი გამოცდილება, მიღებული ყოველდღიური მუშაობის—რეაქციის წლებში მუშაობის დროს. ხოლო ნამდვილი სწორი პოლიტიკის გამოცდილებით, რომელიც მიმართულია **სოციალისტური ელემენტების გაძლიერებისაკენ ჩვენს მეურნეობაში,** ჩვენ დავამტკიცებთ, რომ მსოფლიო რევოლიუციის შენელებული ტემპის დროს სოციალიზმი უნდა შენდებოდეს, შეიძლება შენდებოდეს, და აშენდება ჩვენი ქვეყნის **გლეხობასთან შეკავშირებით.**

მე-14-ე პარტკონფერენციის სხდომებს დამთავრებულად ვაცხადებ".

დელეგატები დგებიან, მღერიან „ინტერნაციონალს".

დღეს

(ერთიანი ფრონტის იდეის გამო)

ახ, ერთხელ კიდევ მსურს ამღერება
და კვლავ ცდა ბევრჯერ ნაცადი ჩანგის!
ბოლო არ არის ეს ამღერება:
მე არ მჩვევია შეწყვეტა ჰანგის.
ამბობენ... მაგრამ... ეჰ, რა ფასი აქვს,
შორით რომ მტყორცნონ სიტყვა ჩარჩული?
ამბობენ... მაგრამ, ვიცი, რომ ამ თქმას
სხვა სუნი ასდის, სხვა აქვს სარჩული!..
ჩემო სულის დგმავ, ჩემი ჰანგები
შენს იქით ჯერ მე არ მიმღერია
და წრფელის გრძნობის ისარ ნაგები
გულიც ხომ შენგნით ანაძგერია!
ვისაც სურს იგი ჩამოგაშოროს
და გადაგკიდოს სამტროდ, სართულოთ,
დე, თავი თვისი მან მოაღოროს,
ჩვენ კი კვლავ ტკბილად ჩავუქართულოთ...
ჩვენ ერთი ბედი მუდამ თან გვდევდა
და იყო ჩაგვრა მისი სახელი!
მაგრამ ბნელ წარსულს ჩაჰბარდა სევდა,
მასთან გადაჰყვა „შორი ნაღველი"...
დღეს იმ წარსულის მწარმოგონებებს
გული ადრინდლებრ არ ემონება,
ვით მთით დახვრეტილ ღრუბელთა კრებებს,
ცის დასავალს რომ გადეწონება.
და გუშინდელი კოკის პირული
წვიმა და თქეში, ელვა, ქუხილი
დღეს სდგას, ვით კითხვა ამოწურული,
ვით დანაამი ქვეყნის წუხილი!
დღეს ყველა წყლული ამომშრალია,
შემრთელებული ყველა ჭრილობა,
დღეს ხვალინდელ დღის კვირა ძალია
და რის მოწყენა? რის გულგრილობა?!.
ერთს ჩემს ქალს ხელში დროშა უპყრია
და ზედ ამოჰყავს სიფრთხილით ქარგი,
აქ ყვავილები კალოთა ჰყრია,
ალბათ, ხვალ დარიც იქნება კარგი.
პატარა ქალი კონებსა ჰკონავს
და ყვავილებში ისე ჩაფლულა,
რომ გეგონებათ ფუტკარი ჰფონავს,
ყვავილთ წვენში რომ ამოთაფლულა.
დედა მათ წითელს რტყელებს უმზადებს,
და რადგან უყვარს თვისი შვილები,
კაბებზე აბნევს წითელს სკვნილ-ბანდებს,
წითლად მოჰქუზა ყველა ღილები...
რა გულმოდგინეთ ემზადებიან?
თან რა თამამად? რა გაბედულად?
ნუ თუ ერთს წუთს არ დაფიქრდებიან
დროზე, აწ რომ სჩანს შორი წარსულად?!.
რა სულელი ხარ, ეჰ, თავო ჩემო!
დღეს ვის რათ უნდა ეს დაფიქრება?
შენ გცემს ეს ნისლი, თორემ გარშემო
სუყველა აწმყოს ზეიმით თვრება!..

⁂

გათენდა უკვე, მზიანი დღეა.
დილიდან ქუჩამც იწყო მზადება.
ყველგან წითელი დროშების ტყეა
და ყველგან წინსვლის წინადადება!..
მოდიან კიდეც: წყებას სცვლის წყება,
დროშები პლაკატს, პლაკატი-დროშებს,
ან სად თავდება? ან სად იწყება?..
ვაცილებთ დიდებს!.. ვაცილებთ ბავშებს!..
ჩვენები უკვე რიგებში დგანან,
მეც ავფორხდი, მივათრევ გარგანს...
იქ, წინ დროშებში აღარც კი სჩანან...
ქუჩა ვერ უძლებს ამ ხმების გრაგანს...
ასე ირთვება ჩვენი მაისი,
წითელ ფერებით და ამ ხმაურით!
მუშათა კლასმა სცნა თავი თვისი
უთვალავ მსხვერპლით, ურიცხვ ტრაურით...
ძვირფასი ძვლებით მოკენჭულს გზაზე
მხნედ მიაბიჯებს არმია შრომის,
სცემს ბრძოლის დაფი ზეიმის ხმაზე
და ფრთას შლის წვევა კვლავ ბრძოლის ნდომის!..

⁂

არ ვიცი, რისთვის აჩუყდა გული?
მე უსუსური ხომ არ ვარ ბავშვი,
მაგრამ ფიქრები, მივიწყებული,
კვლავ აირივენ ბუზივით თავში!..
უბირი ქოხი!.. მიმქრალი კერა!..
და კერის პირას—წვრილი ბალღები!
ზამთრობით—ცივი გრიგალის მღერა,
ზაფხულში—მწვანე ტყე და ბაღები.
განთიადის ჟამს მერცხლის ჭღურტული
და გამყიანი ბულბულის სტვენა;
დილით აღლილი კარზე ურდული,
და საღამომდის ხტუნვა და რბენა...
საძოვრებზე ნახირის რეკა,
ჭყუმპალაობა შუადღით წყალში,
წრისა შედგენა, მღერა და ცეკვა
და მიყოლებით ზედ ჩქარი ტაში!..
იქით, ყანებში—გრძელი ნადური,
მჭრელი თოხების ხშირი წკრიალი,
შუბლით და მკერდით ჩამონაწური,
თითის ჩამოსმით, ოფლის თქრიალი...
სილიან ქვაზე თოხის დარეკა
და გატანილი სველი ნაპირი,
დილით ბინდამდის სულ ქედის ზნექა
და უნაყოფო საქმელი, მწირი,
ძუნწი ცხოვრების ერთფეროვნება
ზოგი დალხენით გადასერილი,
წინ-გაურკვევი იმედოვნება,
ტანჯული ყოფის შავი წერილი;
შინუდიერი ცოლშვილთან ქცევა
გარეთ-შეხვედრა თავაზიანი,
მიზნის მიღწევის ძვირი შემთხვევა,
უსარგებლო ცდის ხშირი ზიანი.
ზნე-ჩვეულების მტკიცე კოდექსი
მტვერით, მჭვარტლით და აბლაბუდებით
ნახვეწი, როგორც ქარაგმა ლექსი,
ზოგადი განცდის ტკბილი წუთებით...
სიზმრის კოშკები, მოჩვენებითნი,
ეკლესიაში—მნათის ბურტყუნი,
ხის ფირფიტებზე ნახატნი მითნი
და მათრობელი საკმევლის სუნი...
შობა, ულლობა და განსვენება...
ემბაზი, ჯვარი, კუბო და ზეთი...
იმ ქვეყნიური ტკბილმოჩვენება
და უხილავი ამ ქვეყნად ღმერთი!
გადასახადი, დრამა, ბეგარა
და სამეზობლო გადასახური...
ჯიბე ალკატი, ენა მკვეხარა,
და ფიცი, პირჯვარ-გადასახული...
შობა, კალანდა, მარხვა, აღდგომა...
გაბურძგნილ წვერთა გამზეურება...
კვლავ ქედწახრილი შრომა, სულ შრომა
და სექტემბრამდე ბედის მდურვება...
საზამთროდ შეშის მომარაგება
და ისევ ოდნავ მბჟუტავი კერა...
ლოგინის გაშლა, კვლავ ალაგება...
გარეთ კვლავ ცივი გრიგალის მღერა...
ჰაერში ნისლთა კორიანტელი,
ძირს კი გაშლილი თოვლის ლოგინი...
ნანატრი სითბო და ილოჰრელი,
და გაზაფხულის ისევ ლოდინი!..

⁂

დრო თითქოს განგებ იგვიანებდა:
„არსაიდგან ხმა, არსით ძახილი"!..
და მთის ყრუ ღრანტეთ ახმიანებდა
მოძრავი ბრძოლის ცივი ხრახნილი.
დღე-ღამის დინჯი ცვალებადობა,
და წელიწადის დროთა ტრიალი...
ერთის მხრით, უქმი არამზადობა,
და მეორე მხრით—ზრუნვა-წლიალი...
უკმაყოფილო სული—ამბოხი,
მზეცურის თვალით გამომზირალი,
მრავლად ცალ გვერდზე წახრილი ქოხი,
და გავარდნილი ტყეში ფირალი...
სოფლის და დაბის აწიოკება,
შორს, შორს განთქმული ამით სახელი,
აქით—უდროოდ დღის გამოკლება
და იქით—ბევრი ამის მძრახველი...
სიმდიდრის ხვავა მკლავის ძალობით,
თან მასიური გაღარიბება
და [illegible] ნელის თანდათანობით
საერთო აზრის დაყალიბება!..

⁂

აჰა, ნანატრი ის გაზაფხულიც,
სხვა გაზაფხულთა წინამორბედი!
მას სხვაფრივ შეხვდა სული და გული
და ჩაისახა სულ სხვა იმედი!..
გავიდა მარტი, დადგა აპრილი,
და ის, მაისმა რომ გადასერა,
მძიმე კაეშნით ძირს თავდახრილი
უცბათ გასწორდა ღარიბი კერა.
წითელის ალმით ეწვია სატრფო,
გულზე ებნია მინდვრის ყაყაჩო,
უსაზღვრო გრძნობის ეშხით დაათრო,
საკაცობრიო აზრებს გააცნო.
და ქედ მოხრილთა მკვდრეთით აღდგომა
გაბურძგნილ წვერთა გამზეურებით!..
ბრძოლის ემბლემით გაივსო შრომა
ალტაცებულის აზღვაურებით!..

⁂

გადადგა შობა, დადგა კალანდა,
თვით აღდგომასაც გაუკრთა ფერი!
ყოფნა წინ სწრაფად ისე გაქანდა,
რომ „დაიფერთხა წარსულის მტვერი"!..
აბლაბუდები დაწყდა ყოველგან,
თუმც შრომას შერჩა მჭვარტლი და მური,
ჩანგი აკვნესდა ქარხნის კედელთან,
მას აჰყვა დაფი და სალამური.
ყველგან ერთობის სიმი გაება,
ქოხს გადაეხდო მაგავსივე ქოხი,
რწმენამ დაიპყრო თვით უკვდავება
და ბრძოლის ცეცხლმა შვა ქვეყნის ოხი.
მაისის ვარდის სათუთ სიტურფეს
ფოლადის წრთობა გადაექსოვა,
თავს ვერ უჭერენ ნების სიურჩეს,
ბრძოლის ყიჟინამ შესცვალა გლოვა.
მერმისი მოსჩანს ხუნდ-აყრილ შრომად
სხვა მეუფება ყველა ჩაიქცა
და მთელის ქვეყნის მკვდრეთით აღმდგომად
პირველ მაისის დღე გადაიქცა!..

⁂

დღეს მთელ მსოფლიოს ყოფნის არეზე
შრომის არმია გამოფენილი,
მოლალობზე, მოასპარეზე
და მოაღლუმე, გამოჩენილი!
ერთიან ფრონტის ერთი მიზანი
საერთო რწმენას გააფოლადებს
და მიაბიჯებს, როგორც ტიტანი,
და მტრის უბნებში შიშის ზარს ჰბადებს!

. . . .

⁂

ჰეი, ამ რიგებს არვინ ჩამორჩენ!
მეთაურებო, სწორება მარცხნით...
თქვენ, ველნო, გზები ხალებით მორთეთ!
მთებო! თქვენ ქოჩრებს გადაივარცხნით.
ტყევ! ლურჯი ფარჩა ფეხქვეშ გაგვიგეთ,
ნაკადულებო! მოგვირწყეთ გზები...
ყველა მოწესე—მოთადარიგეთ.
სწრაფად დარაზმეთ თქვენი რაზმები!
ეს ჩვენი წინსვლა, გრანდიოზული,
არსად შეფერხდეს, არსად შეჩერდეს!
ძირს ძველი ყოფა, ბურჟუაზული,
რომ შრომის მხარე გამშვენიერდეს!..

⁂

მოდიან კიდეც: წყებას სცვლის წყება,
დროშები—პლაკატს, პლაკატი—დროშებს...
იქ სად თავდება? აქ სად იწყება?
ვაცილებ დიდებს!.. ვაცილებ ბავშებს!..
დიდი, პატარა, მუშა, მოლაშქრე...
რაზმი—რაზმს მოსდევს, უფრო წარმტაცი!
ყველა მოქმედობს, არ არის დამსწრე:
მილიონია, ვით ერთი კაცი!..
აქ—პიონერთა ვიწრო მდინარე,
იქით—მოსწავლე ახალგაზრდობა,
ყველა ხალისით პირმომცინარე,
გრძნობის და აზრის ღიათ გამდობა!
ეჰ, უწინ, ადრე ასე არ იყო,
გრძნობა და აზრი ნისლში ეხვია,
იატაკ ქვევით—გეგმა, სარიგო,
ზევით კი მისთვის პასუხად-ტყვია!
ძალთა მდინარე, დაუშრეტელი,
გზას მაინც მედგრათ მიიკვლევდა,
თუმც უამრავი ზღუდე-კედელი
ამ წინსვლას [illegible], წელში რკალავდა!..
მაგრამ, სანაცვლოთ, იყო სხვა რამე:
ბორკილ ნადები თუმც სჩანდა ბედი,
თანამყოსაც თუმცა მკლავთ ჰხვევდა ღამე,
შუქს გვფენდა რწმენის შარავანდედი!
იყო იმედი, ხალისიანი,
ხვალინდელი დღის უცნობი სახის!
ოცნება-სწრაფი! აზრი-ფრთიანი!
ნდობა სპარტაკის და კაიგრაკხის!
გზა ეკლიანი, სისხლით ნალეკი,
და გაბადრული შორი ცისკარი,
თავდადებულ გმირთ წინ ანარეკლი
და თან უძლეველ მებრძოლთ ლაშქარი...
თავშესაფარი თუმც არ სჩნდა მყუდრო,
ლტოლვა კი იყო იქითკენ სწრაფი:
მარჯვეთ უტევდა ელამი მუდო,
ისმოდა წვევა და ბრძოლის დაფი!..
და თუმცა კვნესდა მგოსნის ებანი,
და ჩანგი თუმცა ყრუდ ქვითინებდა,
კრძალვით ისმენდა შრომის უბანი,
ზედაც თვით გრძნობით დაჰლილინებდა...
გრდემლთან საკინძე გადაღეღილი,
ხელში, ჩაქუჩით, იდგა მჭედელი,
მხვნელ-მთესველს წინ ზღვა ედგა ჯეჯილი,
იქვე-გუთანი და საკვეთელი...
გზის მუშები და მეზღვაურები
ელმუშაკებთან იყვნენ კავშირში,
და ვით მუდამ მზა მოგზაურები
ზვირთნი იყრიდენ თავს ზღვის ნაპირში.
რომ ყველას ერთად დაეწყოთ ტევა
და სივრცე ზღვისა გადაესერათ...
შუბლზე ჯანღ დაკრულ ცას გავდა თნევა,
გამზადებული მეხის საძგერათ!
და ჩუ!.. თუ სადმე იგრიალებდა:
ვით ტყვიის მფრქვევის სწრაფი ჩახ-ჩახი,
მტერს მისი ზარი გულს უწყალებდა:
უნდა გენახათ მისი ცახ-ცახი!
არ ვიტყვი, რომ არ გვიბრუნებდა ხელს
და მზათ არ ჰქონდა მკაცრი პასუხი,
ოჰ, გული ბევრჯერ დაუწვავს ნაღველს
და პირზეც ბევრჯერ გვედო მარწუხი...

⁂

დღეს კი აქ ვინმეს რომ შეეკითხოთ
და მოაგონოთ ძველი ჩრდილები,
რომ თანაგრძნობით თქვენსკენ მიიმხროთ,
ვეჭვობ, ეგ მითქვამს გამოცდილებით.
ახალმა ხანამ შორს გადაშალა
წარმოდგენათა მკრივი საზღვრები:
დღეს ერთში ტოკავს მილიონთ ძალა
და ვის რათ უნდა ძველი ზღაპრები?!
დღეს პოეზიაც ისე მდუმარებს,
ვით ამ მაისში პირსავსე მთვარე,
და ეს ცხოვრება უშნო ხუმარებს
შეჰყურებს გესლით პირმომცინარე!..
ღამით საზი თუ აკვნესდება,
იქ მას ყურს უგდებს აღმოსავლეთი,
და ბრძოლის არეც იქ დაწესდება,
სადაც მებრძოლი სჩანს არა ერთი!
ნაცნობი ჰანგი არსად არ სტყუის,
საზიც სევდებს გამოსთქვამს სწორათ!
ძალდატანება იქნება ჭკუის
საერთო კილოს გათიშვა ორათ!..
დღეს დღეა ძმობის, დიდი ერთობის,
დღეს მილიონებს წინ მიაქვთ დროშა:
დამძობილება ჩანგის და თოფის,
და რწმენის ქცევა იმედის კოშკად!
დღეს მთელ მსოფლიოს ყოფნის არეზე
შრომის ჯარია გამოფენილი,
ვით მოლალოზე, მოასპარეზე
და მოაღლუმე, გამოჩენილი!
ერთიან ფრონტის ერთი მიზანი
საერთო წმენას გააფოლადებს
და მიაბიჯებს, როგორც ტიტანი,
და მტრის უბანში შიშის ზარს ჰბადებს!..

⁂

ჰეი, ამ რიგებს არვინ ჩამორჩეთ!
მეთაურებო, სწორება მარცხნით!..
თქვენ, ველნო, გზები ხალებით მორთეთ!
მთებო, თქვენ ქოჩრებს გადაივარცხნით!
ტყევ, ლურჯი ფარჩა ფეხქვეშ გაგვიგეთ!
ნაკადულებო, მოგვირწყეთ გზები!
ყველა მოწესე—მოთადარიგეთ
სწრაფათ დარაზმონ უნდა რაზმები,
რომ ჩვენი წინსვლა, გრანდიოზული,
არსად შეფერხდეს, არსად შეჩერდეს...
ძირს ძველი ყოფა ბურჟუაზიული,
რომ შრომის მხარე გამშვენიერდეს!..

ნ. ზომლეთელი

ს. ს. ს. რ. სახ. კომისარი...
სამხედრო-განყოფილებ...

პრესის დღისათვის

რ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ცირკულიარული წერილი

5 მაისი—პრესის დღეა. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი პარტიული ორგანიზაციების ყურადღებას მიაქცევს ამ დღის უდიდეს პოლიტიკურ მნიშვნელობაზე. განსაკუთრებით ეხლანდელ დროში ჩვენი პარტიული—საბჭოთა პრესა მოწოდებულია უდიდესი ორგანიზატორული, საგიტაციო და პოლიტიკურ-განმანათლებელი როლი ითამაშოს.

1925 წლის პრესის დღის ძირითადი ლოზუნგები, ძირითადი შინაარსია:

კიდევ უფრო მჭიდრო კავშირი მასებთან; კიდევ უფრო ახლო უნდა მიუდგეთ მშრომელთა ყოველდღიურ ცხოვრებას და მუშაობას. სამეურნეო აღმშენებლობა ქალაქში და სოფლად, საბჭოების მუშაობა, გლეხობის და ახალგაზრდობის პოლიტიკური აღზრდა, ყოველგვარი დახმარება მუშათა და გლეხთა არმიის აღმშენებლობას,—აი პარტიის და, და მაშასადამე, პრესის მორიგი ამოცანები.

ამ მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტაში განსაკუთრებულ როლს თამაშობენ მუშკორები და სოფლის კორესპოდენტები. კავშირი მასებთან უპირველეს ყოვლისა მათი საშუალებით უნდა იქნეს განხორციელებული.

მეორე მხრით მუშკორების და სოფლის კორესპონდენტებისაგან გამოიყოფებიან ახალი წრე კულტურულ-პოლიტიკური მუშაკებისა პროლეტარიატის—ჟურნალისტები, მწერლები, პოეტები, კრიტიკოსები.

ამიტომ პრესის დღე იმავე დროს არის მუშკორების და სოფლის კორესპონდენტების დღეც; და ის ჩატარებული უნდა იქნეს მუშკორების და სოფკორების მუშათა და გლეხთა მასებთან მეტი დაახლოვების ნიშან ქვეშ.

გავრცელების სფეროში ჩვენი პრესის მიღწევები თვალსაჩინოა, მაგრამ ის არ არის საკმარისი. სოფელი ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ იღებს ბეჭვდითი სიტყვის ნაწარმოებებს. გაზეთი და წიგნები სოფელში—ბიბლიოთეკებში, სკოლებში, ქოხ-სამკითხველოებში,—ეს ლოზუნგი პრესის დღეს დასმული უნდა იქნეს მისი პრაქტიკული განხორციელების ნიადაგზე. გაზეთების რედაქციებმა, ბეჭვდითი სიტყვის განყოფილებებმა, სამაზრო კომიტეტების საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებებმა უნდა შეიმუშაონ ღონისძიებების სისტემა ამ პოლიტიკურად მნიშვნელოვან ლოზუნგის პრაქტიკულ განხორციელებისათვის.

თვით პრესის დღეს საჭიროა რაც შეიძლება ფართოდ იქნეს მოწყობილი პარტიული, კომკავშირელთა, ქალთა და უპარტიოთა კრებები· კრებებზე წაკითხული უნდა იქნეს მოხსენებები ბოლშევიკური პრესის ისტორიის და მისი ძირითადი თვისებების შესახებ, მოხსენებები პრესის როლის და მნიშვნელობის შესახებ ამ ჟამად და იმ ამოცანების შესახებ, რომლებიც დასმულია მის წინაშე. მოხსენების შემდეგ სასურველია პრესის პრაქტიკული საკითხების განხილვა—გაზეთების საკორესპონდენტო კავშირი, გაზეთების გავრცელება და სხვა.

რ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივანი
ს. ორჯონიკიძე.

ბეჭვდითი სიტყვის განყოფილების გამგე ილ. ვარდინი.

უკანასკნელი ცნობები

ჩერვონეცი კონსტანტინოპოლის ბირჟაზე

კონსტანტინოპოლი, 29 აპრილი. კონსტანტინოპოლის ბირჟაზე ჩერვონეცი ღირს 9 ოსმალური ლირა და 70 პიასტრი.

გრაბსკის განცხადება

ვარშავა, 29 აპრილი. პოლონეთის მინისტრთა საბჭოს თავჯდომარემ გრაბსკიმ განაცხადა ვარშავაში რომ არავის არ შეუძლია იფიქროს, თითქოს პოლონეთი ნებაყოფლობით დასთანხმდება თავის საზღვრების შეცვლაზე, რისი სურვილებიც აქვს გერმანიას.

იტალიის კომუნისტები თანდათან ძლიერდებიან

რომი, 29 აპრილი. ტურინში მელითონეთა კავშირის კომიტეტის არჩევნებზე კომუნისტებმა მიიღეს ხმების 39 პროც. რეფორმისტ—მაქსიმალისტების სიასთან შეერთების შემდეგ კი—62 პროც. წარსულ არჩევნებთან შედარებით ნდობა კომუნისტებისადმი საკმაოდ გაიზარდა.

კომპრომისული გადაწყვეტილება

სტოკჰოლმი. 29 აპრილი. რიქსდაგის კომისიამ გამოიტანა კომპრომისული დადგენილება შეიარაღების შემცირების საკითხის შესახებ; ამ საკითხში სოციალ-დემოკრატებმა დაუთმეს თავისუფალ მოაზროვნეთ. თანახმად ამ დადგენილებისა შვეციის ქვეითი ჯარი შესდგება 20 პოლკისა და ტანკების ბატალიონისაგან. ჯარისკაცთა სამსახურის ვადა გაგრძელდება 225 დღეს.

უშედეგო ცდები.

პარიზი. 29 აპრილი. რეაქციონური პრესა გაბრაზებულია, რომ შამპიონეს ქუჩაზე მომხდარ შეტაკების შემდეგ კომუნისტების ბინაზე ჩხრეკის დროს ვერ აღმოაჩინეს მათთვის საჭირო საბუთები. რეაქციონერები ამაში ბრალს სდებენ მთავრობას, ვინაიდან მან თავის დროზე არ მიიღო საჭირო ზომები.

საშინელი სურათი.

ლონდონი. 29 აპრილი. გამოქვეყნდა ანგარიში ინგლისის მუშათა პარტიის წევრების ვეჯვუდის, მაკ-კინდერის და მელონის ბულგარეთში მოგზაურობის შესახებ.

ამ ანგარიშის მიხედვით დაპატიმრებულია 4.000-ზე მეტი ბულგარელი, რამდენიმე ასეული კაცი მოკლულია გაუსამართლებლად.

ანგარიშის ავტორები წინადადებას იძლევიან პროტესტი იქნას განცხადებული სასამართლოს დაუდგენლად დაპატიმრებათა და მკვლელობათა წინააღმდეგ და მოკავშირეებმა მოითხოვონ ამ უახლოეს დროისთვის უფრო თავისუფალი საყოველთაო არჩევნების დანიშვნა დემოკრატიულ წყობილების დამყარების მიზნით.

პენლევე ამხ. კრასინთან.

პარიზი, 29 აპრილი. ჰავასის სააგენტოს ცნობით საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ინახულა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საფრანგეთში ამხ. კრასინი.

კრასინის პროტესტი.

პარიზი, 29 აპრილი. მილიერანის სიტყვის გამო, რომელიც საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს ბრალსა სდებდა კომუნისტურ პროპაგანდაში, კრასინმა მიმართა ჰავასის სააგენტოს წერილით, სადაც ის პროტესტს აცხადებს ასეთ განცხადებათა წინააღმდეგ და ამბობს:

საბჭოთა კავშირის საელჩოს ერთად-ერთ მიზნად დასახული აქვს ხელი შეუწყოს ოფიციალურ ურთიერთობას საბჭოთა და საფრანგეთის მთავრობათა შორის, არ ღებულობს და არც არასოდეს მიუღია რაიმე მონაწილეობა საფრანგეთის რომელიმე პოლიტიკურ პარტიის მოღვაწეობაში, არასოდეს არ გამოსულა და არც გამოდის საფრანგეთისა და მისი სოციალური წყობილების წინააღმდეგ.

მორიგი პროვოკაცია

ლონდონი. 29 აპრილი. რეიტერის სააგენტოს ცნობით—29 აპრილს ლონდონში ხმები დადიოდა, რომ უცხოეთის ერთ-ერთ ელჩთაგანს საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის შეუტყობინებია, თითქოს საგარეო საქმეთა მინისტრის ჩემბერლენის წინააღმდეგ შეთქმულება იყვეს მოწყობილი. ამასთანავე ეცნობოდა, რომ შეთქმულება მოწყობილია ევროპის ერთ-ერთ სატახტო ქალაქში, რომელიც ითვლება ასეთ შეთქმულებათა ცენტრად, სადაც მოამზადეს სოფიის სამხედრო ტაძრის აფეთქებაც. რეიტერის სააგენტო დასძენს: პოლიციამ ოფიციალურათ შეატყობინა სააგენტოს, რომ ამათ არავითარი ცნობა არ მოეპოვებათ ჩემბერლენის წინააღმდეგ შეთქმულების შესახებ.

ბულგარეთის ამბები

უკმე შეურიგდენ.

ვენა. 29 აპრილი. ბოლგარეთის მთავრობამ გამოუშვა განცხადება სადაც ნათქვამია, რომ იგი არას დროს არ ირწმუნებოდა, რომ სამხრეთ-სლავიის მთავრობა რაიმე მონაწილეობას იღებდა სოფიას აფეთქების მოწყობაში.

სამხრეთ-სლავიის გაზეთების ცნობით—პოლიტიკური წრეები ფიქრობენ, რომ ბულგარეთის მთავრობის განცხადება აქარწყლებს ყოველგვარ სიმწვავეს ამ ორი ქვეყნის ერთმანეთთან დამოკიდებულებაში.

თვით კონსერვატორებსაც კი აშფოთებს.

ლონდონი, 29 აპრილი. გარეშე საქმეთა მინისტრმა—ჩემბერლენმა განაცხადა თემთა პალატაში, რომ **ინგლისმა წინასწარ გაფრთხილება მისცა იმ რეპრესიების შესახებ, რომელიც გამოწვეულია სოფიის აფეთქების შემდეგ, კონსტიტუციურ ოპოზიციის წინააღმდეგ.**

ჩინეთ-საბჭოთა-კავშირის კონფერენციის ამოცანები

პეკინი, 29 აპრილი. რეიტერის სააგენტოს წარმომადგენელთან საუბრის დროს ჩინეთის წარმომადგენელმა მომავალ საბჭოთა-ჩინეთის კონფერენციაზე—ვან-ჩენ-ტინმა განაცხადა, რომ კონფერენცია განიხილავს შემდეგ საკითხებს:

1) აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზა 2) ნაოსნობა მდინარეებზე. 3) საზღვრების მოწესრიგება. 4) საერთო სავაჭრო ხელშეკრულობა. ბოლოს ვან-ჩენ-ტინგმა დასძინა, რომ კონფერენციის მოწვევის დრო ჯერ არ არის განსაზღვრული.

სამხრეთ-სლავიაში

რადიჩის პარტიის სრული ლიკვიდაცია

ვენა. 30 აპრ. რადიჩის პარტიის კაპიტულიაცია გაცხოველებულ ინტერესს იწვევს სამხრეთ-სლავიის პოლიტიკურ წრეებში. მუშათა გაზეთი „რადნიჩკა ბორბა", რომელიც ზაგრებში გამოდის, ამის შესახებ იტყობინება შემდეგ დაწვრილებით ცნობებს.

რადიჩის პარტიამ ზაგრებში იყიდა ერთი ცნობილი ხორვატელი სპეკულიანტის იურპიჩის სასახლე და **ამის გამო მას ხორვატიის მსხვილი ბანკების ვალი დაედო.**

ხორვატიის გლეხთა კოოპერატივები ბანკის გავლენის ქვეშ მოექცნენ. ასეთი კარების საშუალებით ბანკმა გადადგა ნაბიჯები, რომ თავის გავლენის ქვეშ მოექცია პარტიის ხელმძღვანელები და მათი საშუალებით—გლეხთა მასები.

თავისი საკაპიტულიაციო სიტყვა 27 მარტს რადიჩმა წარმოსთქვა თავის საიდუმლო მოკავშირეებთან—ბანკირებთან და რადიკალებთან შეთანხმებით და ამის შესახებ არ გააფრთხილა ოპოზიციის პრეზიდიუმი და გლეხთა კავშირის დეპუტატები.

უცხოეთის ცხოვრება

ამერიკის ფლოტის მანევრები და იაპონია

იაპონიის სამხედრო წრეებში მღელვარებაა, რამ ააშფოთა იაპონიის მილიტარისტები?

წყნარ ოკეანეში დაიწყო ამერიკის შეერთებულ შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების მანევრები.

ტერიტორიის სიდიდით და აგრეთვე ხანგრძლივობით ამ მანევრებს ვერ შეედრება გასულ წლების ვერც ერთი მანევრი. მანევრების ტერიტორია შეიცავს წყნარი ოკეანის მთელს სამხრეთ ნაწილს (ავსტრალიის და ახალი ზელანდიის ნაპირებამდე.) გავაიის არქიპელაგითურთ ცენტრში. პერიოდი, რომლის განმავლობაშიდაც მანევრები უნდა გაგრძელდეს, უდრის 6 თვეს. მანევრებში მონაწილეობას იღებენ ამერიკის ორივე ფლოტის (ატლანტიის და წყნარი ოკიანის) დიდი და მცირე გემები, რომელთა საერთო წყალწყვა ერთ მილიონს ტონას უდრის. მთელი ეს სამხედრო „თავის გართობა" უჯდება ამერიკის მთავრობას რამოდენიმე ათეული მილიონი დოლარი.

ამერიკის ფლოტის მანევრებმა იაპონიის მთელი პრესა ნერვიულად აალაპარაკა.

სამხედრო საქმის ცნობილი იაპონელი სპეციალისტს კაპიტან **ხიოონრის** ეჭვი არ ეპარება იმაში თუ ვინ ჰყავს მიზანში ამოღებული ამერიკის ზღვაზე განავარდებას. ამერიკის ფლოტს ერთად-ერთ მოწინააღმდეგედ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ იაპონიის ფლოტი, ამბობს იროონრი. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამერიკა იაპონიას თავის მტრად სთვლიდეს, არ შეიძლება მანევრები მოაწყო, თუ ნამდვილად არ გაქვს წარმოდგენილი მოჩვენებული მტრის ძალები და ის ადგილი, სადაც მტრის ძალები ჩასაფრებულნი არიანო. სამწუხარო მხოლოდ ის, რომ ამერიკამ თავის მანევრებით ახალი საბაბი მისცა იაპონიის მილიტარისტებს კვლავ აურზაური და განგაში ატეხათ შეიარაღების შესახებო.

ასეთი მშვიდობიანი წინასიტყვაობის შემდეგ, ავტორი იკვლევს ამერიკული და იაპონური სამხედრო ძალების შეფარდებას იმ შემთხვევისათვის, თუ ამ ორ სახელმწიფოს შორის ომი დაიწყო. ვაშინგტონის შეთანხმებამ იაპონიის და ამერიკის სარეისო გემებისა და მცურავ საავიაციო ბაზებისათვის დააწესა შეფარდება 5:3 ომის გამოცხადებისთანავე ამერიკა თავის სამხედრო საზღვაო ძალებს თავს მოუყრის გავაიის კუნძულებთან. მაშინ იაპონელებს სასწაული თუ შეაძლებინებს იერიში მიიტანონ მოწინააღმდეგეზე. იაპონიის ფლოტი დიდი ხნით მომწყვდეული იქნება იოკოსუკის ნაპირებთან. ამ დროს ომის წარმოება შესაძლებელი გახდება მხოლოდ საჰაერო ფლოტით და კრეისერებით, რომელნიც ყუმბარებს დაუშენენ მოწინააღმდეგის ქვეყნის ნაპირებს. ბრძოლის ასეთი მეორეხარისხოვანი ხერხები ომის ბედს ვერ გადასწყვეტენ მანამდე, ვიდრე მათ რაიმე მნიშვნელოვანი შედეგი არ არ მოჰყვება, როგორიც არის მაგალითად, ამერიკის საჰაერო ფლოტის მიერ ტოკიოს განადგურება.

ინგლისის საჰაერო ბაზა აღმოსავლეთში

რამოდენიმე ხნის წინად, ინგლისური გაზეთებში ცნობა იყო მოთავსებული, რომ ინგლისს გადაწყვეტილი აქვს დიდი საჰაერო ბაზის აგება, მაგრამ გაზეთები არაფერს ამბობდენ ამის შესახებ, თუ სად იქნებოდა ეს ბაზა. ეხლა გამოირკვა რომ ბაზა აგებული იქნება კარაჩში (ინდოეთი) და დაჯდება 12.500.000 მანეთი. ამ ბაზის საშუალებით შესაძლებელი გახდება რეგულიარული მიმოსვლა ინგლის-ავსტრალიის შორის. უნდა ვიფიქროთ, რომ კარაჩში საჰაერო ბაზის მოწყობა უმთავრესად დაკავშირებულია სინგაპურის საზღვაო ბაზის აგებასთან.

გლეხთა კომიტეტების წარმომადგენელთა პირველი ყრილობა

ყრილობის გახსნა

გუშინ საღამოს, 30 აპრილს, გაიხსნა საქართველოს გლეხთა საურთიერთო დამხმარე კომიტეტების წარმომადგენელთა პირველი ყრილობა. ყრილობა გახსნა სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარმა ამხ. **კ. ხომერიკმა**, რომელმაც დელეგატებს გააცნო ყრილობის მოწვევის მიზანი და მისი ამოცანები.

პირველი საკითხი, რომელიც დგას ყრილობის დღის წესრიგში, სთქვა ამხ. ხომერიკმა, არის გლეხკომების წარსულ მუშაობის გადათვალიერება და შეფასება. შემდეგ ყრილობამ უნდა გამოიმუშაოს მოქმედების ერთიანი გეგმა კომიტეტის მომავალ მუშაობის წასამართავად. გლეხთა საურთიერთო დამხმარე კომიტეტები არიან საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომელსაც დღემდე სახელმწიფო ორგანო ხელმძღვანელობდა. ამიერიდან საჭიროა კომიტეტის ხელმძღვანელი იქნეს ყრილობის მიერ არჩეულ ცენტრალური კომიტეტი, რომელიც მისცემს რა საერთო მოქმედების გეგმას საურთიერთო დახმარებას ადგილობრივ ორგანიზაციებს, აქტიურ დახმარებას და ხელმძღვანელობას გაუწევს მათ.

ამხ. ხომერიკის წინადადებით ყრილობა ფეხზე ადგომით პატივსცემს ამხ. **ლენინის** ხსოვნას.

პრეზიდიუმი

საპატიო პრეზიდიუმში ყრილობა ირჩევს ამხ. ამხ. კალინინს, ფ. მახარაძეს, ს. ორჯონიკიძეს, ცხაკაიას, ორახელაშვილს, ელიავას და კრუპსკაიას.

საქმიან პრეზიდიუმში ყრილობა ირჩევს ამხ. კ. ხომერიკს, ჯორჯუას, (აფხაზეთიდან) დიასამიძეს (აჭარისტან.), ჯაბიევ (სამხრეთ ოსეთიდან), კაპანაძე ტატიანას (შორაპნის მაზრა), ცინცაძეს (ოზურგ. მაზ.), მარგველაშვილს (ქუთაისის მაზ.), სტეფანოვს (გორის მაზ.), დოლაქიშვილს (სიღნაღის მაზრიდან).

შემდეგ ყრილობამ დაამტკიცა შემდეგი:

დღის წესრიგი

1. საერთაშორისო მდგომარეობა 2. გლეხკომების ცენტრალურ ბიუროს მოხსენება, 3. მოხსენებები ადგილებიდან, 4. გლეხკომების მორიგი ამოცანები, 5. მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატის მოხსენება, 6. განათლების სახ. კომისარიატის მოხსენება, 7. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის მოხსენება, მოხსენება კოოპერაციის შესახებ, მოხსენება გლეხთა ცენტრ. სახლის შესახებ, 8. რევოლიუციონური კანონიერება სოფლად, 9. სრულიად საქართველოს გლეხკომთა ცენტრალურ კომიტეტის და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევა, 10. მიმდინარე საკითხები.

მისალმებანი.

ყრილობა ადგენს მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნოს საქ. კომპარტიის ცეკას, ცენტრ. აღმასრ. კომიტეტს, სახ. კომ. საბჭოს, საბჭოთა კავშირის გლეხთა კომიტეტის ცენტრ. კომიტეტს, ამხ. კალინინს და კრუპსკაიას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრ. კომიტეტის სახელით ყრილობას ესალმება ამხ. **მ. ოკუჯავა**, რომელიც არკვევს და ახასიათებს გლეხკომების მუშაობის ხასიათს, როგორც გლეხთა თვითმოქმედების გამომხატველ ორგანიზაციებისას.

საქართველოს ცენტ. აღმასრულებელი კომიტეტის სახელით ყრილობას ესალმება ამხ. **ს. თოდრია**. ყრილობას ესალმებიან აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების და მაზრების წარმომადგენლნი მიწადმოქმედების სახ. კომის სახელით მისალმებელ სიტყვას ამბობს ამხ. **გამხარაშვილი**, ინვალიდების კოოპერატ. გაერთიანებათა სახელით ამხ. **ლეჟავა**.

ყრილობა ისმენს ყირიმის რესპუბლიკის ურთერთ დამხმარე გლეხთა კომიტეტების ცეკას მისასალმებელ დეპეშას. სადაც ცეკა უსურვებს ყრილობას წარმატებით და ნაყოფიერ მუშაობას. გლეხთა ცენტრ. სახლის გამგეობის სახელით ყრილობას ესალმება ამხ. **დ. ნასარიძე**.

შემდეგ სიტყვა მოხსენებისთვის ეძლევა ამხ. **ფ. მახარაძეს**, რომელსაც **ყრილობა მქუხარე ტაშისცემით ხვდება.**

ამხ. ფილიპე მოხსენებას აკეთებს საერთაშორისო მდგომარეობაზე.

დაწვრილებით შემდეგ.

რ. კ. პ. ამ.-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიისაგან

ამიერ-კავკასიის პარტ-ორგანიზაციებს და პარტიის ყველა წევრებს

ძვირფასო ამხანაგებო!

ამიერ-კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის განმავლობაში პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების მთელი ყურადღება მიპყრობილი იყო ნაციონალური მშვიდობიანობის განმტკიცებისაკენ, სამეურნეო თანამშრომლობის განვითარებისაკენ. ყველა ერების ეკონომიური და კულტურული დონის ამაღლებისაკენ და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების წითელი არმიის შექმნისაკენ.

საკავშირო ცაკის სესიამ და საბჭოების ამიერ-კავკასიის და რესპუბლიკანური ყრილობების მუშაობამ გამოააშკარავა დიდი მიღწევები ამ ძირითადი ამოცანების გადაწყვეტის სფეროში.

ეროვნული მტრობის შხამიანი თესლი ძირიანათ ამოფხვრილია საბჭოთა ჯიჯილიდან. ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და კულტურული დონე განუწყვეტლივ იზრდება.

დიდ მიღწევებთან ერთად საბჭოთა აღმშენებლობის ყველა სფეროებში, გამოირკვა ისეთი მოვლენებიც, რომლებიც დაუზოგველათ უნდა იქნეს აღმოფხვრილი.

ნახიჩევანის მხარის გამომკვლევმა კომისიამ გამოარკვია, რომ ცენტრიდან მოშორების გამო, ნახიჩევანის პარტორგანიზაციაში და საბჭოთა აპარატში შეიჭრენ ყოფილი მუსავატისტური ოფიცრები, გუბერნატორები, ჟანდარმები, „გოროდოვოები", ბეგები და ხანები.

ნახიჩევანის საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მთელი მოღვაწეობა მეტად თვალსაჩინო მაგალითი იყო იმისა, თუ როგორი არ უნდა იყოს პარტია და საბჭოთა ხელისუფლება.

ამაზე ლაპარაკობს ნახიჩევანის ღარიბი მოსახლეობის მრავალი ათასი საჩივრები და ამასვე აღნიშნავს ის საერთო სურათი, რომელიც გამოირკვა გამოკვლევის შემდეგ.

რ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის და აზერბეიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებულია მთელი რიგი ზომები, რომლებიც ძირიანათ სცვლის მდგომარეობას ნახიჩევანის მხარეში.

ამ ღონისძიებათა ხასიათი სავსებით ნათელი გახდება, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ერთ-ერთი ღონისძიებაა ნახიჩევანის პარტიული ორგანიზაციის დაშლა.

ამას გარდა. კომისიის წინადადებით ამიერ-კავკასიის და აზერბეიჯანის საბჭოთა მთავრობის ორგანოები ცხოვრებაში ატარებენ მთელ რიგ ღონისძიებებს, რომლებიც მდიდარ, მაგრამ დარბეულ, საბჭოთა ხელისუფლებას მოკყურებულ ნახიჩევანის მხარეს გადააქცევენ ამიერ-კავკასიის ერთ-ერთ აყვავებულ კუთხეთ.

ამის გარდა, პარტიული და საბჭოთა ორგანოების ცალკე ხელმძღვანელების ძიმართ ნახიჩევანის რესპუბლიკის გამომკვლევი განსაკუთრებული კომისიის მიერ წამოყენებულია შემდეგი წინადადებები:

1. ფ. მახმუდბეკოვი. ნახიჩევანის მხარის მიწათმოქმედების სახალხო კომისარი, პარტიის წევრი 1920 წლიდან, დაიბადა ვედი-ბასარში, მემამულე. მუსავატისტური მთავრობის დროს გუბერნატორათ იყო ვედი-ბასარში, სადაც თვითნებურათ დახვრიტა ერთი გლეხი. 1920 წელს, წითლების მოსვლის შემდეგ, ის მოეწყო პარტიაში, მალავდა რა თავის ჩამომავლობას. 1920—21 წელში მოხსნილი იქნა სამუშაოდან სამსახურებრივი დანაშაულისათვის. 1924 წელში ბრალი ედებოდა აზერბეიჯანის კომპარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში. ღარიბი გლეხები მეტად უკმაყოფილო არიან მისი მოქმედებით. მხარს უჭერს კულაკებს, ღარიბ გლეხებს უხეშათ ეპყრობა.

კომისია საჭიროდ სთვლის ფ. მახმუდბეკოვის პარტიიდან გამორიცხვას და დაპატიმრებას, როგორც ყოფილი გუბერნატორის და მემამულისა, რომელიც მალავდა თავის ჩამომავლობას და რომელმაც მრავალი სამსახურებრივი დანაშაული ჩაიდინა.

2. კაფარ ბაბაევი ნახიჩევანის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი. დაიბადა 1897 წელს. პარტიის წევრი 1921 წლის 1-ლი თებერვლიდან. შვილი ორდუბათის ცნობილი მდიდრისა, რომელსაც ჰქონდა ტყავის ქარხანა, სახლი ბაღი და სხვა. ყოფილი მუსავატისტური ოფიცერი, 1920 წელს დაპატიმრებული იყო განსაკუთრებული განყოფილების მიერ, როგორც შენიშნული კონტრ-რევოლიუციონურ მოქმედებაში. რესპუბლიკის სამხედრო კომისრად ყოფნის დროს შენიშნული იყო მექრთამეობაში. ამას წინად „დაკარგა" 11.000 მანეთი სახაზინო ფული. შინაგან საქმეთა სახალხო კომისრათ ყოფნის დროს ეწეოდა ნათლიმამობას, დახმარებას უწევდა ბნელ პირებს, როგორც იყო ალი სალიმოვი, სოფ. ნეგრამის საერთო კრებაზე გლეხებს რევოლვერით ემუქრებოდა. მასზე მრავალი საჩივრები მოუვიდა, როგორც ამხ. რიკოვს, ისე კომისიას.

აუცილებლათ იქნეს ცნობილი კაფარ ბაბაევის გამორიცხვა პარტიიდან და დაპატიმრება, როგორც უცხო და ბოროტმომქმედი ელემენტის, რომელიც მიეტმასნა პარტიას და ნათლიმამობას და სამსახურებრივ ბოროტმოქმედებას ეწეოდა.

3. გამიდ მახმუდოვი. დაიბადა 1888 წელს, ინტელიგენტი, პარტიის წევრი 1921 წლის 1-ლი თებერვლიდან, ეხლა პროფბიუროს თავმჯდომარე. ყოფილი აქტიური წევრი მუსავატისტური პარტიისა. კერბალაი ალი ხანის მდივანი ნახიჩევანში. სათავეში ედგა რა პროფბიუროს, უხეშათ ეპყრობოდა მუშებს, კავშირი აქვს ბნელ პირებთან. ანკეტაში მალავს თავის მუშაობას მუსავატისტურ პარტიაში კერბალაი ალი ხანის და ნაზმაზის დროს. კომისიას აქვს ცნობები გამიდ მახმუდოვის სისხლის სამართლის დანაშაულობათა შესახებ.

აუცილებლათ იქნეს ცნობილი გამიდ მახმუდოვის, როგორც უცხო ელემენტის, პარტიიდან გამორიცხვა და დაპატიმრება.

4. შარალი-ზადე მახმუდი. დაიბადა 1888 წელს, პარტიის წევრი 1920 წლის ივლისიდან, ინტელიგენტი. ერევანის საპოლიციო სამმართველოს ყოფილი მოსამსახურე, ყოფილი ბეგი. არის ცნობები შირალი-ზადე მახმუდის სისხლის სამართლის დანაშაულობათა შესახებ. განათლების სახალხო კომისრათ ყოფნის დროს სცდილობდა ცოლათ შეერთო 14 წლის კურსისტკა, სარგებლობდა რა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით.

აუცილებლათ იქნეს ცნობილი პარტიიდან გამორიცხვა და დაპატიმრება.

5. ქურბან ალი აკპერ. დაიბადა 1895 წელს. ანკეტაში თავის თავს უწოდებს მუშას, მაგრამ ნამდვილათ ყოფილი „გოროდოვოია". პარტიის წევრი 1920 წლის 6 მაისიდან. მალავს თავის მუშაობას პოლიციაში. მე-9 უბნის ყოფილი ბოქაულის ფრიდუნ ბეკ ყურბანის ჩვენების თანახმათ, მასთან მსახურობდა „გოროდოვოის" სახით.

კურბანოვი იუსტიციის სახალხო კომისრათ ყოფნის დროს ბოროტათ იყენებდა თავის თანამდებობას. არის ცნობები მისი სისხლის სამართლის დანაშაულობათა შესახებ.

კომუნალური მეურნეობის საადგილ-მამულო განყოფილებიდან იჯარით აღებული ჰქონდა 4 დესეტინა საქალაქო მიწა, რომლის დამუშავების დროს სარგებლობდა დაქირავებული შრომით.

აუცილებლათ იქნეს ცნობილი პარტიიდან გამორიცხვა ბოროტმოქმედებისათვის და დაპატიმრება.

6 დადაშევი გაჯი—დაიბადა 1897 წელს, ორდუბათის ცნობილი მდიდარის შვილი. ინტელიგენტი. ისარგებლა რა თავისი მდგომარეობით, გადაარჩინა თავისი საუკეთესო და ყველაზე დიდი მამული ორდუბათში ნაციონალიზაციას. აქვს 2 დიდი ბაღი (ყველაფერ ამას მალავდა).

ეწეოდა ნათლიმამობას. მხარს უჭერდა კულაკებს.

დადაშევი გაჯი გამორიცხული იქნეს პარტიიდან და დაპატიმრებული, როგორც უცხო ელემენტი, რომელიც, სარგებლობდა რა თავისი თანამდებობით, სახელს უტეხდა კომპარტიას.

7 კაზიევი გასან კული—დაიბადა 1896 წელს, მემამულის შვილი. პარტიის წევრად ირიცხება 1920 წლიდან, მოსამსახურე. ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაული. კაზიევს ბრალად ედება მექრთამეობა და სახაზინო ფულის მითვისება სახალხო კომისრად ყოფნის დროს.

აუცილებლად იქნეს ცნობილი მისი გამორიცხვა პარტიიდან და დაპატიმრება, როგორც ბოროტმომქმედი ელემენტის.

8. ბაგიროვი ფარ—ზალი. დაიბადა 1896 წელს, გლეხის შვილი. 1917 წლამდე მსახურობდა საოლქო სასამართლოს კანცელიარიაში. ბრალად ედება თანამდებობითი ბოროტმოქმედება და მექრთამეობა.

აუცილებლად იქნეს ცნობილი მისი გამორიცხვა პარტიიდან და დაპატიმრება, როგორც ბოროტმომქმედი და უცხო ელემენტის.

9. კასუმოვი მეშადი აბდულა. დაიბადა 1891 წელს, მეშჩანი, პარტიის წევრად ითვლება 1920 წ. 20 ივლისიდან. ბრალად ედება მექრთამეობა, სახაზინო ფულის მითვისება, თანამდებობის გადამეტება, მიწის საკითხის გადაწყვეტა კულაკების სასარგებლოდ, ნათლიმამობა, მის შესახებ არსებობს აუარებელი მასალები, რომლებიც გადაეცა ამხ. რიკოვს და კომისიას, როგორც წერილობით, ისე სიტყვიერად.

აუცილებლად იქნეს ცნობილი მისი გამორიცხვა პარტიიდან და სასამართლოსათვის გადაცემა, როგორც უცხო ელემენტის.

10. სეიდოვი მირალი,—დაიბადა 1887 წელს, ყოფილი „ურიადნიკი", პარტიის წევრად ირიცხება 1920 წლიდან. მიითვისა სახაზინო ფული, ღებულობდა ჯამაგირს ორ ადგილას, სცემდა გლეხებს, მედიდურად ეჭირა თავი ღარიბი გლეხების მიმართ. მხარს უჭერდა კულაკებს და ურიგებდა მათ საუკეთესო მიწებს.

აუცილებლად იქნეს ცნობილი მისი, როგორც უცხო და კომპარტიასთან მიტმასნებული ელემენტის, გამორიცხვა პარტიიდან და დაპატიმრება.

11. მაზარინ კენგერლინსკი.—თავადის ოჯახიდან გამოსული, დაიბადა 1891 წელს, პარტიის წევრად ითვლება 1920 წ. ივლისიდან, ყოფილი პოლიციის მოხელე ერევანში, მეტად საეჭვო პიროვნება, მისი დახმარებით საბჭოთა დაწესებულებებში მოეწყო კენგერლინსკების ოჯახიდან 20-დე კაცი. მხარს უჭერდა კულაკებს.

აუცილებლად იქნეს ცნობილი მისი გამორიცხვა პარტიიდან და დაპატიმრება, როგორც უცხო ელემენტის.

12. ასად ახუნდოვი. სახალხო კომისართა საბჭოს თავჯდომარედ ყოფნის დროს სწერდა, რომ ნახიჩევანის რესპუბლიკის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელიაო, ხედავდა რა საოლქო კომიტეტის შემადგენლობაში **ბაბაევს, დადაშევს, კურბანოვს, კასუმოვს** და სხვებს, იცოდა მთელ რიგ განცხადებების შესახებ, რომლებიც შედიოდა მათ წინააღმდეგ და არც ერთი განცხადებებით, არც ერთი მოხსენებით არ მიმართა არც ცაკს, არც სახალხო კომისართა საბჭოს. პირიქით, მისივე ხელით ბოროტმომქმედი, მექრთამე კასუმოვი, რომელიც უნდა გადასცემოდა სასამართლოს, ორდუბათის რაიონიდან გადაყვანილ იქნა შარურის რაიონში, არსებული მასალები ახასიათებს მას, როგორც საეჭვო და ბოროტმომქმედ პიროვნებას. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ ყოფნის დროს, ის იმ სოფელში, რითაც ხდებოდა მთელი ეს საზიზღროება, დადიოდა მხოლოდ სანადიროთ, რითაც სახელს უტეხდა საბჭოთა ხელისუფლებას და პარტიას ადგილობრივი მოსახლეობის თვალში. ბოროტად და გულგრილად ეპყრობოდა იმ საჩივრების გარჩევას და შემოწმებას, რომლებიც მიჰქონდათ მასთან. ეს იყო მიზეზი გლეხობის ეხლანდელი უნდობლობისა ნახიჩევანის მხარის **საბჭოთა ორგანიზაციის მიმართ.**

მან იცოდა მირ-ტაგიევის საქმე, მისი თავგასულობის, ბოროტ-მოქმედების გლეხობისადმი უდიერი მოპყრობის **შესახებ და ცაკის სხდომაზე** ამხ. კულოვის მოხსენების დროს გამოდიოდა მირ-ტაგიევის დამცველად და ყოველმხრივ ცდილობდა მის გამართლებას. ერთი სიტყვით, ის ცდილობდა ყოველივე საშუალებით დაეფარა ბოროტმოქმედებანი ნახიჩევანის მხარეში. ახალ მუშაკებს, რომლებიც ჩავიდენ ნახიჩევანის მხარეში, აცნობს ნახიჩევანის მხარის სახალხო კომისრებს, როგორც რევოლიუციისათვის თავდადებულ მებრძოლებს, რასაც მოწმობს მისი ბრძანება.

აუცილებლად იქნეს ცნობილი **ასად ახუნდოვის გამორიცხვა** პარტიიდან, როგორც კომუნისტურ პარტიასთან მიტმასნებული ელემენტის, რომელიც მფარველობას უწევდა ბოროტმომქმედთ და საბჭოთა ხელისუფლების მტრებს და გულგრილად ეპყრობოდა თავის მოვალეობას.

13. შამულ მახმუდბეკოვი. გამოიჩინა დიდი ნაციონალისტური გადახრა. ნახიჩევანის მხარის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ ყოფნის დროს, არა თუ ხელს არ უწყობდა ეროვნულ წინააღმდეგობათა მოგვარებას, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო აძლიერებდა მათ. შამულ მახმუდბეკოვი ყოველგვარი საშუალებით იცავდა ზემოდ დასახელებულ ბოროტმომქმედ ელემენტებს. ყოველმხრივ სცდილობდა თვალი აეხვია პარტიისათვის და ხელი შეშალა იმ საშინელი სურათის გადაშლისათვის, რომელსაც ადგილი ჰქონდა ნახიჩევანის მხარეში. მირ-ტაგიევის საქმის შესახებ შ. მახმუდბეკოვი პირველი აწერს ხელს განცხადებას ა/კ. საგანგებო კომისიაში, სადაც ამ ქურდს, მაშენიკს, ხაზინის გამცარცველს ის ახასიათებს როგორც ენერგიულ და პატიოსან მუშაკს და მის დაპატიმრებას სთვლის გაუგებრობად. არც აზერბეიჯანის კომპარტიის ცეკაში, არც ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში, არც სახალხო კომისართა საბჭოში ერთი სიტყვაც არ უთქვამს იმის შესახებ, თუ რაში მდგომარეობს ორგანიზაციის უარყოფითი მხარეები.

კომისია საჭიროდ სთვლის გამორიცხული იქნეს პარტიიდან შ. მახმუდ-ბეკოვი, როგორც დამნაშავე პარტიის წინაშე.

14. თაიროვი. ნახიჩევანის საოლქო კომიტეტის მდივნათ ყოფნის დროს მან მიიღო განცხადება, რომ ყოფილმა სახალხო კომისარმა, ეხლა კი რესპუბლიკის მილიციის უფროსმა **კაზიევმა** ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული. ეს საქმე თაიროვმა კარგად იცოდა, მაგრამ არ გაამჟღავნა და პროკურატურამაც საქმე მოსპო. კაზიევი ასე დაუსჯელად განაგრძობს პასუხსაგებ თანამდებობებზე ყოფნას, შემდეგ თაიროვი მეორე რიგში აწერს ხელს იმ განცხადებას, რომელიც მიცემული იყო ა.-კ. საგანგებო კომისიაში **მირ-ტაგიევის** საქმის შესახებ. არც ერთ მოხსენებაში თაიროვი არ აღნიშნავს ნახიჩევანის ოლქის სავალალო მდგომარეობას. პირიქით: პარტიის მეხუთე ყრილობაზე, როცა **ყარაევი** აღნიშნავდა სოფლის საბჭოების უვარგისობას მათში სოფლის ბობოლების გაბატონებას, **თაიროვი** აცხადებს, რომ ნახიჩევანის მხარეში ყველაფერი რიგზეა. **თაიროვი** ერთი იმათგანია, რომელიც ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ დაეფარა იქაურ მუშაკების ბოროტმოქმედება.

კომისიას საჭიროდ მიაჩნია მისი პარტიიდან დათხოვნა.

15. გაშიმოვი. ამჟამად მდივანი ნახიჩევანის საოლქო კომიტეტისა. კომისიის მოსვლისთანავე გაშიმოვს დაუსვეს კითხვა: ბეგებისა და ხანების რამდენი პროცენტი მუშაობს თქვენ დაწესებულებებშიო. იმან განაცხადა — ძალიან ცოტაო. ყველანი გასწმინდესო. მაგრამ შემდეგ აღმოჩნდა, რომ იგინი ნამდვილათ შეადგენდენ 75 პროცენტს. პირველათ **გაშიმოვმა** უარი სთქვა, მოეცა ყველა საჭირო მასალები, რასაც კი კომისია მოითხოვდა. მაგრამ შემდეგ რაკი გაიგო, რომ აზერბეიჯანის კომპარტიის ცეკას ყველაფერი კარგათ უწყის, მაშინ კი უჩვენა ყოველივე მასალები, ის, როგორც ნახიჩევანელი, საკმაოთ იცნობს იქაურ საზოგადოებას, კარგათ იცოდა ყველაფერი იქაური დანაშაული და ბოროტება, მაგრამ მათ აღმოსაფხვრელათ არავითარ ზომებს არ იღებდა, რითაც ხელს უწყობდა მათ მიჩქმალვას.

პარტიიდან უნდა იქნეს დათხოვნილი.

ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიამ, მოისმინა რა მოხსენება ნახიჩევანის რესპუბლიკის გამომძიებელ საგანგებო კომისიისა, დაადგინა:

1 პარტიიდან გამორიცხულ იქნენ:

1. მახმუდბეკოვი ფ., 2. კაფარ ბაბაევი, 3. ჰამიდ მახმუდოვი, 4. შირალი ზადე მახმუდ, 5. კურბანოვი ალი აკპერ, 6. დადაშევი ჰაჯი, 7. კაზიევ ჰასან ყული, 8. ბაგიროვი ფარზალი, 9. კასუმოვი მეშადი აბდულა, 10. სეიდოვი მირ ალი, 11 მაზარინ კენგერლინსკი, 12. ასად ახუნდოვი, 13. შამულ მახმუდბეკოვი, 14. თაიროვი, 15. გაშიმოვი.

II. ყველა ზემო-ჩამოთვლილი პირები აუცილებელათ გადაეცენ სასამართლოს. დაუყოვნებლივ მოხსნილ იქნენ თავიანთი თანამდებობიდან და მიღებულ იქნეს მათ წინააღმდეგ თავისუფლების აღკვეთის ისეთი ზომები, რომელთაც საჭიროდ დაინახავს განსაკუთრებული კომისია.

III. ეს დადგენილება გამოქვეყნებულ იქნეს პრესაში.

ა.-კ. საოლქო საკონტ. კომისიის პრეზიდიუმი.

„კომუნისტი"
გრძელდება ხელის მოწერა მაისისათვის
5 მაისს (მაისის) ხელისმომწერლებს დაურიგდებათ
უფასო დამატება
„ჩირაღდანი" № 9
კვირას 3 მაისს კანტორა ღია იქნება
ხელის მოწერის მისაღებათ
დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდი

შაბათს, 2 მაისს, საღამოს 7 ს. სასახლეში დანიშნულია
საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის სხდომა.
დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.
ცაკის მდივანი—**სილ. თოდრია**

ორშაბათს, 4-მაისს, საღამოს სრულ 6-საათზე მოწვეულია, თბილისის აღმასკომში

თბილისის საბჭოს სექციების სხდომა

1) კომუნალურის . . . . . აღმასკომის დარბაზში
2) საფინანსოსი . . . ოთახი № 17
3) ჯანმრთელობის . . . „ № 57
4) განათლების . . . „ № 32
5) სოფელში მომუშაობის და საბჭოთა აღმშენებლობის „ № 66
6) სამხედროსი . . . „ № 5

დღის წესრიგი ყველა სექციებისთვის:

1) სექციების დებულების გაცნობა,
2) სექციების მუშაობის გეგმა,
3) სექციების ბიუროს არჩევნები,
4) კომისიების არჩევნები
5) მოხსენება საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ (უკანასკნელი სექციაში)

სექციებში ჩაწერილ ყველა საბჭოს წევრთა გამოცხადება დანიშნულ დროზე სავალდებულოა. საბჭოს წევრები, რომელნიც ჯერ არ ჩაწერილან არც ერთ სექციაში, ვალდებულნი არიან ჩაეწერონ აუცილებლათ ამავე დღეს.

თბილისის საბჭოს სექციების მუშაობის
ხელმძღვანელი **არ. რუხაძე.**

1190 2—1

პარტიული ცხოვრება

კომკავშირის აქტივის შესახებ

საკითხს კომკავშირის აქტივის შესახებ ორგანიზაციის ზრდის, მისი მუშაობის ფორმების და მეთოდების გართულების და კომკავშირელთა მასის კულტურულ-პოლიტიკური დონის ამაღლების გამო, უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა.

ჩვენი აქტივი არ სწავლობს. ის მთლიანათ პრაქტიკულ მუშაობაშია ჩაბმული. თუ ამას ურიგდებოდით ერთი ორი წლის წინათ, ეხლა უკვე კავშირი გაცილებით უფრო გადიდებულ მოთხოვნილებებს უყენებს თვითეულ აქტივისტს.

რ. ა. ლ. კ. კ. ა. | კ. საოლქო კომიტეტის უკანასკნელმა პლენუმმა და საქართველოს ა. ლ. კ. კ. ცეკამ დიდი ყურადღება მიაქციეს კომკავშირის აქტივის მუშაობით მეტის-მეტათ დატვირთვის საკითხს. კომკავშირის თვითეული აქტივისტი დღე და ღამის განმავლობაში საშუალოთ მუშაობს 12—14 საათი. სხდომების რიცხვი ერთი კვირის განმავლობაში ხშირათ 20 აღწევს. როდესაც ღამით გვიან ბრუნდები სახლში, ისეთი დაღლილი ხარ, რომ წიგნის წაკითხვა აღარ შეგიძლია. კომკავშირის აქტივისტის სწავლების, მეცადინეობის საქმის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლათ საჭიროა, რომ ის განტვირთული იქნეს ზედმეტი მუშაობისაგან.

როგორ უნდა მოხდეს ეს განტვირთვა?

უპირველეს ყოვლისა საჭიროა მუშაობის თანაბრათ განაწილება კავშირის ყველა წევრებს შორის. ხშირათ აქვს ადგილი ისეთ შემთხვევებს, როდესაც უჯრედში მუშაობს მხოლოდ ხუთი-ათი აცი. დანარჩენები არ არიან ჩაბმული მუშაობაში. აღმოფხვრილი უნდა იქნეს მუშაობის ნაწილის სხვისთვის განაწილების შიში. ხშირად შიში იმის შესახებ, რომ ახლები ვერ შესძლებენ მუშაობის გაძღოლას, არის უჯრედის აქტიურობის ნელის ზრდის მიზეზი.

მუშაობის თანაბრათ განაწილება კავშირის ყველა წევრებს შორის კი განტვირთავს კომკავშირელ აქტივისტს. მას ნაკლები სამუშაო ექნება და სამაგიეროთ უკეთესათ შეასრულებს მას. მეორეს მხრივ გაიზრდება კავშირის ფართო მასების აქტიურობა. ამ მხრივ ჩვენი ლოზუნგია: თვითეულ კომკავშირელს უნდა დაეკისროს არა უმეტეს ორი მოვალეობისა.

მეორეს მხრივ აუცილებელია სერიოზულად დაისვას საკითხი ჩვენი აქტივის შრომის მიზანშეწონილად გამოყენების შესახებ. ჩვენ ხშირად დროს ვკარგავთ უმნიშვნელო რამეზე. მუშაობას, რომლის შესრულება შეიძლება 8 საათის განმავლობაში, ვასრულებთ 10—12 საათი. არ არის შრომის და დასვენების სწორათ შეცვლა, რასაც დაბეჯითებით მოითხოვდა ილიჩი.

ჩვენ აქტივს არ აინტერესებს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საკითხები. ამას გადაჭრით ბოლო უნდა მოეღოს. შრომის მეცნიერული ორგანიზაცია შეტანილი უნდა იქნეს აქტივისტის სამუშაო დღეში. მხოლოდ მაშინ გვექნება ჩვენ საშუალება ნაკლები დროის განმავლობაში მეტ შედეგებს მივაღწიოთ, ამასთანავე ორგანიზმიც შეინახება და დრო გვექნება დასვენებისა და მეცადინეობისათვის.

მეცადინეობას თავიდანვე სისტემატიური ხასიათი უნდა მიეცეს. ს.ა.ლ.კ.კ. ცეკას სააგიტაციო განყოფილებამ შეიმუშავა აქტივისათვის საჭირო წიგნების სია. ამ სიას უნდა გაეცნონ ყველა აქტივისტები; მაგრამ მეორეს მხრივ უნდა გვახსოვდეს, რომ სოფლის აქტივისათვის ძნელია საჭირო წიგნის შოვნა. ამიტომ მრავალი სამაზრო რაიონებში მაცადინეობის ერთად-ერთ ფორმად შეიძლება გახდეს სოფლის კომკავშირის აქტივის მაცადინეობა მომზადებულ პარტიულ ამხანაგებთან.

ყველა ამ ღონისძიებების გატარება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კავშირი და პარტია მუდმივი ყურადღებით მოეპყრობიან საკითხს კომკავშირის აქტივის განტვირთვისა და მაცადინეობის შესახებ.

ა. პ—სკი.

ლენინის სახელობის მუშათა ფაკულტეტის კომუჯრედის საშეფო კომისიის მუშაობა

დღეს პარტიის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას შეადგენს სოფლის კულტურულად და ეკონომიურად აყვავება-განვითარება. მე-13 პარტ. ყრილობის მიერ გადმოსროლილი ლოზუნგი „პირი ვიბრუნოთ სოფლისაკენ" ამჟამად ფართე ხასიათს ღებულობს და თავის მიზანსაც აღწევს. ამ საქმეს არც ჩვენი მუშფაკი ჩამორჩა ჩვენი კომუჯრედის ერთ-ერ კრებაზე არჩეული იყო საშეფო კომისია, რომელმაც აიღო შეფობა კახეთში ს. გურჯაანზედ.

გურჯაანი მდიდარია და ამასთანავე დიდი სოფელია 200 კომლამდე მცხოვრებით. აქ არსებობს ორი ახკომკავშირის უჯრედი და ორი კომუჯრედიც. გლეხობა ეწევა მევენახეობას, მესაქონლეობას და ხვნათესვას. ადგილობრივად არის მთლიანი მომხმარებელი საზოგადოება 900 წევრით. ეს საზოგადოება დიდ დახმარებას უწევს გლეხობას საქონლის, უმთავრესად გოგირდ შაბიამანის ნისიად მიცემით. არის 4 სასწავლებელი 730 ბავშვით.

უნდა აღინიშნოს, რომ სწავლის საქმე ვერ არის სათანადოთ დაყენებული: შეუკეთებელი შენობები, დაფების, ცარცის, საჭირო სახელმძღვანელოების უქონლობა და უმთავრესად მასწავლებელთა უყოლობა დიდათ აფერხებს სწავლის საქმეს, კულტურული მუშაობა როგორც ახკომკავშირის, რიგებში, ისე ქალთა შორის არ სწარმოებს, რაც აიხსნება სათანადოდ მომზადებულ მუშაკების უყოლობით. საბჭოთა არჩევნების დროს საბჭოში არჩეული იქნენ საგრძნობი რიცხვი უპარტიო გლეხობისა და რამოდენიმე ქალიც.

ასე რომ სოფ. გურჯაანი ნივთიერად მეტად უზრუნველყოფილი, მდიდარი სოფელია მხოლოდ კულტურული განვითარების მხრივ კი ძლიერ ჩამორჩენილი. ამიტომ საშეფო კომისიამ უმთავრესი ყურადღება მიაქცია ამ მხარეს. მან დაარსა წ | კ. სალიკვიდაციო სკოლა, მოაწყო სამკითხველო, უწევს დახმარებას სასწავლო ნივთებით, ლიტერატურით და სხვ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საშეფო კომისია, ადგილობრივ ახკომკავშირის, პარტამხანაგების და ხელისუფლების დახმარებით პირნათლად შესძლებს დაკისრებულ საქმის შესრულებას.

პარტ კორი ალ. გალ—ი.

„ევკოგრუზი"-ს ხე-ტყის ქარხნის კომუჯრედში

ამას წინად შესდგა ზემოხსენებულ კომუჯრედის და მუშა-მოსამსახურეების გაერთიანებული კრება. დღის წესრიგში იყო დასმული შემდეგი საკითხები: მოხსენება 1912 წ. 17 აპრილს ლენის მუშების დახვრეტის შესახებ. მოხსენება საკავშირო ცაკის მესამე სესიის შედეგებზე და თბილისის კომიტეტის ცირკულიარისა № 21 განხილვა.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. მ. ქერქაძე, რომელიც მოკლეთ აღნიშნავს ლენის ოქროს მადნეულობის მუშების იმ აუტანელ მდგომარეობას, რომელშიაც იმყოფებოდენ ისინი და რამაც გამოიწვია 1912 წ. აპრილის ამბები. კერძოდ კი მომხსენებელი ამბობს, რომ ლენის რაიონში გაბატონებული იყო კაპიტალი: პოლიტიკური ხელისუფლების ყველა ორგანოები პოლიცია, სამხედრო მართველობა და სხ. ოქროს მადნეულობის ფირმების ხელში იყო, რომელიც მეფობდა მთელ რაიონში და რომელსაც კავშირი ჰქონდა არა მარტო პეტროგრადის თვითმპყრობელობასთან, არამედ საერთაშორისო იმპერიალიზმთანაც. მაგ. ამხანაგობის უმეტესი აქციები, ინგლისელებს, ამერიკელებს და ფრანგებს ეკუთვნოდა რომელნიც სასტიკად, უსაზღვროთ ყვლეფავდნენ მუშებს უმცირებდენ სამუშაო ხელფასს, უდიდებდენ სამუშაო დროს, აძვირებდნენ სანოვაგეს, ამრავლებდენ ჯარიმებს და სხვ. ამ მეტად აუწერელ პირობებში მყოფი მუშები იძულებულნი იყვნენ 1912 წ. 20 თებერვალს წარედგინათ 13 მუხლისგან შემდგარი მოთხოვნილება, რისთვისაც არჩეულ იქნა სპეციალური დელეგაცია, რომელიც მაშინვე დაპატიმრებული იქნა ამ დაპატიმრების გამო 17 აპრილს 1912 წ. მუშები გაეშურენ მოსალაპარაკებლად პროკურორთან. მათ წინ შემოეგებათ „სტრაჟნიკი" და ინჟენერი გულჩინსკი. უბრალო შელაპარაკების დროს სრულიად უმიზეზოთ ჟანდარმის როტმისტრის ტერეშჩენკოს ბრძანებით მუშებს სროლა აუტეხეს, რასაც შედეგათ მოყვა რამოდენიმე ასეული მუშების მოკვლა და დაჭრა. ასეთ ჯალათურ მოქმედებას მოყვა მუშებისაგან მთელი რიგი გაფიცვები და დემონსტრაციები.

მოხსენების ირგვლივ კრებას გამოაქვს სათანადო რეზოლიუცია.

მეორე საკითხის გარშემო მოხსენებას აკეთებს ამხ. ბერაძე, რომელიც აღნიშნავს, თუ რა პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში საკავშირო ცაკის სესიის გახსნას.

შემდეგ მომხსენებელი მოკლეთ ეხება სესიაზე გარჩეულ საკითხებს, ამ საკითხების გარშემო მიღებულ რეზოლიუციების შინაარს და მათ მნიშვნელობას და ხაზს უსვამს საერთაშორისო მდგომარეობას, რომელიც დღეს უფრო გაცილებით მტკიცეა და ურყევი ვინემ ეს ოდესმე იყო.

დასასრულ კომუჯრედის მდივანის მიერ წაკითხულ იქნა თბილისის კომიტეტის ცირკულიარი, სადაც აღნიშნულია ჩვენი უმაღლესი პარტიული ორგანოს დადგენილება იმ პირების წინააღმდეგ, რომლებმაც ამხ. ამხ. **მიასნიკოვის, ათარბეკოვის** და **მოგილევსკის** დაკრძალვის დღეს დაარღვიეს რევოლიუციონური წესრიგი.

ცირკულიარის გარშემო კრებას გამოაქვს რეზოლიუცია, რომელშიაც სავსებით იწონებს ჩვენი პარტიული ორგანოს დადგენილებას.

პარტკორი **ელიზბარ.**

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

მოძრავი პოლიტსკოლის მუშაობა სართიჭალის თემში (გარე კახეთის რაი ხი.)

ამ რამოდენიმე ხნის წინად სართიჭალას ესტუმრა ამხ. ვ. გეგეშიძე, რომლის ჩამოსვლის მიზანი იყო მოძრავი პოლიტიკურ სკოლის გახსნა.

მიუხედავათ მრავალი დაბრკოლებებისა, რომლებიც უშლიდენ ადგილობრივად პოლიტსკოლის დაარსებას, ამჟამად პოლიტწრეებში ირიცხება 80 კაცი. ვინაიდან ტეხნიკურად შეუძლებელი გახდა ერთ ჯგუფში მეცადინეობა და აგრეთვე ზოგიერთი მუშა-მოსამსახურენი, როგორც მაგალითად კოოპერატივში მომუშავე ამხანაგები, მილ. თანამშრომელნი და გლეხები დღით ვერ იცლიდენ სკოლაში მეცადინეობაზე დასასწრებლად, ჯგუფი გაიყო ორ ნაწილად. პირველი ჯგუფი მეცადინეობს 4—6 საათ. მეორე ჯგუფი კი 6—8 საათ.

სართიჭალის პოლიტსკოლაში მუშაობის დასრულების შემდეგ ასეთივე სკოლა გაიხსნება საგარეჯოს თემშიაც.

მოძრავი სკოლის გამგეობას, განზრახული აქვს მოაწყოს აგრეთვე საგარეჯოში სკოლა მსურველთა სიის შედგენით.

მხოლოდ ერთი ნაკლი, რომელსაც ჩვენის აზრით ახლო მომავალში უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება, არის ის, რომ ჩვენ განვიცდით ლიტერატურის სიმცირეს, რაც მეტად აფერხებს პოლიტსკოლის საერთო მუშაობას.

აზ. დიაროვი.

სანიტარულ ექიმთა საკავშირო ყრილობის მოწვევა თბილისში

ამა წლის 4 მაისს თბილისში გაიხსნება ტრანსპორტის სანიტარულ ექიმთა სრ. საკავშირო მესამე ყრილობა.

ყრილობის დღის წესრიგში შედის უმთავრესად სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ საკითხების (ბრძოლა მალიარიასთან, ეპიდემიები ტრანსპორტზე, პროფილაქტიკა და დისპანსერი სამკურნალო დარგში და სხვა), განხილვა და ტრასპორტის ყოველი დარგის მუშათა პროფესიონალური დაავადმყოფების შესწავლა, ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის დაცვა და სხვ.

ყრილობაზე მოწყობილი იქნება გამოფენა. სხვათა შორის გამოფენაზე მოწყობილი იქნება მალარიის საწინააღმდეგო საჩვენებელი სადგური.

ყრილობის დელეგატებისთვის დადგმულ იქნება ინსცენიროვკა, რომელიც უჩვენებს სანიტარული მუშაობის განვითარების ეტაპებს.

ყრილობის დასასრულს მოეწყობა ექსკურსიები „ზაჰესი"-ს, შპალების დამამზადებელი ქარხნის, ამჟამად შენების პროცესში მყოფ ლიბანის სანატორიუმის და გვირაბების კესონური სამუშაოების დასათვალიერებლად.

ყრილობაზე მოელიან 200-მდე დელეგატს.

სასოფლო მეურნეობა

ვაზის კულტურა

კახეთის მევენახეთა საცდელი სადგური შეუდგა მუშაობას კახეთის ნიადაგის რუკის შესადგენად და იმ ნიადაგების გამოკვლევას და შესწავლას, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ნამყენი ვენახების კულტურისათვის.

1924 წლის პირველი დეკემბრიდან ა | წლის 15 აპრილამდე სადგურმა წინასწარ გამოიკვლია 550 გლეხის მეურნეობა და ნიადაგი იმ მიზნით, რომ შეერჩია სანამყნე მასალა, რომელიც უფრო გამოსადეგი იქნებოდა გლეხური მეურნეობის პირობებში.

ლაბორატორიაში სწარმოებდა ამ მეურნეობათა ნიადაგის 1600 ნიმუშის ანალიზი.

ნიადაგის ლაბორატორიის გარდა სადგურზე მოწყობილია ეპოლოგიური ლაბორატორია ღვინის ქიმიური გამოკვლევისათვის.

სადგურთან გაშენებულია ამერიკული ლერწის სანერგე და მოწყობილია პატარა სკოლა, რომელიც მიზნად ისახავს ცდების წარმოებას ვენახის მყნობის დარგში ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით.

ჩაის კულტურა

აჭარისტანის გარდა, ჩაის კულტურის რაიონებს წარმოადგენენ ოზურგეთის, სენაკის და ზუგდიდის მაზრები. ამ ადგილებში, განსაკუთრებით ოზურგეთის მაზრაში, მოიპოვებიან მწირი ადგილები, რომელსაც „ეწერს" უძახიან და გარდა ჩაის კულტურისა სხვა მცენარის დასათესად გამოუსადეგარია.

1923—24 წელს ჩაის მცენარით გაშენებული მიწის მოედანი მარტო ოზურგეთის მაზრაში აღწევდა 150 დესეტინას. ჩაის მცენარით დაკავებული მიწის ეს რაოდენობა ეკუთვნოდა 180 მეურნეობას,—ე. ი. სულ შეგროვილ იქნა ჩაის მწვანე ფოთოლი 81.693 გირვანქა. აქედან შინაური წესით და ქარხნის საშვალებით დამზადდა 22.120 გირვანქა ჩაი. ჩაის მწვანე ფოთოლი, თუ კი იგი არ კეთდებოდა შინ, იყიდებოდა ქარხანაში გირვანქა ორ-სამს შაურად. მიმდინარე წლისათვის მოსალოდნელია ჩაით გაშენებული მიწის მოედანის გადიდება, რასაც ხელს უწყობს პირველ აპრილიდან ადგილობრივ ჩაიზე აქციზის გაუქმება.

უმუშევართა აღრიცხვა

შრომის ბირჟების ნაცვლად საშუამავლო ბიუროების მოწყობის შემდეგ ბირჟაში გატარებულ უმუშევართა რაოდენობამ თითქოს იკლო. მაგალითად ა.-წ. პირველ მარტის ცნობებით შრომის სახალხო კომისარიატის საშუამავლო ორგანოებს ამიერ-კავკასიის მთავარ ქალაქებში აღრიცხვაზე აყვანილი ჰყოლიათ 11.738 უმუშევარი.

ხოლო გასული 1924 წლის პირველ ივლისისათვის ამიერ-კავკასიის მთავარ ქალაქებში შრომის ბირჟებში აღრიცხული იყო დაახლოებით 40 ათასი უმუშევარი.

ციფრების ასეთი დაპირდაპირება შრომის სახალხო კომისარიატს საფუძველს აძლევს იფიქროს, რომ მრავალი უმუშევარი ვერ ხვდება შრომის სახალხო კომისარიატის საშუამავლო ორგანოების აღრიცხვაში.

ამ ნაკლის გამოსასწორებლად ა.-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატმა გამოსცა სათანადო განკარგულება. ცირკულიარის მიხედვით ამ ჟამად უმუშევართათვის, რომელნიც სამუშაოს ეძებენ, სავალდებულოა საშუამავლო ბიუროების რეგისტრაციაში გატარება იმ შემთხვევაშიაც კი, თუ უმუშევართ არა აქვთ სათანადო მოწმობა სტაჟის და კვალიფიკაციის შესახებ.

ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატს იმედი აქვს რომ იმ ღონისძიების საშუალებით შესაძლებელი გახდება პირველ აპრილიდან ამიერ-კავკასიის ფარგლებში უმუშევართა სრული აღრიცხვა.

ამავე დროს რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებს დავალებული აქვთ უმუშევრობის ნამდვილი ფარგლების გამოსარკვევად შრომის ბირჟასთან არსებული პროფკავშირთა სათანადო სექციების ცნობები.

ამავე დროს რესპუბლიკის შრომის კომისარიატებს ევალებათ გააძლიერონ უმუშევრობის საწინააღმდეგოთ მიღებული ღონისძიებანი.

საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატმა დაავალა შრომის ბაზრის განყოფილებას დააჩქაროს შრომის კოლექტივების მოწყობა ფიზიკური შრომის უმუშევრებისაგან.

სტატისტიკოსთა მესამე კონფერენცია

მოხსენებები ადგილებიდან

აჭარისტანის სტატ-სამმართველოს მუშაობა

(მომხსენებელი ამხ. კუხალეიშვილი)

აჭარისტანის ცენტრ. სტატსამმართველოს მმართველი, ამხ. კუხალეიშვილი კითხულობს ვრცელს მოხსენებას სამმართველოს მოქმედების შესახებ. აჭარისტანის სტატსამმართველოს მუშაობა ორის მიმართულებით ყოფილა წარმოებული: 1) აჭარისტანის ცხოვრების დინამიკის ნათელსაყოფად მუშაობა მიმდინარე სტატისტიკის დარგში, შეგროვილი მასალების დამუშავება და 2) ძირითადი სამუშაოები: აღწერა, ერთდროული გამოკვლევების მოხდენა აჭარისტანის სოციალურ ეკონომიურ ცხოვრების სტატიკის გამოკვლევის მიზნით.

სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკის დარგში ყველა სახელმწიფოს სტატისტიკის დავალებების გარდა ჩატარებულია ჩაქვის თემის გლეხის ბიუჯეტის გამოკვლევა, სახალხო მამულის და საბჭოთა მამულების გამოკვლევა; მოსახლეობის კვების გამორკვევა და სხვა მნიშვნელოვანი გამოკვლევანი.

ასევე ინტერსიური მუშაობა სწარმოებდა სამრეწველო, სავაჭრო, სავაჭრო და ფასეულების, შრომის, კომუნალურ, დემოგრაფიულ, მედიკო-სანიტარულს, სახალხო განათლების და მორალურს სტატისტიკის დარგებში. ამისათვის სამმართველოს უხდებოდა მიმდინარე მუშაობის დროს ცნობების შეკრების გარდა სხვა და სხვა გამოკვლევების მოხდენა და თავისივე ძალებით მასალების დამუშავება. სამმართველო აგრეთვე იღებს მონაწილეობას თავის მუშაობით აჭარისტანის საგეგმო კომისიაში.

შტატი სამმართველოსი შესდგება 10 კაცისაგან და თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ მთელი სტატისტიკური მუშაობა ყველა დაწესებულებებისა აჭარისტანში გაერთიანებულია სტატსამმართველოში შტატი მცირედ უნდა ჩაითვალოს. სამმართველომ გამოსცა ვრცელი „აჭარისტანის სტატისტიკური კრებული 1913—24 წ. წ.", რომელიც შეიცავს 401 გვერდს ციფრობრივ მასალას სტატისტიკის ყველა დარგებიდან. აგრეთვე გამოუცია სამმართველოს წიგნაკათ „ქ. ბათომის საქონლის ტრიალი, ურთიერთ კავშირი, ვაჭრობა და ფასები".

სამხრეთ-ოსეთის ცენტრ. სტატისტ. ბიუროს მუშაობა

(მომხსენებელი ამხ. ფავლენიშვილი)

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ სამხრეთ-ოსეთის ბიუროს შედარებით პატარა წარსული აქვს, ამიტომ ორგანიზაციულად იგი ჯერ კიდევ ვერ არის გამაგრებული. სტატისტიკური ტრადიციის უქონლობა სამხრეთ-ოსეთში ძალიან ცუდ პირობებს ქმნის მუშაობისათვის. სტატბიუროს უხდება დიდი დაბრკოლებათა გადალახვა ამა თუ იმ სტატისტიკურ ოპერაციების გატარების დროს. სამხრეთ-ოსეთის ხელისუფლება ყოველგვარ დახმარებას უწევს ბიუროს, როგორც მატერიალურად, ისე ზნეობრივად და ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ სტატისტიკა ძალიან ნელის ნაბიჯით, მაგრამ მტკიცედ მიიწევს წინ გლეხობასთან დაახლოების საქმეში. სამხრეთ-ოსეთის სტატ-ბიურო, რომელიც მუშაობს საქ. სტატ. ცენტრ. სამმართველოს ხელმძღვანელობით, შეძლებისდაგვარად პირნათლად ასრულებს, როგორც ცენტრის ისე ადგილობრივი ხელისუფლების დავალებას და ამით ხელს უწყობს იმ დიდ აღმშენებლობას, რომელიც ეხლა სწარმოებს ჩვენ ავტონომიურ ოლქში.

მესამე სხდომა

თბილისის სტატისტ. განყოფილების მუშაობა

(მომხსენებელი ამხ. ჯანდიერი)

მომხსენებლის თქმით, სტატისტიკური მუშაობა 1920 წლამდე მოისუსტებდა. 1920 წლიდან მუშაობა გაცხოველდა, მაგრამ მას ქონდა უმთავრესად ორგანიზაციული ხასიათი. 1921 წლის დამლევიდან საქმე კიდევ უმჯობესდება. მუშავდება პროგრამები სტატისტიკის სხვა და სხვა დარგისათვის. 1922 წლიდან იწყება მასალების სისტემატიური დამუშავება კომუნალური, დემოგრაფიული და სანიტარული სტატისტიკის დარგებში. შეგროვილი მასალა მუშავდება საკუთარი ძალებით. 1924 წლიდან სტატისტიკურ განყოფილებასთან ეწყობა საგამომცემლო ბიურო, რომელმაც გამოაქვეყნა რამოდენიმე ძვირფასი სტატისტიკური გამოცემა.

სამაზრო სტატ-ბიუროების მუშაობა

ამხ. ჯანდიერის მოხსენების შემდეგ კონფერენცია ისმენს სამაზრო სტატბიუროები წარმომადგენელთა მოხსენებებს, რომლიდგანაც ირკვევა, რომ სამაზრო სტატბიუროების მუშაობა მიმდინარეობს დამაკმაყოფილებლად. ამ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში სამაზრო სტატბიუროები გაიზარდენ და საკმაოდ განმტკიცდენ. ამ ჟამად უკვე დამყარებულია ნორმალური ურთიერთობა ადგილობრივ აღმასკომებთან. საქ. სტატ. ცენტ. სამმართველოს დავალებანი სრულდება თავის დროზე. ქუთაისის, შორაპნის, გორის და სხვა მაზრების სტატბიუროები ასრულებენ აგრეთვე ადგილობრივ აღმასკომის დავალებებს. თავის მხრივ ზემოხსენებული მაზრების აღმასკომებიც ხელს უმართავენ სტატბიუროებს, რომელთაც აძლევენ ნივთიერ დახმარებას და სხვ.

მეოთხე სხდომა.

მომავალი სტატ. მუშაობის გასაცხოველებლად

(ამხ. არ. რუხაძის საბოლოო სიტყვა)

თავის საბოლოო სიტყვაში საქ. სტატ. ცენტ. სამმართველოს გამგე ამხ. არჩ. რუხაძემ ადგილებიდან გაკეთებული მოხსენებების მიხედვით დაასკვნა, რომ საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკას უკვე გაუვლია საორგანიზაციო პერიოდი, რის შემდეგაც საჭირო ხდება საპროგრამო მუშაობის უფრო მეტი გაძლიერება. ორატორი ხაზს უსვამს აგრეთვე ადგილების წარმომადგენელთა მიერ აღნიშნულს ნორმალურ ურთიერთობის დამყარებას ადგილობრივი აღმასკომებისა და სტატბიუროებს შორის. იმ აღმასკომების მუშაობა, რომელნიც მოქმედებდენ ადგილობრივ აღმასკომებთან შეთანხმებით და აგრეთვე ასრულებდენ მათ დავალებებს, უფრო ნაყოფიერი გამოდგარა. ორატორი კმაყოფილებას აღნიშნავს აგრეთვე ადგილობრივი ორგანოების მიერ სტატბიუროსადმი აღმოჩენილ დახმარებას და ზრუნვას, რაც მოწმობს იმას, რომ აღმასკომები დაინტერესებული არიან სტატისტიკით და არ ზოგავენ საშვალებას მის დასახმარებლად.

ასეთი დამოკიდებულება კიდევ უფრო უნდა განმტკიცდეს. სტატისტ. მშენებლობის გასაცხოველებლად ორატორი საჭიროდ სთვლის უფრო მეტი ცოცხალი კავშირი დამყარდეს სტატისტიკურ ბიუროებსა და პირველადი დაკვირვების ორგანოებს შორის (მოხალისე კორესპოდენტები და რაიონის სტატისტიკოსები; ეს ცოცხალი კავშირი იქნება, ორატორის აზრით, ადგილობრივი სტატისტ. ორგანოების მუშაობის გამომცოცხლებელი და გამანაყოფიერებელი.

რეზოლიუციების მიღება

შემდეგ მოსმენილ იქნა სექციების წარმომადგენელთა მოხსენებანი, რეზოლიუციები და ტეზისები.

კონფერენციამ რეზოლიუციები და ტეზისები მცირე შესწორებით მიიღო.

დასასრულ პლენუმმა მოისმინა შრომის სტატისტიკის ბიუროს გამგის ინფორმაციული მოხსენება ბიუროს ორგანიზაციისა, სტრუქტურისა და მუშაობის შესახებ.

სამანდატო კომისიის მოხსენების შემდეგ კონფერენცია დაიხურა.

მეცნიერება და ტეხნიკა

ელექტრონი მზის ნაცვლად

პოლიარულმა მოგზაურმა ლემსტრემ ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ მიუხედავად ზაფხულის ხანმოკლეობისა ჩრდილოეთ ქვეყნებში, პოლიარული მცენარეები მაინც ასწრებენ გაზრდას და ნაყოფის მოცემას. ამ ფაქტმა ლემსტერი იმ დასკვნამდი მიიყვანა, რომ, აქ მზის მაიერობას ჩრდილოეთის ელვარება სწევს. მიიღო რა საფუძვლად რომ ჩრდილოეთის ელვარება ელექტრონულ მოვლენას წარმოადგენს, ლემსტრემმა გადასწყვიტა გამოერკვია თუ რამდენად შესაძლებელია მცენარეთა აღმოცენება ელექტრონის საშვალებით. მეტად საინტერესო შედეგებს მიაღწია. ელექტრონის ენერგია მართლა ახდენს გავლენას მცენარეულობაზე, მაგრამ სხვადასხვანაირად (ეს დამოკიდებულია ენერგიის ძალაზე) სუსტი ძალა ელექტრონისა ისეთ დადებითი გავლენას ახდენს მცენარეულობაზე, რომ ის კარგ ნაყოფს იძლევა. დიდი ძალა კი მოქმედობს მცენარეულობაზე, როგორც ნარკოზი, ესე იგი ასუსტებს აღმოცენების და ზრდის უნარს და ზოგჯერ კიდეც კლავს მცენარეს.

ამ აღმოჩენას შესაძლებელია დიდი შედეგები დაურჩეს სოფლის მეურნეობისათვის.

ქარხნები, სადაც მუშები არ არის

შუა გერმანიის ქვანახშირის რაიონებში ტეხნიკა ისეთი სწრაფი ნაბიჯით ვითარდება, რომ იქ ჩქარა შესაძლებელია სრულიად არ დარჩეს [illegible] მუშა-ხელი. ნახშირი, რომელიც საჭიროა ამ რაიონის მრავალრიცხოვან ფაბრიკა-ქარხნებისათვის, როდი იტვირთება და იგზავნება დანიშნულების ადგილას, არამედ იქვე, ადგილობრივ მუშავდება ელექტრონის ენერგიად და მავთულებით გზავნიან ფაბრიკა-ქარხნებში, თვით ელექტრონის სადგურებში იშვიათად თუ ვინმეს შეხვდება ადამიანი, მხოლოდ თითო-ოროლა მუშებს თუ დაინახავთ და მათი მუშაობაც შედარებით უმნიშვნელოა—თვალყურის დევნება მანქანებისათვის.

კანაცლილი კაცი

ადამიანს თურმე მშვენივრად შეუძლია იარსებოს უკანოდ.

ავსტრალიის ერთ-ერთ ჰოსპიტალში წევს ერთი შესანიშნავი ავადმყოფი. ომის დროს ის მოსწამლა მხრჩოლავმა გაზებმა და საავადმყოფოში, სადაც ის ჩქარა მოათავსეს, გამოირკვა, რომ მთელმა [illegible] კანმა მოიყარა თავი. ჩქარა ამის შემდეგ კანი თანდათანობით მოსცილდა ტანს, ისე რომ საბრალო კაცი ცარიელი ხორცის ამარა დარჩა.

ყველა ცდებმა, რომლებიც მიმართული იყო კანის აღდგენისაკენ, უშედეგოთ ჩაიარა. ავადმყოფი კი საშინელ ტანჯვას განიცდიდა: უმნიშვნელო შეხება აუწერელ ტკივილებს აყენებდა. ავადმყოფი ემუდარებოდა ექიმებს: მომკალითო.

დაბოლოს გადასწყვიტეს ავადმყოფის მოთავსება თბილ წყალში. მოაწყვეს ისე, რომ ავადმყოფს დაძინებაც შეეძლო წყალში. ასეთ მდგომარეობაში, წყალში ცხოვრობს უკვე მეხუთე წელიწადია ეს ავადმყოფი და აღარ მოუხმობს სიკვდილს.

პირველი მაისობა შვეიცარიაში

(მოგონება)

1905 წლის რევოლიუციამ დამაშორა ტოლ-ამხანაგებს, მეგობარ-ნათესავებს და მოულოდნელათ თავი ამოვყავი „თავისუფალ, დემოკრატიულ" შვეიცარიის ერთ უდიდეს ქალაქ ციურიხში. ამ ქალაქმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. პირველად მართლა „თავისუფალ" ქვეყნად მომაჩვენა შვეიცარიამ თავი. იკითხე რაც გინდა, ილაპარაკე რაცა გსურს, მოგროვდით სადაც გესიამოვნებათ, ამაზე კარგი რაღა იქნება. აი ბედნიერი ქვეყანა და რათქმაა ამ ქვეყნის მუშებიც ბედნიერები არიან —ვფიქრობ გუნებაში.

გადის დრო, ვეცნობი, უკვირდები ადგილობრივ ცხოვრებას, მუშაობის პირობებს და ვაი სინამდვილევ! ამ „თავისუფალ, დემოკრატიულ" შვეიცარიაში არ ყოფილა „ყველაფერი რიგზე"· მუშაობის პირობები აუტანელი. სულ მცირე სამუშაო დღე განისაზღვრება 10½ საათით. ეს საცა მუშები შეკავშირებულნი არიან. ისე კი მუშაობენ 14—16 და მეტ საათს დღეში. მერე რა პირობებში მუშაობენ: თითქმის ყველა ქარხანაში მუშაობს კონტროლი—ტეილერის საათი. ეს საათი ნიშნავს ყოველივე მუშის მოძრაობას. ამიტომ მუშას, მთელი სამუშაო დღის განმავლობაში, არ შეუძლია თავისუფლათ შეჩერება. ვერ დადგება, ვერ მოსწევს პაპიროზს, ვერ დაელაპარაკება მეზობელ ამხანაგ მუშას.

ასეთი მუშაობით, ასეთი დაუზოგველი ენერგიის დაკარგვით, შვეიცარიელი მუშა ადრე კარგავს შრომის უნარს, ადრე ხუცდება. უძლურდება.

ასეთ დღეშია ახალგაზრდობაც. ის უკვე 14 წლიდან სწავლას შორდება და ალაგს იჭერს ქარხანაში... უვარდება ხელში გაუმაძღარ „თავისუფალ, დემოკრატ." კაპიტალისტებს, ხშირად შეხვდებით ოცი, ოცდახუთი წლის ახალგაზრდა—მოხუც ვაჟსა თუ ქალს?

აუტანელ მუშაობის - პირობებს მისთვის უკვე თვალსაჩინო დაღი დაუმჩნევია. წელში მოხრილი ის მანქანას დამსგავსებია... და ხედავ რომ შვეიცარიელი მშრომელი გადაგვარების გზას დასდგომია...

ქალები! არც ქალებია უკეთეს დღეში. დილით, ადრე ქმარი თუ ერთ ქარხანაში მიდის სამუშაოთ, ცოლი მეორე საქსოვ ფაბრიკაში მიეჩქარება. პატარა ბავშვებს მამა, ან დედა თან მიარბენინებს რომელიმე საბავშო სახლში და იქ სტოვებს.

ვინ მოუმზადებს მუშას სადილს სახლში?

ნუ შეგეშინდებათ. შვეიცარიელი კაპიტალისტი გულჩვილი—ლმობიერია. ის ნახევარი საათით ადრე ანთავისუფლებს მუშა ქალს სამუშაოდან. დაღლილი ქალი გარბის საჩქაროთ სახლში და ამზადებს, ეგრედ წოდებულ „მაჩის სუპს".

ეს „მაჩის სუპი" ერთნაირი პარაშოკია, რომლისგანაც, მართლაც ნახევარ საათში, იხარშება უბრალო წვენი და ამ წვენით და კარტოფილით კმაყოფილდება მუშა ცოლ-ქმარი და ქარბიან ისევ სამუშაოთ.

აი მოკლეთ პირობები, რომელშიც იმყოფება შვეიცარიელი მუშა დღესაც-კი... გამაკვირვა, დამაფიქრა ამ გარემოებამ. ჩრდილი მოეფინა ამ „თავისუფალ, დემოკრატიულ" ქვეყანას ჩემს თვალში. მოუთმენლათ უცდი პირველ მაისს.

ველოდები მუშათა დღესასწაულს, ვნატრობ, მიხარია, რომ მოწმე და მონაწილე გავხდები თავისუფალი და დემოკრატიული სახელმწიფოს მშრომელთა დემონსტრაციისა. ველოდები, რომ ამ საერთაშორისო მუშათა დიდი დღესასწაულის, მშრომელთა მობილიზაციის დღეს, მთელი შვეიცარიის მშრომელები ფეხზე დადგებიან, მუშაობას თავს დაანებებენ, და ვნახავ, ვიხილავ დიდს, დიდს საპროტესტო დემონსტრაციულ მუშათა გამოსვლებს.

ვიგონებ ჩვენს თბილისის მაისობებს. თვალ წინ შიდგება წარსული. „ღრმა ღელე", აღფრთოვანება, იმედები... კრებები... სიტყვები... დამარცხება. ჟანდარმები... გაფიცვები და ნიკოლოზის კაზაკები.

დღეს-კი „თავისუფალ" შვეიცარიაში ვეგებები პირველ მაისს. ვმუშაობ როგორც „მხაზავი" чертножник) ერთ ავტომობილის ქარხანაში ამ ქარხნის მუშები სულ ყველა კავშირის წევრებია, მაგრამ დაადგინეს იმუშაონ პირველ მაისს 12 საათამდი და შემდეგ გავიდნენ დემონსტრაციაში. ეს დადგენილება არ მომწონს, მაგრამ რას ვიზამ. ჩვენ, რუსეთის ემიგრანტებს პირველ მაისს დილიდანვე კრებები გვაქვს. ამიტომ დილით სამუშაოზე არ გავდივარ. და ეს გარემოება იწვევს შემდეგ სურათს: მეორე დღეს მეკითხება კანტორის უფროსი, რატომ გუშინ არ გამოცხადდით სამუშაოთაო.

— იმიტომ რომ გუშინ პირველი მაისი იყო, მუშათა საერთაშორისო დღესასწაული—უპასუხე მე.

— შენ ხომ მუშა არა ხარ, შენ კანტორის მოხელე „მხაზავი" ხარ. შენ სრულებით არ უნდა მიგეღო მონაწილეობა მაგ სულელურ დღესასწაულში. შენ კი გადააჭარბე. ჩვენმა მუშებმა თავი დაანებეს მუშაობას 12 საათზე. შენ კი სრულებით არ გამოცხადდი. ასეთი მომუშავე ჩვენ არ გვინდა, მიბრძანდით ჩვენი ქარხნიდანო. მართლაც სამუშაოდან დამითხოვდენ, მაგრამ გამომესარჩლა მუშათა კავშირი, რომლის წევრი მეც ვიყავი, და ველარ დამითხოვეს.

ესეც შენი თავისუფალი, დემოკრატიული შვეიცარია—ვიფიქრე ჩემთვის, მაგრამ მიუბრუნდეთ პირველ მაისს, რომელსაც ასე მოუთმენლათ ველოდი და რომელზეც დიდ იმედებს ვამყარებდი. რუსეთის ემიგრანტებმა, რომელთა რიცხვი მარტო ციურიხში, მოსწავლე რუსების ჩათვლით, რამდენიმე ათასს შეადგენდა, დილიდანვე დავიწყეთ დღესასწაული და მრავალრიცხოვან კრებებზე, ვარჩევდით და ვაშუქებდით პირველ მაისის მნიშვნელობას მუშათა მოძრაობისათვის.

დღის 12 საათზე დაიწყო საერთო დღესასწაული.

ეს იყო უბრალო, შაბლონური, ქუჩაში მსვლელობა და სხვა არაფერი. იყო მრავლად წითელი დროშები, პლაკატები რვა საათის სამუშაო დღისათვის, იყო, წარმოიდგინეთ, შავი დროშებიც ანარქისტებისა, ფერადი „ქრისტეს სოციალისტებისა" და სხვა...

ეს უბრალო მსვლელობაც ვერ იყო ისეთი, რაც შეეფერებოდა თავისუფალ, დემოკრატიულ სახელმწიფოს.

მშრომელთა ძრიელ მცირე ნაწილი ღებულობდა მაისობაში მონაწილეობას. და ჩემდა გასაკვირად, ხოლო დემოკრატიულ შვეიცარიის სამარცხვინოთ ვხედავ, რომ ბევრი ქარხანა-ფაბრიკა ამ პირველ მაისს—გაცხარებულ მუშაობაშია. ქარხნის კარ ფანჯრები მაგრად ჩაკეტილია და ვხედავთ სახურავებიდან, თუ ჭუჭრუტანებიდან ცნობის მოყვარე, გამურული მუშები, ჩუმათ, ფარულათ ათვალიერებენ სადღესასწაულოთ მოწყობილ, წითელი ლენტით მორთულ თავიანთ ამხანაგებს. ვკითხულობ ამ ჩემთვის წარმოუდგენელ, სურათის მიზეზს.

რაა მიზეზი, რომ ნაწილი მუშებისა ქუჩაშია; დღესასწაულობს, მხიარულობს, თამაშობს, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, ხოლო დიდი ნაწილი მუშებისა კი ქარხანაში ჩაკეტილი მუშაობს?

— ჩვენში „სრული თავისუფლებაა" მაძლევენ პასუხს.

— ვისაც უნდა იუქმებს—მონაწილეობას მიიღებს, „დემონსტრაციაში"—ვისაც არ უნდა, არა, და ის მუშაობს.

— კარგი თავისუფლება გქონიათ ამხანაგ შვეიცარიელ მუშებს—უუბნება ერთი რუსი ემიგრანტი მეორეს.

— თავისუფლებას მოხმარა უნდა... იმ მუშებს არ სურთ და არც გამოდიან სადღესასწავლოთ — ამბობს მესამე... ასეთი ლაპარაკით მივაღწიეთ სადღესასწაულო ალაგს.

ეს არის დიდი დარბაზი, რომელიც იტევს აუარება დასწრეთ წვიმიან დღეს. ხოლო კარგ დარში ეს ალაგია ქალაქს გარედ დიდი მინდორი ნაძვნარი, მშვენიერი ტყის გვერდში. ორივე ალაგას იმართება სიმღერა, თამაში და უფრო—კი ქეიფი...

ასეთი თავისუფლებით სარგებლობს შვეიცარიის მუშათა კლასი. ასეთი თავისუფლება აღნიშნულია კანონებში, ქაღალდზე.

თავისუფლება კრების, სიტყვის, წერის, სინდისის გვაქვს ჩვენ, გაიძახის „დემოკრატიული" შვეიცარიის მესვეური კაპიტალისტი.

ეს „სინდისის" თავისუფლება უკარნახებს „თავისუფალ დემოკრატიულ" შვეიცარიელ მექარხნეს პირველ მაისს მაგრად გამოუკეტოს თავის მუშებს კარები და მთელი დღე ამუშაოს.

ხოლო აღდგომა—წითელ პარასკევა და „ლოცვის დღეებში" (ასეთები რამდენიმეა იქ) დაკეტონ არა თუ ფაბრიკა, ზაოდები, არამედ თეატრ-კლუბები და ასე წარმოიდგინეთ სავაჭრო დაწესებულებების დიდი ფანჯრები იფარება შავი სამგლოვიარო ფარდებით, რა არის, მუშებმა, მოქალაქეებმა არ დაინახონ იქ გამოფენილი სხვადასხვა საქონელი თუ სანოვაგე. არ აღეძრათ სურვილიც კი მისი შეძენა—მოხმარისა და ამით ცოდვა არ ჩაიდინონ, სული არ წაიწყმინდონო. ასეა ამ „სინდისის" ქვეყანაში. არაფერი მუშათა დღესასწაულს, ხოლო „სულიერ დღესასწაულს" ყველაფერი.

მართლაც და ეს „სულის დღესასწაული" აძლევს ევროპის კაპიტალისტებს ყველაფერს.

„საიქიოს ცხონებით" უბრმავებენ თვალებს დიდსა თუ პატარას. კაპიტალისტმა კარგათ იცის თუ რას ნიშნავს რწმენა იმ ქვეყნად ცხონებისა... როცა ხალხის, მშრომელების უმეტესობას სწამს, რომ, ამ ქვეყნათ სიცოცხლე ხან მოკლეა, არარაობაა; რომ ამ ქვეყანაში ტანჯვა-წვალებით მოიპოვებთ იქ საიქიოს—მუდმივი სიამოვნება—განცხრომა —კეთილ ცხოვრებას. მაშინ ის ხალხი ადვილად იტანს აქაურ ტანჯვას, წვალებას, დამცირებას, შიმშილს, წყურვილს და იმედი აქვს სამაგიეროთ იქ საიქიოს გაიხარებს. „ცხონდება", მოისვენებს.

ეს ყველაფერი არ ესმის, სამწუხაროდ, შვეიცარიელ მუშების უმეტესობას და ამიტომაა ასეთი გულგრილობა პირველი მაისისადმი.

ეს ძალიან კარგად ესმის თავისუფალ „სინდისის" შვეიცარიელ კაპიტალისტს და ის ყოველი ღონისძიებით აღრჩობს, აქარწყლებს მუშათა გამომღვიძებელ პირველ მაისობას, ხოლო მფარველობს, ხელს უწყობს მშრომელთა დამღუპავ და დამაბრმავებელ „წითელ პარასკევსა და ლოცვის დღეებს".

ხოლო ხალხს ტყვილა კი არ უთქვამს: ტყუილს, მოკლე ფეხები აქვსო.

ამ სარწმუნოებრივ სიყალბეს ძირი ეთხრება, ბოლო ელება თვით სარწმუნოების ბუდეს შვეიცარიაშიც-კი.

თუ პირველად, ჩასვლისას—1906 1907 წლებში პირველ მაისობას ვერ ჰქონდა სასურველი ფერი და ხასიათი, შემდეგში და განსაკუთრებით წამოსვლისას, 1917 წლის მაისობა, რომელსაც უკანასკნელად დავესწარი ციურიხში, აღარ გავდა თავის წინაპრებს.

ამ ხნის განმავლობაში პირველ მაისობის მნიშვნელობის საკითხი შვეიცარიაში შესამჩნევად გაიზარდა. მუშების უკმაყოფილება გადიდდა, გაფიცვები გამრავლდა.

გაფიცვების გამრავლებამ „თავისუფალ" შვეიცარიაში გამოიწვია ამ გაფიცვების კანონით აკრძალვა. თურმე „დემოკრატიულ" ბურჟუაზიის განგებ, შესახედავად ჰქონდა ქაღალდზე აღნიშნული გაფიცვის თავისუფლება.

როცა ამ გაფიცვამ ის შეაწუხა და ძილი დაუფრთხო, მან ეს გაფიცვის თავისუფლება თვით ხალხს აღმოაშლევინა კანონიდან.

თან რუსეთის ემიგრანტებს დააბრალა. იმათი საქმეაო. იმათ აგვირიეს ჩვენი მუშები... ჰკათ მაგათ... არ დაინდოთო, მაგრამ უკვე გვიანი იყო. 1917 წლის პირველი მაისობა მაჩვენებელი იყო იმისი, რომ შვეიცარიელი მუშები ფხიზლდებიან და ნამდვილ რევოლიუციონურ გზაზე დგებიან.

1917 წლის პირველი მაისობა შვეიცარიაში დაკავშირებული იყო რუსეთის რევოლიუციის ამბებთან. შვეიცარიიდან ახლად რუსეთისკენ გამომგზავრებულ ლენინის გამოსათხოვარი წერილით აღფრთოვანებული შვეიცარიის მუშები ფიცსა სდებდენ ეარათ რუსეთის გზით.

ამ პირობებში გამოვეთხოვე 1917 წელს მაისის პირველ რიცხვებში „თავისუფალ, დემოკრატიულ" შვეიცარიას...

მას შემდეგ რუსეთის ამბები, ამხ. ლენინის მუშაობა, გამარჯვება, იმედია სავსებით აუხილდენ თვალებს შვეიცარიელ ამხანაგებს. იმედია ისინი განთავისუფლებულნი ცრუ და მატყუარა სარწმუნოების ბრჭყალებისაგან დღეს, ამ საერთაშორისო დღესასწაულის დღეს—პირველ მაისს შესაფერისათ აფასებენ და ნამდვილ რევოლიუციონურად ხვდებიან. ეხლა იმედია კიდევ უფრო ნათლად ხედავენ, რომ მხოლოდ რუსეთის მაგალითი, რუსეთის რევოლიუციის გზით შეუდგრად წინ შეტევა იხსნის მათ იმ სულშემხუთავ კაპიტალის ბრჭყალებისაგან, რაზედაც ზემოდ გვქონდა საუბარი და რომელიც დღესაც სულს უხუთავს მათ.

ს. დოლიძე.

კომუნისტი
ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა ცხოვრება

პირველი მაისი

დღეს მაისია პროლეტარული,
მაისი ჩვენი დღესასწაული;
მშრომელთ ქვეყანა ალისფრად ჰყვავის,
მტრებს კი აბნელებს გლოვის „ტრაური!“

დეე, გაისმას მთელ მსოფლიოში
შეერთებული ჩვენი ყიჟინა,
ვერ შეგვაშინებს მძარცველთა ხროვა,
უშიშრად ვივლით ბრძოლით წინ-წინა!

უძლეველია მშრომელთა ძალა;
ოფლით ნაბანი რკინის მკერდები,
ველარ გაგვიძლებს ბოროტი მტერი,
უნდა დავამხოთ ძველი კერპები!

უკვე შეირყა ძველი სამყარო,
კაპიტალიზმის რკინის კარები;
სულ მალე, მალე, ჩვენ გავიმარჯვებთ
და ლხინს გადვიხდით პროლეტარები!

დღეს მაისია პროლეტარული,
მაისი ჩვენი დღესასწაული;
მშრომელთ ქვეყანა ალისფრად ჰყვავის,
მტრებს კი აბნელებს გლოვის ტრაური!

მუშა პ. ახალკაცი

სალამი პირველ მაისს

მეგობარო, პროლეტარო, მომე ხელი,
ხედავ, ბრწყინავს ეს ჩვენი დღე სანატრელი,
ხედავ რა-რიგ აფრიალდა ჩვენი დროშა,
ხედავ, როგორ იღიმება შვებით მუშა?!.

გესმის მუშავ, პროლეტარო, ჰიმნი ჩვენი!
ხედავ, ყველას ღიმი უკრთის ბედნიერი?..
ხედავ, რა-რიგ დაგვციმციმებს ჩვენ ვარსკვლავი,
გესმის, როგორ მძლავრად ურტყამს მუშის მკლავი!..

მე მუშა ვარ. მუშის მკლავი მხნეა მძლავრი...
ამ ჩემ მკლავით უნდა შევქნა მომავალი:
ის ქვეყანა, სადაც მუშა შვებით მღერის,
სად მის სახეს ღიმი უკრთის ბედნიერი.

აგერ, აგერ ჰორიზონტზედ კრთის ნამგალი,
მის გარშემო ბრწყინავს, ელავს ცეცხლის რკალი,
კრთის ვარსკვლავი, ნამგალი და ეს ჩაქუჩი,
მის სიწმინდეს ვერ შელახავს მტერი, ურჩი!..

რკინისგზელი ვარლამ ჰანტურია.

გაუმარჯოს 1-ლ მაისს

დღეს პირველი მაისია,
საყვარელი და ძვირფასი
და ამ დღესა აღტაცებით
ეგებება მშრომელთ კლასი.
ბევრი მუშა სწორედ ამ დღეს
სისხლის ღვრაში შეაცურეს...
მაგრამ, ვაშა, დაღუპულებს,
ვინც თავის ვალი შეასრულეს...
ჩვენ აღვწიოთ დროშა მაღლა,
მუშის სისხლით შეღებილი...
დღეს ზეიმობს გამარჯვებას
თავისუფალ შრომის შვილი.
დღეს პირველი მაისია,
გავიშალოთ ჩვენ ქუჩებში,
და ხალისით გადავკოცნოთ
ერთმანეთი ჩვენ ტუჩებში.
აღტაცებით ეგებება
პირველ მაისს შრომის შვილი,
ჩვენ ფიცსა ვსდებთ მის წინაშე:
გამარჯვება, ან სიკვდილი...
დღეს პირველი მაისია
სანატრელი, დიდი, ტკბილი,
გაუმარჯოს პირველ მაისს
გადვიხადოთ, ძმებო ლხინი!
დავირაზმოთ, ჩავდგეთ რიგში,
ავიღიღინოთ მუშურ ხმებით,
მუშები ვართ, შრომის შვილნი,
პირველ მაისს ვეგებებით!.

მუშა ვ. სალუქვაძე.

ძღვნად პირველ მაისს

დღეს ვმაისობთ შრომის შვილნი;
სიხარული მიმრავლდება.
სატრფოს ჩემსას ბედი სწყალობს;
დიდი ნატვრა შისრულდება;

შრომის შვილი თვითვე ხდება
თავის ბედის მესვეური,
მით იმედი ათასკეცობს,
იშვებს სული, ხარობს გული.

წითელფერი, მოელვარე,
ყვავილებით მოქარგული...
დაჩაგრულთა დღეობაა...
მაისია მხიარული.

ოფლის მღერელთა ხმა გაისმის,
მძლავრი, მკვეთრი კიდით-კიდე,
შიშით წრწოლვილ ბოროტებას
ეფხრიწება წილაბ-რიდე.

ის ქედს იხრის უნებლიეთ,
სიმართლის ხმა ჰქუხს და გრგვინავს,
ალთქმის ქვეყნის მაძიებელთ
გმირთა გმირებს აღარ სძინავთ.

დღევანდელი წარსულსა სჯობს.
გაუმარჯოს მომავალსა,
მტარვალობის მესაფლავეს,
ბოროტების დამმარხავსა!

მუშა შაქრო ნავთლუღელი.

სამაისო სიმღერა

სუსხიან ზამთარს ბოლო მოუღო
საგაზაფხულო იმედმა, ტკბილმა;
დიად მომავალს კარი გაუღო
მედგარი ბრძოლით შრომისა შვილმა.

შორი დროიდან დადგენილია
სადღესასწაულოდ პირველ მაისი;
მისდამი ტრფობა აღდგენილია...
სულში გვიბრწყინავს მაზე ხალისი...

მუშა-მშრომელი ადიდებს ამ დღეს;
მას ჩაგრულთათვის მოაქვს მშვენება,
შორეულ მიზანს ტახტი დაუდგეს
და შეითვისეს მისი მძლე ნება...

უძლეველ ხმალი გვიპყრია ხელში;
თავს ვერსად ფარავს მახინჯ-ცბიერი;
ალისფერ დროშამ ქართლის მხნე ერში
გაშალა თვისი სახე ძლიერი!..

მუშა სიო ხიდისთაველი.

კარგი ხელმძღვანელით საქმე უმჯობესდება

(თვითმშრომელთა ცხოვრებიდან).

თვითმშრომელთა კავშირი დაარსდა 1922 წ. ოქტომბრიდან. ამ კავშირს თავიდანვე ერთნაირი უპატრონობა დასჩემდა. მას არ ჰყავდა შესაფერისი ხელმძღვანელები, რომლებზედაც შეიძლებოდა იმ იმედების დამყარება, რასაც იმედოვნებდენ აღნიშნულ ორგანიზაციაში შეკავშირებული წევრები. წარსულ გამგეობის წევრებ შორის იყო სულ კინკლაობა, ინტრიგანობა, ცილის წამება და სხვა პირადი ინტერესებზე აგებული აყალ-მაყალი.

ასეთი მდგომარეობის დროს ყველას ხვიწყდებოდა საზოგადოებრივი საქმე, რასაც შედეგად მოჰყვა თვით კავშირის რეორგანიზაცია და გამგეობის ყველა არა საიმედო წევრები იქნენ განდევნილი. არჩეულია სულ ახალი გამგეობა, რომელსაც სათავეში უდგას ძველი გამოცდილი რევოლიუციონერი ამხ. ფილიპე გაგოშიძე.

გამგეობის მდგომარეობა უმჯობესდება.

უკვე თვენახევარია რაც დაიწყო ამ კავშირში წევრების გადასინჯვა, რასაც შედეგად მოჰყვა ბევრი არასაიმედო პირების კავშირიდან გაძევება. თუ ვინიცობაა კომისია შეცდომაში შევიდა მიღებულ წევრზე, ამ შემთხვევაში დაინტერესებულ პირს შეაქვს განცხადება, რომელიც სასწრაფოთ ირჩევა და მას შესაფერისი პასუხიც ეძლევა.

ძველი გამგეობის დროს კავშირს არ ჰქონდა სტატისტიკური განყოფილება, რაც დიდი დანაკლისი იყო. ეს ამჟამად დაარსებულია.

მიღებულია ზომები და მუშაობაც მიმდინარეობს ლენინის კუთხის მოსაწყობათ.

არსებობს წიგნთსაცავი-სამკითხველო. სამკითხველოში მოდის ჟურნალ-გაზეთები, ადგილობრივი და ცენტრიდანაც.

მიმდინარეობს საზაფხულო სეზონის კლუბის შენობების შეკეთება და მოკლე დროში დამთავრებული იქნება.

აღნიშნულ კლუბთან დაარსებულია ორი დრამატიული წრე (ქართული და სომხური).

განზრახულია მოეწყოს წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო წრე.

იმართება ყოველ ორშაბათობით საზოგადო კრებები. იკითხება მოხსენებები კავშირის ყოფა-ცხოვრებაზე. დროგამოშვებით ლექციები სხვადასხვა თემაზე.

არის დაარსებული კულტურულ-განმანათლებელი სექცია, რომელსაც ჰყავს საიმედო ხელმძღვანელი.

გამგეობას განზრახული აქვს გახსნას კოოპერატიული მაღაზიები, რისთვისაც არის მოწვეული მცოდნე პირი.

შენობა, რომელიც უკავია კავშირის გამგეობას და კანცელარიას, არის სრულიად უვარგისი: დაბალი ჭერი, ნესტიანი, სივიწროვე, ბევრი ხალხის თავის მოყრით საშინელი ცუდი ჰაერია, რაც მუშა-მოსამსახურეებს უქადის ჯანმრთელობის დაზიანებას. ასეთ მდგომარეობას იმედია მიაქცევს ადმინისტრაცია ყურადღებას და დაჩქარებით აღმოაჩენს ბინას კანცელარიისათვის.

თანამშრომელი გუგუნა.

სახელი ჩვენი და სახრავი სხვისი

(მუშგლეხინის საყურადღებოდ).

თბილისის დეპოს ორთქლ-მავალთა ბრიგადაში მომუშავეთ, რომლებიც მუშაობდენ სამარშრუტო მატარებლებზე, მოესპოთ განსხვავება რომელსაც ღებულობდენ ისინი წინეთ დამატების სახით.

ამის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მხოლოდ მეტად გვაწუხებს ის გარემოება, რომ ამ განსხვავებით ჯიბეს ისქელებენ ამავე დეპოს რევიზორები და უფროსები იმის მაგივრად, რომ ეს ფული რკინისგზის სამმართველოს დარჩენოდა.

ნუ თუ კანონიერია ის, რომ ჩვენ ვიმუშაოთ და სხვამ გასამრჯელო აიღოს.

მუშა კოჟ—უხი.

ჩვენი პასუხი
მუშა „მოსადილეს“

(იხ. „კომუნისტ“-ი № 22)

გაზეთ „კომუნისტი“-ს № 22-ში მოთავსებულ წერილის („სასადილო ქიმერიონი კერძებს აძვირებს“) ავტორი „ი. მოსადილე“ საკითხს კარგად ვერ დაკვირვებია და ისე სწერს წერილს გაზეთში. არ ცოდნა არ ცოდვააო, მაგრამ დაუკვირვებლობა და საზოგადოების შეცდომაში შეყვანა ცოდვაც არის და დანაშაულიც.

„ევკოგრუზი“-ს გამგეობის საორგ. ნაწ. გამგე ბერაძე.

წერილები პროვინციიდან

გლეხკომების ყრილობა სენაკის მაზრაში

23 აპრილს სენაკში შესდგა დახმარების გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტის მესამე სამაზრო კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 40 დელეგატი:—ამათში 12 პარტიული, 4 კანდიდატი და 24 უპარტიო. პროფესიის მიხედვით 31 მეურნე და დანარჩენი 9 მასწავლებელი და სხვა საბჭოთა მოსამსახურე. სხდომები ორ დღეს გაგრძელდა.

კონფერენციას აგრეთვე დაესწრენ სოც. უზრ. სახ. კომისარი ამხ. ხომერიკი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელნი.

საპატიო თავმჯდომარეების არჩევის და მისასალმებელი დეპეშების გაგზავნის შემდეგ კონფერენციამ მიიღო შემდეგი დღის წესრიგი: 1) მაზგლეხკომის და სარევიზიო კომისიის მოხსენებები, 2) მოხსენებები ადგილებიდან, 3) გლეხკომების მორიგი ამოცანები და სხ.

სამაზრო გლეხკომის მოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ნადარეიშვილმა, რომელმაც დაწვრილებით გააცნო კრებას თუ რა უკეთებია მაზგლეხკომს მის არჩევის შემდეგ და რა მიზნები ჰქონდა დასახული განსახორციელებლად.

სარევიზიო კომისიის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ფულის ანგარიშები და სხ. საქმიანობა გლეხკომს კარგად ჰქონებია დაყენებული. უსახსრობა რამოდენიმედ ხელს უშლიდა მას თემებთან და სოფლებთან ფართე კავშირის გაბმაში. კომისიის აზრით მაზგლეხკომის მოქმედებას უკანასკნელ ხანებში გამოცოცხლება ეტყობა.

ამის შემდეგ კრება გადავიდა ადგილებიდან მოხსენებების მოსმენაზე. თავიდანვე ამ საკითხის შესახებ ამხ. ხომერიკმა განუმარტა კრებას, რომ ადგილებიდან გაკეთებულ მოხსენებებს კონფერენციისათვის მთავარი მნიშვნელობა აქვს და მოითხოვს, რომ მომხსენებლებმა კრებას გადუშალონ სრული სურათი სოფლად მუშაობის შესახებ.

ადგილებიდან გაკეთებული მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ 29 თემში გლეხკომების ფონდი 5000 ფუთამდის სიმინდისაგან შესდგება. ამასთანავე გლეხკომებს ჰქონიათ წისქვილები, სახარაზოები, სასადილოები და სხვ. უკანასკნელ ხანებში გლეხკომები შესდგომიან საზოგადოებრივი ძალებით მათზე გადაცემული ადგილ-მამულების დამუშავებას და სხვ.

გაჭირვებულებისათვის დახმარება გაწეულია სიმინდით, ფულით, შრომით, წამლეულობით, შეშით და სხვ. ადგილი ჰქონია აგრეთვე დახმარებას ცეცხლით დაზარალებულებისათვის 7 სოფელში. გლეხკომებს გაუწევიათ დახმარება აგრეთვე სკოლებისათვის შეშის მიტანით და სხვ. და ღარიბ მოწაფეებისათვის ტანთსაცმელის და სასწავლო ნივთების შეძენით.

გლეხკომების მუშაობა კონფერენციამ სცნო დამაკმაყოფილებლად, ხოლო სოფლის ფართე მასსებში გლეხკომების იდეის უფრო მეტად გასავრცელებლად და საურთიერთო დახმარების გასაძლიერებლად დაევალა მაზგლეხკომს მაზრაში კვირეულის ჩატარება. კონფერენციამ საჭიროთ სცნო აგრეთვე საფონდო ადგილების დამუშავებას მიექცეს დიდი ყურადღება, რაც მისცემს გლეხკომებს ფონდების გაძლიერების საშუალებას.

გლეხკომების მორიგი ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა სოც. უზრ. სახ. კომისარიატის ინსტრუქტორმა, რომელმაც დაწვრილებით აუხსნა კრებას თუ რა მიზნები უნდა დაისახონ გლეხკომებმა მომავალში და რა საშუალებით უნდა მიაღწიონ მათ განხორციელებას.

მოხსენება კრებამ მიიღო ცნობათ და სახელმძღვანელოდ.

კონფერენციამ აირჩია შემდეგი პირები მაზგლეხკომში: ალ. ფაჩულია, არტ. ნადარეიშვილი, ა. ლაბარტყავა, ე. შალამბერიძე, მ. კაჭარავა, კ. ლომია, გ. მდინარაძე, მ. სალაყაია, ნ. კაკუბერი, მ. დავითაია, ი. ბერულავა, მ. არზიანი, ა. გეგეჭკორი. და სარევიზიო კომისიაში — ნ. ტიურინი, კ. ლომია და ა. ოჩიგავა.

ამათ გარდა კონფერენციამ აირჩია ექვსი დელეგატი სრულიად საქართველოს გლეხკომების ყრილობაზე დასასწრებლად.

ნ. გვანცალაძე.

ზუგდიდ-ანაკლიის გზატკეცილი

ომიანობის დროიდან ზუგდიდ-ანაკლის გზატკეცილი გაფუჭებული იყო. გასაბჭოების შემდეგ ის საუცხოვოთ იქნა შეკეთებული. ამ გზა-ტკეცილს დიდი მნიშვნელობა აქვს. ის აერთიანებს ქ. ზუგდიდს შავი ზღვის ნაპირებთან. ამ გზით უხდება სიარული, როგორც ზუგდიდის მაზრის დასავლეთ უბნების, აგრეთვე სამურზაყანოს მაზრის მცხოვრებთაც. ზუგდიდის ბაზარი ერთად ერთი ბაზარია ამ კუთხეში, სადაც მშრომელმა გლეხობამ უნდა გაასაღოს თავისი ნაწარმოები და შეიძინოს საჭირო საქონელი. საწყალი გლეხი კვირაში ორჯერ უნდა ჩამოვიდეს (პარასკეობით და კვირეობით) ბაზარზე.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ სასოფლო გზები გაფუჭებულია.

დარჩელის რაიონში წვიმიან დღეებში საშიშია მგზავრობა. თხრილები არ აქვთ გაკეთებული გზებს, რაც წყალის დაგუბებას ხელს უწყობს და გზა ფუჭდება.

საჭიროა მთავარ გზატკეცილს ზუგდიდ-ანაკლისას უერთდებოდეს თემების ნამდვილად გაკეთებული გზატკეცილები.

ინგურელი.

კაცხის თემი

(შორაპნის მაზრა)

თემი შესდგება 7 სოფლისგან. ამ შვიდ სოფელს აქვს ერთი შესამჩნევი და მწვანით მოსილი მიდამო ეგრედწოდებული „მოედანი“, სადაც არის მოთავსებული მათი საერთო ქონება და სხვა და სხვა დაწესებულებანი, როგორიცაა, მაგალითად; კოოპერატივი, 7 წლედი, სახალხო სახლი, ქოხ-სამკითხველო და სხვა. ერთი სიტყვით ამ ადგილს ვერ აცილდება თემის მცხოვრებნი თუ რამე სასყიდელი აქვთ. ასე ყველაფრამდის შემკობილ ადგილზე არ არის ერთი რამ:—არ არის წყალი მოედნისთვის. ხშირად კრებებზე დაუდგენიათ წყლის სამოყვანა მოედანზე და კომისიაც აურჩევიათ, მაგრამ წყალი კი არავის გამოუყვანია.

ვეებერთელა ელექტრო-სადგურები შენდება ჩვენს საბჭოთა ტერიტორიაზე და ნუთუ 1.500 კომლ გლეხს უნდა გაუჭირდეს წყლის გამოყვანა მოედანზე?

ადვილათ შეიძლება მილების საშვალებით წყლის გამოყვანა, მაგრამ გლეხობა ვერ შეთანხმდენ და ინიციატორიც არავინ გამოჩნდა, რომ ეს საქმე მოაგვაროს. საჭიროა სამაღმასკომიც მიაქცევდეს ამ კუთხეს ყურადღებას, გაიგებდეს მათ გაჭივრებას უწყლობის მხრივ და ცოტა წვლილს გაიღებდეს.

გულშემატკივარი.

მცხეთა

თებერვლამდი მცხეთა ადმინისტრატიულად უერთდებოდა დუშეთის მაზრას, მაგრამ თებერვლიდან ის შეუერთდა თბილისის მაზრას.

კულტურული ცხოვრება

კულტურულად მცხეთა ჩამორჩენილია, მართალია აქ არსებობს 7 წლედი, შრომის სკოლა, ბიბლიოტეკა-სამკითხველო და თეატრი, მაგრამ მცხეთაში კიდევ არის ახალგაზრდობა, რომელმაც არც წერა იცის და არც კითხვა. ეს მეტად სამწუხაროა.

მცხეთის ბიბლიოტეკა მდიდარია წიგნებით, მხოლოდ ძალიან ღარიბია მკითხველით, სამკითხველოში იშვიათად თუ ნახავთ მკითხველს და წიგნების წამღებს.

მცხეთაში აგრეთვე არსებობს თეატრი, რომელიც უნდა იქნეს გადაკეთებული კლუბად. როგორც ვიცით თბილისის აღმასკომმა მის შესანახად გადასდო 884 მანეთი, რის შემდეგ ცხადია კლუბის მდგომარეობა გაუმჯობესდება და მცხეთის საზოგადოებას ექნება დასასვენებელი კულტურული სახლი.

აღმშენებლობითი მუშაობა

მცხეთაში აღმშენებლობითი დარგში ბევრი გაკეთდა, მაგრამ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ამას წინედ დასრულდა წყაროს გადმოყვანა რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მცხეთისათვის, დღემდის მცხეთის მცხოვრებლებს უხდებოდა მტკვრისა და არაგვის წყალის ხმარება, რაც ნაკლებ ღირსებისა იყო, დღეს კი საუკეთესო ხარისხის წყალი აქვთ. დადგმულია სოფელში სამი ონკანი.

მეორე კიდევ დიდი საქმე, რომელიც დაწყებულია, ეს გახლავთ სინათლის გადმოყვანა. [illegible] მცხეთის აღმასკომი [illegible] ბოძების დამზადებას და უნდა ვიფიქროთ, რომ მაისის თვეში სინათლის გადმოყვანა დამთავრდება.

აგრეთვე განზრახულია კლუბის გვერდით ბაღის გაშენება, მხოლოდ საჭიროა თბილისის აღმასკომის დახმარება, რადგან მცხეთის აღმასკომს ამჟამად არაფერი შემოსავალი არა აქვს და ცხადია ცარიელი ჯიბით ველარ მოკიდებს ხელს ამ საქმეს.

საექიმო საქმე.

ამ მოკლე ხანში მცხეთაში დაარსებული იქნება საექიმო პუნქტი. დღემდის მცხეთის მცხოვრებლები ძალიან შეწუხებული არიან: საექიმოდ წასვლა უხდებათ თბილისში ან ზაჰესში. აფთიაქის საკითხიც მოსაგვარებელია, მართალია მცხეთაში არსებობს აფთიაქი, მაგრამ ის ძალიან დაშორებულია სოფელს.

ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიაქციოს თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებამ.

ნათესების მდგომარეობა.

მცხეთაში ნათესებს კარგი პირი უჩანს. ამინდი ამჟამად ხელს უწყობს, მხოლოდ ამ ზამთრის ყინვებმა გაახმო და გააფუჭა სხვადასხვა ხეხილები.

მცხეთაში მიწის საკითხში ერთი არა ნორმალობას აქვს ადგილი. დღემდის აქ მიწები კიდევ არ დაუყვიათ, წელს განზრახული იყო მიწის გაყოფა, რის გამო თბილისიდან გამოწვეული იქმნა მიწის მზომელი, მაგრამ ის ჯერ კიდევ არ ჩამოსულა, რის გამოც მიწის დაყოფა შეჩერებულია.

გ. ნადარეიშვილი.

ჩვენი თემის ავ-კარგი

სალხინო (სენაკის მაზრა)

ახალი თემ-აღმასკომი დიდ სააღმშენებლო მუშაობას ეწევა მშრომელთა აქტიური დახმარებით. უკვე აშენებენ საბჭოს და თემ-აღმასკომისათვის შენობას. განზრახულია აგრეთვე სახალხო სახლის აგება, რაც დიდ საჭიროებას და სოფლისათვის კულტურულ ტაძარს წარმოადგენს.

სამწუხაროთ უნდა აღინიშნოს, რომ როგორც კოოპერაციის, აგრეთვე ჯანმრთელობის საქმე ვერ არის კარგად მოგვარებული. ოთხ თვეზე მეტია რაც რაიონული ექიმი სალხინოს რაიონიდან სხვა რაიონში, მარტვილში გადავიდა, და სალხინოს რაიონი კი დღემდე უექიმოდ არის. ავადმყოფობა კი ხშირია, და ვისაც შეძლება აქვს მარტვილიდან—15-20 ვერსის სიშორიდან მოყავს ექიმი, რაც უჯდება მას არა ნაკლებ ოცი მანეთისა. ულარიბესი ნაწილი გლეხობისა, რომელსაც არა აქვს ამის საშვალება, ჟვარდება ხელში სოფლის ექიმბაშებს და მარჩიელ-მკითხავებს. ასეთი მდგომარეობის გაგრძელება ყოვლად შეუძლებელია ჩვენ გვგონია 4-5 თვე საკმარისია იმისათვის, რომ მაზრამ სამაგიერო ექიმი გამოგზავნოს სალხინოში. ამ მხრივ მეტი მოეთხოვება მაზრის ჯანმრთელობის განყოფილებას. სალხინოს აღმასკომმა უნდა მოაგონოს მას, რომ რაიონი,—სადაც 5 ათასამდე მცხოვრებია, ამდენი ხნით უექიმოდ დატოვება ყოვლად შეუძლებელია.

კოოპერაციის აღორძინებას დიდათ შეუშალა ხელი აგვისტოს „გამოსვლებმა“. ამ მიმართულებითაც სწარმოებს მუშაობა, და ჩვენ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახლო მომავალში კოოპერატივი დადგება თავის დანიშნულების სიმაღლეზე.

გლეხკომი, რომელიც ახალი ხილია ჩვენი—გლეხთა ცხოვრებაში, უკვე ფეხს იდგამს და ისიც მოკლე ხანში შეუდგება სააღმშენებლო მუშაობას, შეძლებისდაგვარად ქვრივ-ობოლთა და წით. არმ. ოჯახების დახმარებას და სხ.

ამასთან უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენში ჯერ-ჯერობით არ არსებობს არავითარი საკრედიტო დაწესებულება, საიდანაც ღარიბი გლეხობა მიიღებდა შეღავათიან სესხს მეურნეობის გასაუმჯობესებლად. და ეს იმ დროს, როდესაც მახლობელ რაიონებში დიდი ხანია ასეთები არსებობენ. რატომ არ აქცევს ამ დიდ საქმეს ყურადღებას ის ორგანო, რომელიც მოწოდებულია ამისათვის?

აგრო-დახმარებაზე არას ვიტყვით, რადგანაც ასეთს მოკლებულია ჩვენი თემი. ლოზუნგი „პირი ვიბრუნოთ სოფლისაკენ“, ჩვენს რაიონში ჯერ-ჯერობით ცარიელ სიტყვებათ რჩება. დრო დაყოვნებას არ ითმენს. საჭიროა მაზრამ გაცილებით მეტი ყურადღება მიაქციოს განაპირა კუთხეებს.

ტრიო.

პროვინციის ქრონიკა

— **გორის** სპირტის სახდელ ქარხანაში ამ ჟამად მუშაობს 54 მუშა-მოსამსახურე.

— **სენაკის სამაზრო** მილიციამ თავის საშეფო სოფ. ქალადიდში მოაწყო 4 ქოხ-სამკითხველო.

— **ონტოფოს** თემის გლეხკომმა დაადგინა მოაწყოს ადგილობრივ ხე-ტყის სახერხი ქარხანა.

— **დავალება დელეგატებს.** გორის გლეხკომმა თბილისში მოწვეულ გლეხკომების ყრილობაზე გაგზავნილ დელეგატებს დაავალეს იშუამდგომლონ გლეხკომების ინსტრუქტორთა მოსამზადებელ კურსების მოწყობის საკითხის დასმა.

— **გორის** მაზრის გლეხკომების განკარგულებაში ამ ჟამად ირიცხება 48 სამკითხველო და 5 თეატრი.

ქრონიკა

— **ყარაიაზის არხი.** თბ. აღმასკომის საფინანსო განყოფილებამ მიზან შეწონილად სცნო ყარაიაზის არხის მეთვალყურეობისა და ხელმძღვანელობის გასაწევად დაარსებული იქნას სამელიორაციო ამხანაგობა.

— **მანგლისში სამოსახლო** ადგილის ნორმა თბ. კომუნალურ განყოფილების დადგენილებით გათანასწორებული იქნა ქალაქში სამოსახლო ადგილის ნორმასთან.

— **ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთათვის** სპეცტანისამოსის და სპეცფეხსაცმელების დასამზადებლათ ამ დღეებში ტრამვაის სამმართველოსთან გაიხსნება ტანისამოსისა და ფეხსაცმელების სამკერვალოები.

— **სპეც-ე ელექტრიკების მოსამზადებლათ** თბ. კომუნალურ განყოფილებამ დაადგინა მოაწყოს სპეციალური კურსები.

— **ცეცხლის წინააღმდეგ.** თბ. კომუნალურ განყოფილებამ ცეცხლის მქრობელ რაზმის უფროსის ამხ. ბერიძის მოხსენების თანახმად დაადგინა საფაბრიკო-საქარხნო საწარმოო და სხვა დიდ შენობებისათვის შემოღებული იქნას ცეცხლის გაჩენისაგან უზრუნველსაყოფად შენობის დასაზვერი ჟურნალები.

— **აფთიაქების გახსნა.** ჯანსახკომის საფარმაცევტო განყოფილებამ ამჟამად გადასწყვიტა გააფართოოს აფთიაქების ქსელი პროვინციებში.

— **სულით ავადმყოფთა** ინსტიტუტში შემოღებული იქნა ახალი წესი, რომლის მიხედვით ყოველ ავადმყოფს მიჩენილი ჰყავს თითო—მეთვალყურე.

— **დასასვენებელი სახლები.** გასული წლის ოქტომბრიდან მიმდინარე წლის მარტამდე დამზღვევ კასამ დასასვენებელი სახლების საჭიროებისთვის გასცა 13,392 მან.

— **დამზღვევ კასას** მიმდინარე. საბიუჯეტო წლის პირველ ნახევარში თავის დროზე დასაზღვევი გადასახადის შემოუტანლობის გამო, ჯარიმის სახით შემოუვიდა 19,939 მ. 79 კაპ.

— **დახმარება ინვალიდებს.** გასული წლის ოქტომბრიდან მიმდინარე წლის მარტამდე ინვალიდებისათვის ფულადი დახმარების გასაწევათ დამზღვევ კასამ გასცა 51,921 მან. 93 კ.

— **მოჯამაგირეთა შეკავშირება.** ამჟამად საქართველოში აღრიცხულია და კავშირში გაერთიანებულია 8 ათასი მოჯამაგირე.

— **მშრომელ ქალთა** ყოფაცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისია დასასვენებელ სახლებთან აწყობს საზოგადოებრივ სამზარეულოებს, სადაც იმუშავებენ უმუშევარი მზარეული ქალები.

— **არტელების აღრიცხვა.** მიწად-მოქ. სახ. სახ. კომისარიატი შეუდგა სასოფლო-სამეურნეო არტელ-კომუნების აღრიცხვა-გამოკვლევას.

— **ელდარის ფიჭვი.** მიწად-მოქ. სახ. კომისარიატის სატყეო განყოფილებამ ჰიათურაში გაგზავნა ელდარის ფიჭვის 100 ნერგი.

— **ზაჰესის დათვალიერება.** თბ. საბჭომ გადასწყვიტა ამ დღეებში დაათვალიეროს ზაჰესის სამუშაო ადგილი.

— **აგურის დამზადება.** გასულ წელს საქ. უმ. სამეურნეო საბჭოს აგურის ქარხნებმა დაამზადეს 6 მილიონი ცალი აგური.

— **მავნებლებთან ბრძოლის** ბიურომ დასავლეთ საქართველოში გაგზავნა სპეციალისტი ვენახის ახლად აღმოჩენილ სნეულებასთან საბრძოლველათ.

— **შრომის სახ. კომისარიატი** შრომის დაცვის განყოფილება ხელშეკრულებას სდებს შრომის პირობების დაცვის მიზნით აბრეშუმის საქსოვ ქარხანასთან, განათლების კომისარიატის სტამბასთან და ტყავის ტრესტთან.

ახალი წიგნები

— **გამოვიდა** გ. ნ. გეხტმანის შრომა ქართულ ენაზე: „მსოფლიო ეკონომიური გეოგრაფია“. გამოცემა სახელგამისა. ფასი 3 მან. 50 კაპ.

— „მიწა-ვაშლა და თალგამი“ ნიკო მაისურიანის. გამოცემა „საბჭოთა კავკასიონის“.

— „ბაღის მავნებლები“ მარო ქელიძის და თამარ სულაკაძის შედგენილი. გამოცემა „საბჭოთა კავკასიონი“-ს. (გლეხის ბიბლიოთეკა).

— **„ტყორცნა“** გამოვიდა ტანთვარჯიშობისათვის სახელმძღვანელო „ტყორცნა“ კუტეინიკოვისა გადმოკეთებული მ. პატარიძის მიერ. გამოცემა პროფკავშირთა საბჭოსი.

ხელოვნება

ოპერა „წითელ ქუდა“ ქუთაისში

22 და 24 აპრილს, ქ. ქუთაისში, მუსიკალურმა ტეხნიკუმმა გამართა პირველი წარმოდგენა. შესრულებული იყო ოპერა "წითელ ქუდა ქალი", მუსიკა ცეზარ კიუისი, თარგმანი ვალერიან გუნიასი. მონაწილეობას იღებდენ სიმღერის კლასი მიხაილოვისა და მომღერალთა გუნდი ი. აბაშიძესი, (მისი ხელმძღვანელობით) მუსიკალურ ტეხნიკუმის კვარტეტის და [illegible] როიალის თანაყოლით.

თუ მივიღებთ მხედველობაში ის, რომ სიმღერის კლასი დაარსდა ტეხნიკუმში შარშან და საგუნდო კლასი კი მხოლოდ წლეულს, ჩვენ უნდა გამოვტყდეთ, რომ მართლაც, ამ დაწესებულებაში, გაჩაღებული კულტურული მუშაობა სწარმოებს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ოპერის შესრულება, თუმცა ეს ოპერა დაწერილია ბავშვებისათვის, არც ისეთი ადვილია შემსრულებელთათვის, რადგანაც უმეტესი ნაწილი, ზოგიერთს ჩვენს „არტისტებს“, (ქუთაისელებს) სიზმრათაც არ უნახავთ ოპერა. მაინც პირველი ამისთანა მოვლენა, როგორც მოწაფეთა წარმოდგენა, ამ მოკლე ხანში, უნდა დიდ კულტურული მიღწევათ ჩაითვალოს. თანაც არ შეიძლება არ დაუმატოთ, რომ მოწაფეთა ახალგაზრდობამ გამოიჩინა დიდი ენერგია და მედგარი მუშაობა, რაც მხოლოდ ადასტურებს მათ შეგნებას.

წარმოდგენებზე დაესწრო აუარებელი ხალხი და მეტის მეტად კმაყოფილი დარჩა.

„წითელ ქუდას“ გარდა წარმოდგენილი იყო პირველი სურათი მე-3 მოქმედებისა დარგომიჟსკის ოპერიდან „რუსალკა“, რომელმაც კარგად ჩაიარა.

ვუსურვებთ ჩვენს ქუთაისის ტეხნიკუმს და მათ ხელმძღვანელებს წინსვლას და გამარჯვებას.

ა.—ლი.

— **პირველი მაისის დღესასწაულის გამო დღეს კინოებსა და თეატრებში წარმოდგენები არ შესდგება.**

— **ძმ. ტანტების იუბილე.** 5 მაისს ცირკში გაიმართება ძმ. ტანტების 25 წლის იუბილე.

— **წითელ თეატრში** ხვალ წარმოდგენილი იქნება „ბასტილიის აღება“, დადგმა ვ. გარრიკის.

— **წითელ არმიელთა კლუბში** ხვალ გაიმართება წითელ-არმიელთათა და პროფკავშირის წევრებისათვის წარმოდგენა სანიტგანათლების მსახიობთა მონაწილეობით.

—

— **საღამო კონცერტი.** კვირას, 3 მაისს გაიმართება სადიდი საღამო-კონცერტი საქ.პოლიტ.დარბაზში, სამხატვრო აკადემიის ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოთ. დასაწყ. 8 საათზე.

— **ჟურნალი „პროლემაფ“.** დაურიგდა აგენტებს და კიოსკებს და იყიდება ყოველგან. ჟურნალი ღირს 1 მ. 50 კ.

— **გ. ქუჩიშვილის** საღამო სიღნაღში გაიმართება ახლო ხანში.

— **„1-ლი მაისი“.** გამოვიდა კ. გულიაშვილის პიესა „1-ლი მაისი“.

— **სახალხო სახლის** ასაგებათ ლაილაში (ლეჩხუმში) ადგილობრივმა მცხოვრებლებმა აირჩია სააღმშენებლო კომიტეტი.

— **გლეხების თეატრი.** სენაკის მაზრაში, მარნის თემის გლეხკომმა შეადგინა გლეხებისაგან დრამატიული წრე, რომელიც გამართავს მუდმივად უფასო წარმოდგენებს გლეხებისათვის.

შემთხვევები

ხანძარი ქარხანაში.

დღეს 30 აპრილს, შუადღის 1 ს. და 10 წუთზე გაჩნდა ხანძარი სახალხ. მეურ. უმაღ. საბჭოს ქარხანაში, რომელიც მდებარეობს კომუნალურ ქუჩაზე № 118.

ხანძარის მიზეზი იყო გაუფრთხილებლობა: მანქანა იყო გაფუჭებული, რის გამოც მისი საკვამლე მილი ისროდა გამომწვარ მოკიდებულ მაზუთს და ამგვარათ ცეცხლი გაუჩნდა სახურავს.

ხანძარის ადგილას მოვიდა 3 ცეცხლის მქრობელი ნაწილი 6 ავტომობილით. ხანძარზე იმუშავა მხოლოდ ერთმა ავტომობილმა. ცეცხლი სწრაფად იქნა ჩაქრალი. ზარალი დაახლოვებით 400 მანეთისა. ქარხანა შაბათს, 2 მაისიდან ისევ განაახლებს მუშაობას.

— **პალტოს მოპარვა.** 29 აპრილს, ანტონოვის ქ. № 7 მოქ. ნადეჟდა ოლხოვას მოპარეს პალტო, ღირებული 60 მან.

— ამავე დღეს, ამავე სახლში გაქურდეს ელენე ედიგაროვას ბინა.

— **მორგებული გასაღების** საშუალებით 29 აპრილს, ავჭალის მოედანი № 4 გაქურდეს ნინა მურმანის ბინა, წაღებულია სხვადასხვა საოჯახო ნივთები.

— 28 აპრილს, ღამით სუფკარაპეტის ქ. № 10 გაქურდეს ცართანუშ სარქისიანცის ბინა.

იურიდიული რჩევა-დახმარება

კანონიერია თუ არა ჩემი რძლის მოქმედება

კითხვა.

მე ვარ ოთხმოცდა ხუთი წლის მოხუცი კაცი, მოკლებული ყოველგვარ შრომის უნარს. სანამ შემეძლო ვეწეოდი მიწის მუშაობას. მყავს ორი ცოლშვილიანი ვაჟი, რომელნიც დიდი ოჯახით არიან დატვირთულნი. ჩემი ვაჟებიც ხანში შესული არიან და ძლივს უძლვიან თავიანთ ოჯახებს.

მყავდა კიდევ ერთი ცოლიანი ვაჟი, რომელსაც შვილი არ ჰყოლია. 1922 წელს ეს უკანასკნელი გარდაიცვალა.

ჩემი ვაჟები გაყოფილნი იყვნენ და მე ვცხოვრობდი ცოლშვილიან ვაჟებთან. გარდაცვალებულ ვაჟს გაყოფის დროს საერთო ქონებიდან გატანილი ჰქონდა ერთი მესამედი იმ პირობით, რომ სხვა შვილებთან ერთად ეკისრა მოხუცებული მამის, ე. ი. ჩემი შენახვა, მაგრამ უფროსი ჩემი ვაჟი ამ პირობას არ ასრულებდა. მისი გარდაცვალების შემდეგ ამ საძმო ნაწილს—მთელს ჩვენს მესამედ ქონებას, ადგილ-მამულს, მოძრავს მთლიანად (სახლს, ბეღელს, საბძელს, შინაურ საქონელს) დაეპატრონა გარდაცვალებული ვაჟის ცოლი, რომელიც იმავე წელიწადს გათხოვდა.

ამჟამად ჩემი შრომით შეძენილ მამულზე და სახლ-კარში სცხოვრობს ჩემი ყოფილი რძალი თავის ქმრით. ამასთანავე საჭიროთ მიმაჩნია განვაცხადო, რომ ჩემი რძლისა და მისი მეორე ქმრისადმი მითვისებულ ქონებიდან (ვენახები და მოძრავი ქონება) არაფერი ჩემი უფროსი ვაჟის მიერ არ ყოფილა შეძენილი. ვენახები გაშენებულია ჩემგან და სახლ-კარიც აგებულია ჩემგან.

ადგილობრივი ხელისუფლეფლების მოთხოვნით დიდი დავა-დარაბის შემდეგ ჩემი მარჩენალ შვილებს რძალმა დაუბრუნა მხოლოდ სახნავი მიწა.

გთხოვთ განმიმარტოთ, რამდენათ კანონიერია ჩემი ყოფილი რძლის მიერ ჩვენგან შეძენილ მოძრავ ქონებისა და გაშენებულ ვენახის დაპატრონება.

სოფ. გორის უბნის (რაჭა) მცხოვრები გლეხი იოსებ ვლახუას ძე ჰელიძე.

პასუხი.

თანახმად დეკრეტი № 28 მუხ. 101 და 102 გარდაცვალებულ მეუღლის დაშთენილ მეუღლეს უნდა მიეცს სარჩო მიცვალებული მეუღლის ქონებიდან ისევე, როგორც მიცვალებულის ნათესავებს, თანასწორათ: მას ეძლევა უპირატესობა მხოლოდ მიცვალებულის მევალეებთან; თუ მიცვალებულის ქონება არ აღემატება ათი ათას მანეთის ღირებულებას და თუ იგი შესდგება სახლისგან, საოჯახო მოწყობილობისაგან, სამეურნეო იარაღებისაგან ქალაქში, ან სოფლად, ყველა ეს გადადის დაშთენილ მეუღლის განკარგულებაში; იგი მას მართავს თანახმად მიცვალებულის ნათესავებთან, რომელთაც აქვთ ასეთივე უფლება მიიღონ ეს ქონება თავიანთ გამგებლობა-განკარგულებაში.

თუ დავა ატყდა მიცვალებულის მეუღლის და მის ნათესავთა შორის აღნიშნული ქონების მართვა-გამგებლობის შესახებ, მაშინ საქმეს სწყვეტს ადგილობრივი სახალხო სასამართლო.

ამიტომ პირადათ თქვენ გირჩევთ სათანადო განცხადებით მიმართეთ თქვენი ბინადრობის მიხედვით სახალხო სასამართლოს საქმის საბოლოოდ გადასაწყვეტად.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 15

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

სასოფლო-მეურნეობის რესპუბლიკანური, სამაზრო და სათემო საექსპერტო კომისიების დაარსების შესახებ.

რესპუბლიკის სასოფლო-მეურნეობის მდგომარეობის შესახებ შეძლებისამებრ სრული და სწორი ცნობების მისაღებად საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაარსდეს რესპუბლიკანური, სამაზრო და სათემო სასოფლო მეურნეობის საექსპერტო კომისიები.

2. საექსპერტო კომისიებს ევალებათ შეკრიბონ ხოლმე შემდეგი ცნობები:

ა) სახნავ-სათესი და სათიბი მიწების, ვენახების, ბაღების და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მდგომარეობის შესახებ;

ბ) ამა თუ იმ ადგილას ყველა გავრცელებულ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსალოდნელი მოსავალის შესახებ;

გ) მესაქონლეობის მდგომარეობისა და ეპიზოოტიების შესახებ;

დ) ყველა იმ შემთხვევების შესახებ, როდესაც განადგურდება ნათესები სეტყვისა, ყინვისა, წყალდიდობისა და სხვა მიზეზებისაგან;

ე) მოსახლეობის სასურსათო მდგომარეობის შესახებ.

3. რესპუბლიკანური საექსპერტო კომისია დაარსდება სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოსთან, ხოლო სამაზრო და სათემო საექსპერტო კომისიები—სამაზრო და სათემო აღმასკომებთან.

4. სათემო და სამაზრო საექსპერტო კომისიები თავისი მუშაობის დროს ხელმძღვანელობენ საქართველოს ცენტრალური სტატისტიკის სამმართველოს და მისი ადგილობრივი ორგანოების—სამაზრო სტატბიუროების ინსტრუქციებით.

5. რესპუბლიკანური საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში არიან: თავმჯდომარედ—სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს მმართველი ან მისი მოადგილე ხოლო წევრებად—მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის, ა/კ. ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველოს, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის, სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს, ფიზიკური ობსერვატორიის, სასოფლო-სამეურნეო ბანკის და წარმოკავშირის წარმომადგენელნი.

სამაზრო საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში არიან: თავმჯდომარედ—სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე ან მისი მოადგილე, ხოლო წევრებად—სამაზრო ფინგანყოფილების გამგე, აღმასკომის ადგილობრივი მეურნეობის განყოფილების სადგილ-მამულო ქვეგანყოფილების გამგე, სამაზრო აგრონომი, მაზრის სტატბიუროს გამგე, კოოპერაციის წარმომადგენელი და აგრეთვე სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს წარმომადგენელი, სადაც იგი არის.

სათემო საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში არიან: თავმჯდომარედ—სათემო აღმასკომის თავმჯდომარე ან მისი მოადგილე, ხოლო წევრებად—თემის აგრონომი, სადაც იგი არის, და კოოპერაციის წარმომადგენელი.

საექსპერტო კომისიებს უფლება ეძლევათ, უკეთუ საჭირო იქნება, მოიწვიონ მცოდნე პირებიც გადამწყვეტი ხმის უფლებით.

6. ცნობების თავის დროზე და სისწორით მოწოდებისათვის პასუხისმგებელნი არიან საექსპერტო კომისიების თავმჯდომარენი.

7. ამა დადგენილების გამოქვეყნებისთანავე საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1924 წლის მაისის 31-ს თარიღით და 19 №-ით გამოცემული დადგენილება, სამაზრო და სარაიონო საექსპერტო კომისიების შესახებ, ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
შ. ელიავა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭ. საქმეთა მმართველი
ალ. სალარიძე.

1925 წ. აპრილის 30.
თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

3 — მაისს დღესასწაულის ჩასატარებლად თბილისის კომიტეტი მობილიზაციას უწერება ტრიბუნაზე გამოსასვლელათ შემდეგ ამხანაგებს:

თავისუფლების მოედანზე:

ელიავა ხანოიანი სერგო, ვართაპეტიანი, მურავიოვი, კიდაიშ, რატნეკ, სნეგიროვი, მაჩაიძე, შვარც, დარახველიძე, რახმან (კომკავშირიდან), ასრიბეკოვი.

სასახლესთან:

ორახელაშვილი მამია, მახარაძე ფილიპე, ბახტაძე ე., კორკი, დვირიანოვი, ჯუღელი, აშათუნი, კეკელია, მელიხოვი.

განათლების კომისარიატთან:

კანდელაკი დავით, ორახელაშვილი მარია, ოკუჯავა კ., ხუჭაპურიძე, ივანიანი, კრუგლიკოვი, ქელიძე, გობეჩია, გოგიშვილი, არუთინოვი.

ყველა გამოწვეულ ამხანაგებს ევალებათ 3 მაისს, დილის 10 საათზე, უეჭველათ გამოცხადდენ დანიშნულ ადგილას.

თ. კ. საგიტ.-საპროპ. განყოფილება.

— თ. კ. აღმრიცხველ-გამნაწ. განყოფილება წინადადებას აძლევს სამი დღის განმავლობაში ამხ. კარელისთან გამოცხადდენ შემდეგი ამხან-გები:

კრავჩენკო ანდრია, ზურავსკი ალექსანდრ, ბურლაკოვ ალ., საფარიან არშაკ, არაქელიან მესროფ, ყაზარიან ოსიფ, აკოფიან ამაზასპ, შევცოვი პავლე, ნაზარეტიანი აბრამ, აბდალაძე ვარლამ, კუზმინი ანდრია.

— კომკავშირის ქალაქის რაიკომი აცხადებს, რომ შაბათს, საღამოს 4 საათზე, რაიკომის შენობაში შესდგება ჯარში არსებულ კომკავშირის დამხმარე ჯგუფების თათბირი მიმაგრებულ უჯრედების მდივნებთან ერთად

დასწრება ყველასათვის სავალდებულოა.

განცხადებები

[illegible] და სვიმონ [illegible]ძეები, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობებს პირველთა—საყვარელ შვილის, მეორეთა შვილიშვილის და ძმისწულის

პავლიკის

უდროოდ გარდაცვალებას 30 აპრილს ღამით, გამოსვენება მოხდება საკუთარ ბინიდან, გოგოლის ქუჩა № 26, შაბათს, 2 მაისს, ნაშუადღევის 4 საათზე ვერის სასაფლაოზე.

1—1 1190

ალექსანდრე თუმანიშვილის თანამშრომელნი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ყველას მიერ საყვარელ თუმანიძის შვილის

პავლიკის

უდროვოდ გარდაცვალებას 30 აპრილს, ღამით, გამოსვენება მოხდება საკუთარ ბინიდან, გოგოლის ქ. № 26. შაბათს, 2 მაისს, ნაშუადღევის 4 საათზე

[illegible]

[illegible] გოგაძე, ძმები: სერგი და ტერენტი გორგაძენი, დები: მელო და ლიუბა და რძლები: თამარ და ეკატერინე შვილებითურთ—აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ აპრილის 29-ს, თბილისში, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში გარდაიცვალა მათი ძვირფასი

ზინა რომანოზის ასული ვეფხვაძისა

პანაშვიდები ყოველდღე, მთავარ (ყოფ. მიხეილის) საავადმყოფოს სავანეში, საღამოს 6 საათზე. გამოსვენება ვერის ნიკოლოზის ეკლესიაში შაბათს 2 მაისს, ნაშუადღევის 5 საათზე; დაკრძალვა კვირას, 3 მაისს, წირვის შემდეგ იმავე სასაფლაოზე.

2—1 ნ. 1185

ღრმად დამწუხრებული დეკანოზი ფარნაოზ იოანესძე, შვილები: ვანო, კოწია, ილდეა, გოგლი და ლევან ვეფხვაძეები, სიძე შალვა მაღრაძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ა. | წ. 29 აპრილს, დილის 11 საათზე რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის ძვირფასი მეუღლე, მეორეების საყვარელი დედა, ხოლო უკანასკნელის სიდედრი

ზინა რომანოზის ასული ვეფხვაძისა

პანაშვიდები ყოველდღე რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს სავანეში, საღამოს 6 საათზე, გამოსვენება შაბათს, 2 მაისს ნაშუადღევის 5 საათზე ვერის ნიკოლოზის ეკლესიაში, დაკრძალვა კვირას 3 მაისს წირვის შემდეგ იმავე სასაფლაოზე.

2—1 ნ. 1185

საბარგო სალაროს მოსამსახურეები სადგურ თბილისისა ამით აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს, რომ 29 აპრილს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩვენთვის დაუვიწყარი თანამშრომელი საბარგო მოლარე

გრიგოლ პეტრეს ძე ფროლოვი

რომლის გამოსვენება მოხდება შაბათს 2 მაისს, დღის 3 საათზე საკუთარ ბინიდან, ბორჯომის ქუჩა № 5, დაკრძალვა ნიკოლოზის სასაფლაოზე (ვერაზე).

1—1 1180

ა. წ. აპრილის 28-ს ღამის 12 საათ. ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

პავლე ალექსანდრეს ძე თურმანიძე

რასაც მწუხარებით აუწყებს მამიდა პელო მეუღლით ალექსანდრე და შვილებით, სერგო, რუსუდანი, ლუბა, საშა, ბაბულია მთვარაძეები. ცხედრის გამოსვენება გოგოლევის ქუჩა № 26 ნაშუადღევის 4 საათზე ნიკოლოზის სასაფლაოზე შაბათს, 2 მაისს.

1—1 1187

სოფელ გუთურში (ჩოხატაურის თემი) მცხოვრები გვარად ჩხიკვიშვილები, ღრმა მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ 25 აპრილს ქვის განზრახ გასროლილი ტყვიით ვერაგულად გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და უსაყვარლესი

ივანე ექვთიმეს ძე ჩხიკვიშვილი

რომლის დასაფლავება მოხდა სამშაბათს 28 აპრილს ს. გუთურში.

1—1 1179

მეუღლე კესარია ნიკოლოზის ასული; შვილები: მილიქა ბახტაძისა, ანნა ნემსაძისა, თამარ მეგრელაძისა, ვასილი და სტეფანე; შვილიშვილები: ქეთო, ელიკო, ნანუ, რუსუდანი და დარეჯანი; სიძეები: ალექსანდრე ბახტაძე და გაბრიელ მეგრელაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი

ესტატე გიგოს ძე ჩხენკელის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება შაბათს, 2 მაისს, შუადღის 1 საათზე სოფ. საწულუკიძეში (ხონის რაიონი).

1—1 ნ. 1186

ღრმად დამწუხრებულნი: დიდა ოლინკა, მეუღლე ნინა, ძმა გიგოლა, რძალი ქსენია, ბიძა ყარამან, ბიცოლა სონა გეგეშიძეები. სიძე ალფეზა, და ელიჩქა, დისწულები ფირჯანაძეები აცნობებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს, რომ ამა წლის 2 მაისს, შაბათს დღის 3 საათზე ნიკოლოზის სასაფლაოზე დანიშნულია პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარი

ვალოდია ერმილეს ძე გეგეშიძის

გარდაცვალების ორმოცი დღის შესრულების გამო.

1—1 1177 ა.

გულდათუთქულნი, ულრმეს მწუხარებაში მყოფნი ლიზა იურკევიჩისა, ალექსი და დუჩა ფირცხალაიშვილები და ვასო იურკევიჩი, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ 29 აპრილს დ. საჩხერეში გარდაიცვალა პირველის ასული, მეორეთა მეუღლე და დედა, ხოლო უკანასკნელის ძმისწული

ანეტა იურკევიჩი-ფირცხალაიშვილისა

დაკრძალვა დ. საჩხერეში, შაბათს 2 მაისს, ნაშუადღევის 2 საათზე.

ხელოვნების მუშაკთა კავშირის ჭიათურის ადგილკომი და ჭიათურის დასის მსახიობნი და თანამშრომელნი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობებსა და მეგობრებს ჭიათურის თეატრის ერთ დამაარსებელთაგანის და კავშირისწევრის—ძვირფას მეგობრის და მსახიობის

ანეტა ვიქტორის ასულის იურკევიჩ—ფირცხალაშვილის

უდროვოთ გარდაცვალებას. დაკრძალვის დღე დანიშნულია შაბათს, 2 მაისს, შუადღის 2 საათზე სოფელ საჩხერეში.

ნის. 1184 1—1

„კომუნისტი“

ერთი თვით: პროფკავშირების წევრებისათვ. 75 კაპ.
დანარჩენებისათვის: თბილისში 1 მანეთი
პროვინციაში— 1 მ. 20 კაპ.

მიიღება ხელის მოწერა მაისისათვის

მაისის განმავლობაში ხელისმომწერლებს დაურიგდებათ:

I. ჟურნალი „ჩირაღდანი“—ორი ნომერი (№ 9 და 10)
II. „ „მეცნიერება და ტეხნიკა“ ორი ნომ. (№ 9 და 10)

სახელმწიფო ოპერის

ადმინისტრაცია ამით აუწყებს, რომ სეზონის ყველა მუდმივი და უფასო ბილეთები 1 მაისიდან გაუქმებულია. ნ. 1183

1—1

გამოვიდა და იყიდება

ფ. ი. მეხა ლევსკის

პოლიტიკურ ეკონომიის დაწყებითი კურსი

ფასი 1 მ. 50 კ.

დაკვეთა და ცალობით შეძენა მხოლოდ გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარ კანტორაში

(რუსთაველის პროსპექტი № 24 მე-2 სართული).

678 0—9. გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.

ქ. თბილისის მე-7-დე უბნის ფინინსპექტორი

თანახმად სახელმწიფო გადასახადების აკრეფის წესდების მე-VII-დე მუხლისა, აცხადებს, რომ ამა წლის 11 მაისს, დილის 12 საათზე, ხაზინის ქუჩაზე საფინანსო შემოსავალ გასავლის სალაროს შენობაში გაიყიდება სახელმწიფო გადასახადების ნარჩენის დასაფარავად ისაკ იაკუბ ოღლის, ისაკ აბრამის ძე მამისთვალოვის, ელო კრიხელის, მამედ ტაგი სადიხ ზადეს, აბდულ ჯებრაილ ოღლის, მამედ ალი გულიევის, სეიფადინ ოჯახვერდოვის, სამედ გაჯი ტაგი ოღლის, ისმაილ ახმედ ოღლის, ფაშა მამედ ოღლის, იაკუბ ნამთალაშვილის, გურიელაშვილი მეერის, შალომე გურიელაშვილის, დავით ამერიძის, დავითაშვილი შაბათა ეუშაყისძის და შიმშილაშვილი აბრამასი. კუთვნილი საოჯახო ნივთები: მაგიდები, სკამები, კამოდები, ბუფეტის შკაფები, ნოხები და სხვა, რომელიც შეფასებულია 780 მ. ვაჭრობაში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს გირაო შეფასების თანხის 10 პროც.

ქ. თბილისის მე-VII-დე უბნის ფინინსპექტორი: შოთაძე.

ნის. 1188. 1—1

ქ. თბილისის მე-4-ე უბნის ფინინსპექტორი,

ამით აცხადებს, რომ კვირას, 3 მაისს, დილის 11 საათზე საჯარო ვაჭრობით გაყიდულ იქნება კამოდი და კედლის სარკე (25 მანეთად ღირებული). ივანე მიხეილის ძე მანუჩაროვისა, მის სათანაბრო გადასახადის ნარჩენის დასაფარავად.

საჯარო ვაჭრობა მოხდება მანუჩაროვის ბინაზე მამუკინის ქ. № 6. მე-7 სამილიციო უბანში.

ნის. 1189. 1—1 მე-4 უბ. ფინინსპექტორი.

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დაარსებული

მიხეილ მედევანიშვილის სახელობის

რევიულ. და აგრეთვე ის ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, კოროლენკოს ქ. № 20.

9205 25—10

ექიმი

ი. დ. თოფურიძე

ქუჩა კალინინის (ყოფილი ნიკოლოზის) № 33.

იღებს ავადმყოფებს

კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა განყოფილებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

25—19

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა

მიღება: დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-პირდაპირ. № 3203. 25—13

ექიმი

ა. ს. ფონ-ირტელი

(მიხეილის პროსპექტი, 10, ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბომ-მონდი).

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათ (სისვენებების, ბუსილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. საავადმყოფების მიღება დილის 8 თიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

25—14

ექიმი

დ. ა. გალუსტიანი

შინაგანი, კანის, ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი), სიფილისი.

მიღება დილის 8-დან 11-დე და საღამოს 5-დან 8 საათამდე.

ქალების მიღება დღის 12-დან 1 საათამდე.

ელისაბედის ქ. № 77, მეორე სახლი კირკას ქუჩის კუთხიდან.

482 25—12.

Открыта подписка на газету:

„РАБОЧАЯ ПРАВДА“

в **МАЕ** месяце

ВСЕ ПОДПИСЧИКИ

„РАБОЧЕЙ ПРАВДЫ“

ПОЛУЧАТ **2** БЕСПЛАТНЫХ

ПРИЛОЖЕНИЯ

Брошюру т. Сталина: **„Крестьянский и Национальный вопросы“**.
Книгу „Поэты Закавказья—**ИЛЬИЧу**“.

ПОДПИСНАЯ ЦЕНА С ПРИЛОЖЕНИЯМИ:
В городе, для членов профсоюзов . . 65 коп.
остальным . 1 руб.
Иногородним . . . . 75 к. и 1 р. 10 коп.

С приложением двухнедельной газеты

„ЮНЫЙ ПИОНЕР“

НА ПЯТЬ КОПЕЕК ДОРОЖЕ.

В воскресенье, 3-го мая, главная контора газеты „Рабочая Правда“ открыта. для **приема подписки с 9 до 3-х. дня**

1180 3—1

ამ. ს. ფ. ს. რ. რკ. გზათა სამმართველო

ამით აცხადებს, რომ 1925 წლის 12 მაისს, დღის 12 საათზე, ნავთსადენის განყოფილებაში (ძერკეზიშვილის ქ. № 70) დანიშნულია

მეორეული საჯარო ვაჭრობა

დაბეჭდილ კონვერტებში წერილობითი განცხადებების შეტანის და ფასების ზეპირათ, ანდა დეპეშით შეტყობინების გზით

ლატუნის შკალების ხელახლა დასახაზავ სამუშაოს იჯარით გასაცემათ (1.000 მეტრამდე); ეს შკალები საჭიროა „ბაქო-ბათომ ნავთსადენის“ ყველა რეზერვუარების ნავთსაზომ მინებისათვის. დახაზვა უნდა მოხდეს მეტრიული სისტემის მიხედვით; დახაზვა საჭიროა სანტიმეტრებში, ნახევარ სანტიმეტრებში, ორ მილიმეტრებში და სათანადო ციფრებში.

მთელი სამუშაოს შესრულების ვადაა—ხუთი თვე. დაწვრილებითი ცნობების მიღება პირადათ და ფოსტით შეიძლება ნავთსადენის განყოფილებაში ყოველდღე მუშაობის საათებში.

ნ. 1187 3—1

ს. ს. რ. კ. სახელმწიფო ს. მ. უ. ს.

კამვოლის ტრესტი

თბილისის საბითუმო და წვრილ სავაჭროს განყოფილება

რუსთაველის პრ. № 9. ტელ. 19—91.

წვრილათ სავაჭრო მაღაზიები:
1. თავისუფლების მოედანი, მელიამინოვის ქ. და სომხების ბაზრის კუთხე.
2. რიყეზე, ყოფ. ხითაროვის დახურული ბაზარი.

მიღებულია სეზონის

საკოსტიუმე და საკაბე. შალეულობისა და ნახევარ-შალეულობის ქსოვილები.

სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებათ

ეძლევათ განსაკუთრებული შეღავათი და კრედიტი

კოლექტიურათ შეკავშირებულ მუშა-მოსამსახურეებს

ეძლევათ ნისიათ შესაფერ სამეურნეო ორგანოების თავდებობით.

ვაჭრობა სწარმოებს შეუწყვეტლივ, დილის 9 ს. საღამოს 5 საათამდის

ნის. 1181. 1—1

ექიმი

ვ. ვ. მე[illegible]ბიშვილი

ავადმყოფების [illegible] ტუბერკულიოზის. [illegible] ზემის ზამკურ. კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.

მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.

2746 25—15

ექიმი ვ. ნ. ჩუპრინინი

საბჭოთა ქ. № 87 (ყოფ. ჩერქეზიშვილის)

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, ვენაში შეშხაპუნება.

მიღება დილით 10—11 საათ. საღამოს—5—6 საათ.

25—24

ა. მ. მძინარაშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. და 6—8 ს. საღამოთი; ქალების და ბავშვების 5—6 ს.

მისამართი: რუსთაველის პროს. № 18 შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან.

25—12

ექიმი

ნ. ა. ჭანდიერი

შინაგანი და ქალთა ავადმყოფობანი. იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—7 საათამდე.

სომხის ბაზარი № 8.

№ 202.

25—3

ექიმი

მ. ა. ლუკოვსკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე; ქალების მიღება 1 საათიდან—2 საათამდე.

საპიორის ქუჩა № 35, ყოფილი კადეტ. კორპ. უკან.

25—4

კბილის ექიმი

ფ. თ. რატიანი თუხარელისა

კბილის და ღძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ)

25—20

დაკარგა რაჭის განათლების მუშაკთა წიგნაკი № 31 ფ ბრონია სხირტლაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად, 1—1 1177

დაკარგა მოწმობები: 1) სამხედრო აღრიცხვის წიგნა მოცემული 1924 წლის აპრილის თვეში ქალ. სამტრედიის სარაიონო სამხედრო მაგიდის მიერ და 2) პირადობის მოწმობა მოცემული 1924 წლის აპრილის თვეში სამტრედიის სარაიონო ალმასკომის მიერ პარმენ ლუკას ძე დიდიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1178

დაკარგა პარტკომიდან მოცემული პარტიული მანდატი № 492379, ფიდო ალექსის ძე ბებიაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1182

დაკარგა დამზღვევი კასის წიგნაკი გაცემული თბილისის განათლების მუშაკთა მერვე ადგილკომის მიერ ბაბილინე პავლეს ასული ჯორჯიკიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1185

დაკარგა პირადობის მოწმობა № 379, გიორგი მგებროვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1186

დაკარგა პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 625, საღრიცხო ბარათი, გაცემული საყოფის ადგილკომიდან, და სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწმობა, პლატონ შალვას ძე კეკნაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1189

დაკარგა თოფის ტარების მოწმობა, მოცემული სართიჭალის ინფორპუნქტის მიერ 925 წ. № 2 და საქართველოს მეცხვარეთა ამხ. „მწყემსი“-ს წევრობის წიგნაკი ივანე ზუკაკიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1188

ბალანსი

კახელ მევენახეთა კოოპერატიული საზოგადოება „წინანდალი“-სა

1-ელ აპრილისთვის 1925 წ.

აქტივი

1.	კასსა	228—19	
2.	პაზი	13685—47	
3.	ღვინო	15212—28	
4.	ქონება უძრავი და მოძრავი	22241—19	
5.	საქონელი	18022—52	
6.	კასრები და ბუტები	5023—27	
7.	ბოთლები	1306—77	
8.	სინერგე	7348—52	
9.	სხვა და სხვა პირნი და დაწეს.:		
	ბაქოს გან-ბა ღვინო გაგზ. მოსკოვში	33500	
	გაც. ღვ. კოოპ. და დაწეს.	29402—42	
	კახეთში გაც. ღვ. კოოპ. ტ/გან-ას	43500	106402—42
10.	ავანსი საპასუხისმგებლო	1552—88	
11.	მიმდინარე ხარჯები	41794—92	232768—43
	ბალანსი		232768—43

პასივი

1.	თანხა საპაიო	1454—64	
2.	„ სათადარიგო	15000 —	
3.	„ ძირითადი	3130—20	
4.	სპეციალური მიმდინარე ანგარიშები	7500 —	
5.	გაცემული თამასუქები	40915—05	
6.	წევრები საზოგადოებისა	5217—39	
7.	სხვა და სხვა პირნი და დაწესებულებანი	79579—15	
8.	მოგება 1923/24 საოპერაციო წლისა	121—16	
9.	შემოსავალი გაყიდულ ღვინიდან და სასმელებიდან (Br-tto)	79850—84	232768—48
	ბალანსი		232768—43

მთავარი ბუხჰალტერი გრ. გულაშვილი.

გამგეობის თავმჯდომარე გ. ჩიტალაძე.

გამგეობის წევრი ლ. გოგნიაშვილი.

ნ. 1173. 1—1